ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №37 (1738) 28 სექტემბერი - 4 ოქტომბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

## დეპუტატობისთვის ბრძოლას რა უნდა?

კასპში „აღორძინების" თავმჯდომარე სცემეს, ბათუმში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ხოლო ბოლნისის გამგებელმა „აღორძინების" კავშირის წევრს, პლაკატებს რატომ აკრავ კედლებზეო, ისეთი მუშტი ხეთქა წარბში, რომ ჩვენს მსოფლიოს ჩემპიონს გიორგი კიკნაძესაც შეშურდებოდა. არჩევნებამდე კიდევ მთელი ერთი თვეა დარჩენილი და ცემა-ტყეპა ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა, მაშინ საქართველოში სანთლით გახდება საძებარი ცხვირგაუტეხავი, ყბამოუნგრეველი და თვალებჩაულურჯებელი კაცი. დეპუტატის სავარძლისათვის ცემა-ტყეპით მებრძოლებს ვთავაზობთ საარჩევნო ჰიმნის ტექსტს:

დეპუტატობისთვის ბრძოლას რა უნდა?
კონკურენტზე სწორედ თავდასხმა უნდა,
მერე მისი კაი დაჟეჟვა უნდა,
თუ დეპუტატობა გინდა, აბა, არ უნდა?
მისამღერი: ტირი-რამ-ტირი ტირი-რამ,
ტირი-რამ-ტირი, რა...

## გიორგი გოგნიაშვილი:



# ხელისუფლება ცდილობს, რეგიონებში მონათმფლობელური სიტუაციები შეინარჩუნოს

მეორე გვერდი

## პოლიტიკას შეეწირა თხილის ბიზნესი



ჰილარი კლინტონის ძმების, როდჰემების შემოთავაზებულმა წინადადებამ თხილის ბიზნესში 110 მილიონი დოლარის ჩადების შესახებ, შეიძლება ითქვას, ჩაილურის წყალი დალია, რადგან ამ ამბავმა ასლან აბაშიძეს არჩევნების წინ ქულები მოუპოვა, რაც არ მოეწონა ცენტრალურ ხელისუფლებას და ყველაფერი გაკეთდა, რომ ეს ბიზნეს-გეგმა ჩაშლილიყო. ამაზე იტყვიან: – ავმა ძაღლმა არც თავს არგო და არც სხვასო.

# „დასავლური სამყარო ქართველებისათვის მშობლიური სახლია..."

მეოთხე გვერდი

## ასლან მასხადოვი:



# გასაძევი არც ხელისუფლებას წარმოადგენს და არც ხალხს

მესამე გვერდი

# როდის ვიხილავთ ნამდვილ შევარდნაძეს?

მეორე გვერდი

# რა ღირს მცირეწლოვანებთან სექსი... ანუ ყველამ ყურები ბამბით დავიცოთ?!

მერვე გვერდი

## ვითომ ცუდია ბანკის შვილობილობა?

იაპონიაში სამი მძლავრი ბანკი გაერთიანებულა და შექმნილია მსოფლიოში უდიდესი ბანკი, რომლის კაპიტალიც ერთ ტრილიონ 300 მილიარდი დოლარია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტი სულ რაღაც 500 მილიონ დოლარს აღწევს, კარგი იქნებოდა ამ ბანკს ეშვილა საქართველო, რა მოხდა მერე, ხომ იყო ადრე პოლკის შვილობილი, სულაც არ ჟღერს ცუდად ბანკის შვილობილი, თუკი დაგვაპურებდნენ, გაგვზრდიდნენ, გზაზე გაგვიყვანდნენ, საგზლადაც კაი ფასს თუ გაგვატანდნენ, თორემ ამ ხელისუფლების ხელში საშველი რომ არ არის, ყველანი ვხედავთ, მითუმეტეს, კიდევ ოთხი-ხუთი წლით აპირებენ ქვეყნის სათავეში ყოფნას.

## კარგია მაშინ პრემია, თუ ხალხს მიეცი პენსია

საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და ამერიკის პრეზიდენტის მეუღლეს, ჰილარი კლინტონს ავერელ ჰარიმანის სახელობის პრემია გადაეცათ. საქართველოს პრეზიდენტი თავის პრეზიდენტობის პერიოდში იმდენ საერთაშორისო პრემიას იღებს, რომ ასეთივე სიხშირით გაჭირვებული მოხუცებულებისათვის პენსიებიც რომ გაეცა, მაშინ მსოფლიოში ვერცერთი პრეზიდენტი ვერ აჯობებდა. ისე, ამბობენ, პრემიების თანხა საკმაოდ სოლიდურია და თბილისის პენსიონერებს დააკმაყოფილებდაო.

# სტალინის შვილის, ვასილ სტალინის უკანასკნელი დღეები

მეშვიდე გვერდი

# ვინ გვყავს ასარჩევი, ანუ ვინ ვინ არის

მესამე გვერდი

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### როდის ვიხილავთ ნამდვილ შევარდნაძეს?



ამასწინათ ტელეკომპანია „ევრიკაზე" ბ-ნი თემურ შაშიაშვილი ვიხილეთ სოსო ცინცაძესთან დუეტში. ვერ ვიტყვით, რომ უინტერესოდ ისაუბრა ბ-ნმა თემურმა, მაგრამ ყველაზე მეტად გულში ჩაგვრჩა მისი ეს სიტყვები: ლიკანში პრეზიდენტს რომ სამი საათი ვესაუბრე, ბოლოს ასეთი რამ განმიცხადაო: არჩევნების შემდეგ თქვენ ნახავთ ნამდვილ შევარდნაძესო.

რომელ არჩევნებს გულისხმობდა პრეზიდენტი, საპარლამენტოსა თუ საპრეზიდენტოს, ამის დადგენა, მისივე თქმით, თავად შაშიაშვილსაც გაუჭირდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა -. რომელილაც არჩევნების შემდეგ რომ ნამდვილ შევარდნაძეს, ანუ მის ნამდვილ სახეს ვიხილავთ, ამას, როგორც ჩანს, წყალი არ გაუვა.

რა თქმა უნდა, ფიზიკურ სახეს არ იგულისხმებდა ბ-ნი ედუარდი. აქ უფრო პოლიტიკურ სახეზე და კურსზეა ალბათ საუბარი და ვევედროთ ღმერთს, მისი სამომავლო გარდაქმნა აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნებასთან, რუსის ჯარის გასვლასთან, ხალხის დაპურებასთან იყოს დაკავშირებული და ღმერთმა გვაშოროს მისი იმ სახით გარდაქმნა, როცა 70-იან წლებში რეპრესიებს რეპრესიებზე აწყობდა და რუსული ანდაზისა არ იყოს, გაჩეხილ ტყეს უამრავ ნაფოტსაც აყოლებდა.

ჯერჯერობით კი სხვა რა დაგვრჩენია, ველოდოთ ნამდვილი შევარდნაძის გამოჩენას.

### „ოტარიკი" არჩევნებში ვის დაუჭერს მხარს?



რუსეთის პოპულარული მუსიკალური პროგრამა „მუზობოზის" ერთ-ერთი მონაწილე ოთარ კუშანაშვილი (ამჟამად СНГ-ს მუზ ობოზის წამყვანი) ჩამოსული იყო საქართველოში. გასაკვირი არ იქნება, მის ვიზიტს პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონოდა.

მანამდე ჩვენს ვაითანამემამულე „ოთარიკს" მიპყავდა ღამის კლუბ „უტოპიაში" პროგრამა, სადაც ერთხელ შესთავაზეს ეთქვა რაიმე ქართულად. მან თავის დამახასიათებელი ცეტობით უპასუხა, რომ რა საჭიროა „კარაბას-ბარაბასის" ენაზე ლაპარაკი, როდესაც არსებობს მოხერხებული რუსული ენაო.

განგებამ არ აპატია „ოტარიკს", ჯერ იყო და პუგაჩოვას შეურაცხყოფისათვის თმები ძალით გაკორტნეს, შემდეგ ცნობილმა კინომსახიობმა, აბდულოვმაც კარგად უთაქა.

„მუზ ტვ"-ს წამყვან ტუტა ლარსენს ერთხელ ჰკითხეს, თუ ვინ არის, მისი აზრით, ყველაზე უარყოფითი მამაკაცი? მან 150 მილიონიან რუსეთში ოთარ კუშანაშვილი დაასახელა.

ასე რომ, ქართულის შეურაცხყოფას ღმერთი არავის არ აპატიებს.

### უაზრო რისკი

თავდაცვის მინისტრის პრესცენტრის ცნობით, ამ უწყების თანამშრომლებს 7-8 თვეა ხელფასი არ მიუღიათ. სახელმწიფოს ხუთი მილიონი ლარი მართებს თავდაცვის სამინისტროსი.

შეიარაღებულ ხალხს რომ 7-8 თვე ხელფასს არ მისცემ და შშიერს ამყოფებ, მისგან რა სიკეთეს უნდა ელოდე. ეს ხომ წაქეზებაა იმისა, წადი და იყაჩაღეო? ან ასეთმა გამწარებულმა ხალხმა სახელმწიფო გადატრიალება რომ მოინდომოს, მაშინ რას ვშვებით? რატომ სწევს ამხელა რისკს ხელისუფლება, მართლაც რომ საოცარია.

### საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა განაცხადა - ჩეჩნეთი ერთხელ შეცდა, როდესაც რუსეთის პროვოკაციას აჰყვა და აფხაზეთის კონფლიქტში ჩაერია, რითაც ურთიერთობა გაიფუჭა მეზობელ საქართველოსთან. ჩეჩნეთი ასეთ შეცდომას აღარ გაიმეორებსო.

ასლან მასხადოვის ეს განცხადება საკმაოდ გულწრფელად გვეჩვენება და საქართველოს რომ ეროვნული და ცოტა გაბედული ხელისუფლება ჰყავდეს, მაშინ ის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს დაამყარებდა ჩეჩნეთთან, რაც ასლან მასხადოვის პოზიციებსაც გაამაგრებდა თავის ქვეყანაში, რითაც ჩეჩნეთი ერთიან ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა ჩრდილო კავკასიაში, ხოლო საქართველოს მისი სახით ეყოლებოდა მტკიცე მოკავშირე, მაგრამ ყოველივე ეს არის ფანტაზია და ოცნება ამ ხელისუფლების ხელში. არადა, თუ საქართველომ არ შექმნა თავის გარშემო მის მიმართ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოთა რკალი, მაშინ მას ყოველთვის ექნება აგრესიის საშიშროება მეზობლებისგან. საქართველოს კი აქვს ისტორიული გამოცდილება, როცა მის სტრატეგიაში შედიოდა ჩრდილო კავკასიელთა მოკავშირეებად ქცევა, რასაც ახორციელებდა საკუთარი ძლიერების ხანაში დავითისა და თამარის დროს, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს. რატომ ეძლევა დავიწყებას ეს, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკა, ჩვენთვის გაუგებარია.

---

ინტერვიუ

*გიორგი გოგნიაშვილი:*

# ხელისუფლება ცდილობს რეგიონებში შეინარჩუნოს მონათმფლობელური სიტუაციები

***– ბატონო გიორგი, საქართველოს პარლამენტმა თავისი ოთხწლიანი მუშაობა, ავად თუ კარგად, დაამთავრა, რა შეფასებას მისცემდით მის მოღვაწეობას?***

– პარლამენტის მუშაობის დასაწყისი აშკარად იმედისმომცემი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ იწყებოდა მრავალპარტიული სისტემის სრულყოფა. სულ სამმა პარტიამ მოახერხა გადაელახა 5%-იანი ბარიერი, დაემატა 10 პარტიული მაჟორიტარი კანდიდატი და შეიქმნა ასეთი სპექტრი. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლასთან ერთად დაიწყო რეფორმები. შემოვიდა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც იყო სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებაში. დიდი ხმაურით დაიწყო სასამართლო, ეკონომიკური რეფორმები, თუმცა, შემდგომ, როცა მმართველმა პარტიამ ნელ-ნელა ფესვები გაიდგა და კორუფციულ გარემოში თავისი წვლილი შეიტანა, სიტუაცია უარესობისკენ შეიცვალა. ნაცვლად იმისა, რომ ეს მართლაც ჭეშმარიტი რეფორმები ქვეყანაში გატარებულიყო, რომლის დიდი მხარდაჭერა იყო ჩვენი ფრაქციის მხრიდან, მხოლოდ ფასადის შეცვლით დაკმაყოფილდნენ, ძირითადი არსი კი არ იცვლებოდა. ფაქტიურად, ძველი რეჟიმისაგან დიდად განსხვავებული სისტემა ვერ მივიღეთ.

ჩვენი პარლამენტის მთავარი მიზანი იყო შეექმნა ისეთი საკანონმდებლო ბაზა, სადაც კორუფციული გარემო არ იქნებოდა, ეს არ მოხერხდა, რადგან კანონების თითოეულ მუხლში იდებოდა გარკვეული წრეების და პარტიის ინტერესები. ავიღოთ სასამართლო რეფორმა, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, დიდი ხმაურით დავიწყეთ, ჩავატარეთ გამოცდები, მივიღეთ გამოცდაგამოვლილი მოსამართლეები. თუმცა, ნებისმიერ მოქალაქეს რომ ჰკითხოთ, ვისაც შეხება ჰქონია ამ სისტემასთან, იქ არაფერი არ შეცვლილა. უფრო მეტიც – უარესი მივიღეთ. ძველ მოსამართლეებში შეიძლება იყვნენ კორუმპირებულებიც, მაგრამ უმეტესობა ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც სასამართლო დამოუკიდებლობა ხელში ეჭირათ. დღეს მივიღეთ ცვედანი სასამართლო, რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული მმართველი პარტიის ნებასურვილზე.

***– „გიურტელი" – „ჯეოსელის" საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს დიდ შეცდომად, დანაშაულად მიიჩნევენ...***

– არა მარტო ეს მაგალითი, საშინელი მდგომარეობაა რეგიონებში. არათუ გუბერნატორის, არამედ სოფლის გამგებლების ნება-სურვილზე



და დაკრულზე დადიან.

ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობა არ არის იმის დამადასტურებელი, რომ რეფორმა გატარდა. რეფორმის მთავარი არსი არ იყო მარტო გამოცდების ჩატარება, მთლიანად კომპლექსი უნდა შეცვლილიყო, სოციალური გარანტია უნდა ყოფილიყო მოსამართლეებისთვის, რომ ნაკლებად მიეცათ სურვილი თავიანთი თავისთვის, ძველებურ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ.

ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ არანაირი ეკონომიკური

გაგრძელება მე-5 გვ

---

თვალსაზრისი

# ვინ გვყავს ასარჩევი, ანუ ვინ ვინ არის

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციათა საერთო რაოდენობამ რამდენიმე ათეულს გადააჭარბა. 7%-იანი საარჩევნო კვოტისა თუ ბარიერის დაწესებას თითქოს უნდა შეემცირებინა არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა, მაგრამ ქართული ხასიათის თვისებამ, რაც გამოიხატება სიტყვებში „უჩემოდ ვით იმღერეთაო", შემართება და ძალგულოვნება ვერ დაუცხრო იმ პარტიების ლიდერებსაც კი, რომელთა წევრების საერთო რიცხვი ერთ პატარა სუფრაზე მოქეიფეთა რაოდენობასაც კი ვერ გადააჭარბებს. არჩევნებში მონაწილეთა ამგვარი გრძელი სია ამომრჩეველს, მოდურად ელექტორატს რომ უწოდებენ, საკმაოდ დიდ სირთულეს შეუქმნის თავისი რჩეულის მოძებნისას. სიის დასაწყისში მოხვედრილი პოლიტიკური პარტიები შესაძლოა, გარკვეულწილად მოგებულიც კი დარჩნენ სიის ბოლოში მყოფებთან შედარებით, რადგან ბევრს, ალბათ, დაეზარება კიდეც იმხელა სიის კითხვა და პირველივე შემხვედრს შემოხაზავს თავმობეზრებული. ამერიკელებისა, სხვა სიკეთესთან ერთად, ამ მხრივაც გვაქვს შესაშური, რომელთა 250 მილიონიან ქვეყანაში სულ რაღაც ორი პარტია არსებობს და იბრძვის ამომრჩეველთა გულის მოსაგებად და ამ ორი პარტიიდან ხან ერთს აძლევს უპირატესობას ამომრჩევლის გული და ხან მეორეს, არჩევანი ადვილი გასაკეთებელია, ხოლო ჩვენმა ამომრჩეველმა 40-მდე ერთმანეთს სოკოებივით დამსგავსებული პარტიიდან ერთადერთი უნდა ამოარჩიოს, რაც დამეთანხმებით, არც ისე ადვილი გასაკეთებელია. მაგრამ სანამ ჩვენი პოლიტიკური მორევი დაწყნარდება და დაიწმინდება, მანამ კიდევ უამრავი წყალი ჩაივლის, ამიტომ სხვა გზა არ დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ვდუროთ თავი ამ პოლიტიკურ მორევში და ის ლოქოები გამოვარჩიოთ და შევაფასოთ, რომელთაც არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსები აქვთ. პირველ რიგში მათ შორის აღიარებულია საქართველოს მმართველი პარტია მოქალაქეთა კავშირი, რომელმაც 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 22% მოიპოვა, მაგრამ ეს 22% საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პარლამენტში მტკიცე უმრავლესობა მოეპოვებინა, რადგან ხმების დაახლოებით 7-7% კიდევ აღორძინების კავშირმა და ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს, ხოლო დანარჩენებმა იმ დროს არსებული 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს, რამაც საერთო ჯამში ხმების საერთო რაოდენობის 65% შეადგინა. ამის გამო ზოგიერთი პარლამენტს მოსახლეობის 35%-ის ნების გამომხატველის უწოდებდა და აქედან გამომდინარე, უკანონოსაც, მაგრამ ეს ზოგადთეორიული მსჯელობის საკითხად დარჩა. ფაქტი კი ის იყო, რომ ხმების 22%-ის მქონე მოქალაქეთა კავშირმა შექმნა თვისობრივად ახალი ხელისუფლება, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობაზე იყო დამყარებული. ის, წესით, უნდა გამხდარიყო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გუნდური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია და ამიტომ თითქოს მეტი სიკეთე და პროგრესიც უნდა მოეტანა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მოქალაქეთა კავშირი პრეზიდენტის ყოველი ნება-სურვილის აღმსრულებელ ორგანიზაციად იმდენად იქცა, რომ ზოგიერთი მას მონ-კავშირსაც კი უწოდებდა, ამიტომაც მთავრობის შედგენა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მაგისტრალური ხაზის განსაზღვრა და წარმართვა პრეზიდენტის პრეროგატივად იქცა, ხოლო დღეს არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე პრეზიდენტთან ერთად მოქალაქეთა კავშირიც აგებს პასუხს, თუმცა ხშირად ყოფილა, რომ მთავრობის კორუმპირებულობაზე ან კანონების შეუსრულებლობაზე ხშირად ხმამაღლა გამოუთქვამთ პროტესტი მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა ლიდერებს: ჟვანიას, ბარამიძეს, სააკაშვილს, მაგრამ პრეზიდენტს არასოდეს შეხებიან. პრეზიდენტი მათთვის ყოველთვის ის ბომონი იყო, რომელზეც მხოლოდ ლოცულობენ. ამიტომაც მათი კრიტიკა ჟღერდა, როგორც ღაღადი უდაბნოსა შინა. ზოგჯერ სასაცილოდაც ჩანდა მათი ფაფხური. აგინებდნენ იმავე ხელისუფლებას, რასაც თვითონ წარმოადგენდნენ. თუ მართლა გულით სურდათ რაიმეს გამოსწორება, მაშინ უნდა დარაზმულიყვნენ და კონსტიტუცია

გაგრძელება მე-8 გვ

### ასლან მასხადოვი:

# «ბასაევი არც ხელისუფლებას წარმოადგენს და არც ხალხს»

***მოსკოვში მომხდარი აფეთქებების შემდეგ ჩეჩნეთის პრეზიდენტთან ინტერვიუს წაკითხვა ალბათ, ბევრისათვის მძიმე იქნება, მაგრამ მის მიერ გამოთქმული აზრის ცოდნა აუცილებელია და გასათვალისწინებელიც.***



***– თქვენი აზრით, რა ხდება ამჟამად დაღესტანში?***

– დაღესტანში მომხდარმა მოვლენებმა, მართალი გითხრათ, არ გამაკვირვეს.

მსგავსი სცენარის მიხედვით დაიწყო სისხლიანი ომი ჩეჩნეთში. მაგრამ კრემლს არანაირი დასკვნები არ გაუკეთებია. უფრო მეტიც, არც კი უცდია თავისი პოლიტიკის შეცვლა კავკასიის მიმართ. ჩეჩნეთის ომის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ბოლოსდაბოლოს, უნდა შეიგნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ უნდა გამონახოს სრულიად ახალი მიდგომა. ჩეჩნეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების შემთხვევაში რუსეთს ექნება გარანტია სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებისა, გამყარებისა მთელს რეგიონში. მე ეს არაერთხელ აღმინიშნავს მოსკოველ პოლიტიკოსებთან საუბრისას. თუმცა, ამგვარ აზრს ყურად არ იღებენ. დღეს აუცილებელია სხვაგვარი ურთიერთობები დავამყაროთ რუსეთში შემავალი რესპუბლიკების მიმართ, როგორებიც არიან: დაღესტანი, ინგუშეთი, ყარაჩაევო-ჩერქეზეთი. გაუგებრობათა თუ არ გაგების შედეგია ის მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვთ დღეს დაღესტანში.

ჩებანმახში და კარამახში ცხოვრობენ დარგიელები. მათ ერთი წლის წინ განაცხადეს სურვილი იმის თაობაზე, რომ მათ ტერიტორიაზე გავრცელდეს შარიათის წესი. მაშინ მათ შეხვდნენ დაღესტნის ალმასკომის ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფი, აგრეთვე, მაშინდელი რუსეთის პრემიერ-მინისტრი სტეპაშინი. მაშინ ყველამ ერთმანეთს გაუგო. „ამ სოფლებში აბსოლუტურად ნორმალური ხალხი ცხოვრობს და მათი ხელის ხლება არ შეიძლება". განაცხადა მაშინ სტეპაშინმა და მოულოდნელად – ერთი წლის შემდეგ, კარამახელი და ჩებანმახელი მუსულმანები კრემლმა ბანდიტებად გამოაცხადა.

მაშ, რა მოხდა? კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ: დაღესტანში მომხდარი მოვლენების მთავარ პრობლემას რესპუბლიკაში რთული პოლიტიკური შიდა აშლილობა და რაღა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან შეუთანხმებელი პოლიტიკა წარმოადგენს.

გაიხსენეთ ხაჩილაევის მომხრეთა მიერ ქალაქის საბჭოს შენობის დაპყრობა. ვის სჭირდებოდა ეს? ჩეჩნეთს?

***– ბატონო პრეზიდენტო, ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკოსები ამტკიცებენ ჩეჩნეთის შეჭრას დაღესტანში და ასახელებენ კონფლიქტში მონაწილე ცნობილ ჩეჩენ საველე მეთაურებს.***

– დაღესტნის მოვლენების ინიციატორად არ უნდა მოისაზრებოდნენ ჩეჩნები და მით უფრო ჩეჩნეთის სახელმწიფო. ბასაევი – დიახ, ის მომხდარი მოვლენების საკმაოდ გამოჩენილი მოვლენაა, მაგრამ ვინ არის ბასაევი? იჩკერიის ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე. იგი არ წარმოადგენს ხალხს და ხელისუფლებას, ხოლო ნებისმიერ კონფლიქტში მონაწილეობა მისი პირადი საქმეა და ამის აკრძალვა არავის შეუძლია. ბალკანეთის კონფლიქტის დროს, სერბთა მხარეს ასობით ეთნიკური რუსი ომობდა. თუმცა ნატოს ხელმძღვანელობას არ დაუბომბია რუსეთის ტერიტორია და არ დაუდანაშაულებია მოსკოვი ალბანეთის მიმართ გამოვლენილ აგრესიაში.

***– მოსკოვში აფეთქებული საცხოვრებელი სახლების კომენტირების გაკეთებისას, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები და პოლიტიკოსები, კვლავ „ჩეჩნეთის კვალზე" საუბრობენ. რას***

*გაგრძელება მე-8 გვ.*

# „პანკისელ ქისტებს არჩევნების ხსენებაზე ეცინებათ"...

***ინტერვიუ საქართველოში რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენელთან, ბატონ ხიზრი ალდამოვთან.***

***– რესპუბლიკა იჩქერიამ 6 სექტემბერს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რვა წლისთავი იზეიმა, სადაც საქართველოდან დელეგაცია იყო მიპატიჟებული, მაგრამ უსაფრთხოების პირობების არ არსებობის გამო ვერ გაემგზავრნენ...***

– ჩეჩნეთის ხელისუფლება იძლეოდა დაცვის მყარ გარანტიას თავის ტერიტორიაზე, მაგრამ პრობლემები წამოიჭრებოდა ოსეთსა და ინგუშეთში, რადგან ისინი რუსეთის სუბიექტებია და ადამიანთა გატაცებები ხშირად ამ ტერიტორიებიდან ხდება.

***– ზოგიერთი ანალიტიკოსი თვლის, რომ ჩეჩნეთი სამოქალაქო ომის დაწყების საშიშროების წინაშე დგას. თქვენც ხომ არ იზიარებთ ამ აზრს?***

– რუსეთის დიდი სურვილის მიუხედავად, ჩეჩნეთში სამოქალაქო ომი არ იქნება. დღეისათვის რუსეთმა იჩქერიის 12 რაიონი დაბომბა.

რაც შეეხება ვაჰაბიტებს, მე არც კი ვიცი ვინ არიან. ისინი დაღესტანში მოქმედებენ. დაღესტნელებს საშველად რომ არ ეხმოთ, იქ არავინ არ შევიდოდა. მოხალისეებს კი ვერც ასლან მასხადოვი და ვერც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი ვერ გააჩერებს. პირველად რუსებმა დაადგინეს თუ როგორ შეიძლება მოხალისეების გამოყენება აფხაზეთში, სამაჩაბლოში თუ სხვაგან.

რუსეთს სურს მთელ ქვეყანას დაანახოს, თითქოს ასლან მასხადოვი ვერ აკონტროლებს რესპუბლიკას. ჩვენთან ომი 400 წელი არ შეწყვეტილა. ასეთ სიტუაციაში კი წესრიგის დამყარება ძალიან ძნელია. დღეს ყველა იმას ლაპარაკობს, რაც რუსეთის ინტერესებშია.

***– როგორც მოგეხსენებათ, ჩეჩნეთი გარე სამყაროსაგან ფაქტიურად მოწყვეტილია. მართალია, საავტომობილო მაგისტრალი იჩქერია-ივერია თითქმის დასრულებულია, მაგრამ ბოლო მომენტში საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა ამ გზის ამოქმედებაზე. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.***

– საქართველოს რუსეთთან პრობლემები აქვს და ეს ჩვენ, ჩეჩენ ხალხს გვესმის. იჩქერიიდან პირველი გზა მიუახლოვდა საქართველოს, რაც ჩვენს „უფროს ძმას" საშინლად აღიზიანებს. ბევრჯერ გამიგონია, რომ ამ მაგისტრალის გახსნა ქართველებისთვის საშინელება იქნება. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს ტყუილი და მოგონილია. ეს გზა გარდაუვალია, მაინც გაიხსნება, სჯობს ცოტა ადრე მოხდეს. აზრი, რომ ჩეჩნეთი გარე სამყაროსგან მოწყვეტილია, სიმართლეს არ შეეფერება. დღეს მე ხომ აქა ვარ! მარტო 600000 ჩეჩენია გასული რუსეთში. ეს ყველაფერი ფართო კავშირების შესაძლებლობებს იძლევა. გადაადგილება პრობლემა არ არის.

***– როგორც შევიტყე, ახლახანს ჩამობრძანდით ახმეტიდან, რამ გაიძულათ კიდევ ერთხელ სწვეოდით ამ რაიონს?***

– ტელეკომპანია „რუსთავის - 2"-ის დიქტორ ეკა ბერიძესგან შევიტყვე, რომ ახმეტის რ-ნში აიყვანეს ყალბი დოლარების შემომტანი ჯგუფი და მათ შორის, „თუ არ ვცდები, ერთი ჩეჩენი იყოო".

მე დავამტკიცე, რომ ამ საქმეში ჩეჩენი არ ერია. „რუსთავი - 2"-ს ეს აღარ აინტერესებს და თქვენ გეუბნებით. მთელი პანკისის ხეობა შემოვიარე, კაციშვილმა არაფერი არ იცის, ჩვენგან არავინ არ ყოფილა. თუ უშიშროებას აქვს დაკავებულთა გვარები და მათ შორის ჩეჩენია, რატომ არ მეუბნებიან?!

***– პანკისის ხეობას ხშირად უკავშირებენ ვინმე დუიშვილის შეიარაღებულ ჯგუფს...***

– ეს ტყუილი ინფორმაცია ნაციონალისტური პარტიისგან არის შემოგდებული. ისინი გაიძახიან საქართველოში 3500 ჩეჩენია შეიარაღებულიო, როცა ქალიანკაციანად ამდენივე ვართ. ე.ი. სუყველა შეიარაღებულები ვყოფილვართ. გამიშიფრონ ვის წინააღმდეგ ვაპირებთ ომს!

ეს ხალხი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს: შუქი არ არის, გზა აქ არ



ვარგა, ახალგაზრდობისთვის არანაირი გართობა არ არსებობს. ჩაბრძანდნენ და თავისი თვალით დარწმუნდებიან. ჭორაობას კი მოეშვან!

***-ქისტი მოსახლეობა მომავალ საპარლამენტო არჩევნებს როგორი თვალით უყურებს?***

– პანკისში ჩადიან პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები... ქისტები არჩევნებში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ, მაგრამ ახლა წინასწარ ეცინებათ. მათთვის ხვალინდელი დღე არ არსებობს, დღევანდელი დღით ცხოვრობენ.

საუბრის დასასრულს ბატონმა ხიზრიმ განაცხადა, რომ თუ საქართველოს გარედან საშიშროება დაემუქრება, ჩეჩნები ყოველთვის მხარში ამოუდგებიან. საქართველო მათთვის მთლიანი, განუყოფელი სახელმწიფოა, რომ ჩვენ თავად ვანაწყენებთ მათ ჩვენივე გამოთქმებით. ერთი ყურის - ჩეჩნები იქ არიან, მეორე გაიძახის - აქ არიანო, არსადაც არ არიან, აგერ ვზივარ მე და აქ ვიქნები ყოველთვის. თუ ჩვენ საქართველოს უბედურებას ვუქადით, მაშინ პირველად მე ვარ დასაჭერი.

ესაუბრა
ირმა ურბეხაშვილი

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### სადამდე შეიძლება ზნეობა-მორალის ნიშნულის დაცემა?

ქართველი ხალხი ოდითგანვე ზნეობრივი საყრდენების სიმყარითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. სწორედ ურთიერთანადგომამ, უღალატობამ, ქვეყნისა და კაცისადმი ერთგულებამ მოგვიყვანა აქამდე, თორემ ჩვენზე ბევრად დიდი და ძლიერი სახელმწიფოები და ერები გადაშენებულან ისტორიული არენიდან. თუმცა იყო პერიოდები, როცა ქართველი ერის ზნეობრივი საყრდენები ირყეოდა. მარტო გურამიშვილის სტრიქონები კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ დაეცა ზნეობა საქართველოში მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში: „შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა, ამპარტავნობა და შური, გზებზე დასხდომა გზირისაო". ეს იყო დრო, როცა ქართლის მეფე ვახტანგ VI, პეტრე პირველის მიერ მოტყუებული, რუსეთის ყინულოვან გზას დაადგა დახმარების გამოსათხოვად, ხოლო ქვეყანა უპატრონოდ დააგდო. სწორედ ქვეყნის უპატრონობაა მიზეზი არევ-დარევისა, ქაოსისა და ზნეობის გარყვნისა. ამგვარი მასიური უზნეობა ჩვენ გამოვცადეთ 1992 წლიდან 1995 წლამდე, როცა ქვეყანას შეიარაღებული ბანდები აწიოკებდნენ, ხოლო ქვეყნის მეთაური ამ ბანდების ყაჩაღებს დიდ პატივს მიაგებდა. იმ ოთხმა წელიწადმა კოშმარივით ჩაიარა, თითქოს ქვეყანა დალაგდა, სული მოითქვა, მაგრამ ახლა ჰასლტუხიანი ყაჩაღები ძარცვავენ და ანგრევენ ქვეყანას, ხოლო იგივე ქვეყნის მეთაური ახლა მათ მიაგებს პატივს. სწორედ ამიტომაც სულში ჩაფურთხებული ხალხი შიმშილითა და სიღარიბით სიკვდილისათვის არის განწირული. ეს გაჭირვება უბიძგებს მათს სულიერად სუსტ ნაწილს მოიპარონ სასაფლაოდან საფლავის ქვები და გაყიდონ, მოიტაცონ ადამიანები და გამოსასყიდი მოითხოვონ, ახალდაბადებული ჩვილები დედებმა გულმკერდიდან მოიცილონ და გაჰყიდონ, ან უპატრონოდ მიაგდონ. ამდენი მკვლელობა ახლობლებსა და სისხლისმიერ ნათესავებს შორის არასდროს ყოფილა. მეზობელი მეზობელს იმეტებს სასიკვდილოდ, ძმა-ძმას, მამა-შვილს და შვილი მამას. როდემდე უნდა ვიხრჩობოდეთ ამ სოდომ-გომორში? ასე თუ გაგრძელდა, ამ ქვეყანას მომავალი არ ექნება.

### ჯერ კონფერენცია, მერე სუვერენიტეტი

ამერიკის ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ – აფხაზეთი საქართველოს კონფლიქტის გადაჭრისათვის კონფედერაციის მოდელი მიიჩნია ოპტიმალურ გამოსავალად.

მაშ ასე, სოხუმის დაცემიდან 6 წლისთავზე საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად საერთაშორისო პოლიტიკური აზრი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ ტრიალდება და აფხაზურ სეპარატისტულ რეჟიმს საქართველოსთან კონფედერაციულ კავშირში შესვლის ღირსად თვლის. ამგვარი პოლიტიკა თუ კვლავ გაგრძელდება, კიდევ უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთს სუვერენულ სახელმწიფოდ ჩათვლიან, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება ისტორიაში შევა, როგორც საქართველოს ძირძველი კუთხის, აფხაზეთის დამკარგავი ხელისუფლება.

### რუსეთი და ჩრდილო კავკასია

– რუსეთი არ აპირებს ხელი აიღოს ჩრდილო კავკასიაზე. – კატეგორიულად განაცხადა პრეზიდენტმა ელცინმა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას.

ეს რომ ასეა, აშკარად ჩანს ჩეჩნეთის დაბომბვებითაც, რომელსაც უკანასკნელ დღეებში ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით ახორციელებს რუსეთის სამხედრო ავიაცია. სასტიკად დაიბომბა ჩეჩნეთის დედაქალაქი გროზნო, სადაც განადგურდა ნავთობსაცავები, ხიდები, ტელეცენტრი. რუსეთმა დაბომბვების მაგალითი აიღო ნატოსაგან, რომელმაც ამ რამდენიმე თვის წინ სერბული გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მიწასთან გაასწორა იუგოსლავია და ზოგიერთი ექსპერტის გამოთვლით მას 60 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ რუსეთმა დაბომბვები განაგრძო, ამ შემთხვევაში ჩეჩენთა მცირერიცხოვანი, მაგრამ ბრძოლისუნარიანი არმია თავად დაესხმება თავს რუსეთს, რაც დიდ ომში გადაიზრდება, რადგან ჩეჩნების უკან დგას ფინანსურად ძლიერი მუსულმანური სახელმწიფოები, რომლებიც არც ფულს და არც მომზადებულ „ბოევიკებს" არ დაიშურებენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრი ანალიტიკოსი ამერიკასაც დებს ბრალს მუსულმანურ ძალებთან ალიანსში, რათა მათი ხელით უფრო და უფრო დაასუსტონ რუსეთი და დაშლამდე მიიყვანონ. უახლოეს ხანებში გამოჩნდება, ვის რა ძალა შესწევს ამ დაუნდობელ დაპირისპირებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ზოგს მსხალი მოსწონსო, ზოგს ვაშლი, როგორც ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — მღვდლის ცოლიო...



ლეიბორისტმა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა: ნიუტონმა აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი იმით, რომ მსხალი დაეცა თავშიო. აქამდე ვიცოდით, რომ ნიუტონს თავში მსხალი კი არა, ვაშლი დაეცა, მაგრამ, ეტყობა, ბატონ შალვას მსხალი უფრო უყვარს, ვიდრე ვაშლი და ამიტომაც ნიუტონის ამ ფუნდამენტური კანონის აღმოჩენა მსხლის დამსახურებად მიიჩნია. კიდევ კარგი, ნათელაშვილს საზამთრო იმდენად არ უყვარს, თორემ რომ ეთქვა, ნიუტონს კანონის აღმოჩენამდე საზამთრო მოხვდა თავში, ცოტა არ იყოს, სასაცილო იქნებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, თავში საზამთროს მოხვედრით ტვინშერყეული კაცი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო აღმოჩენას აკეთებს.

### მტერს მტრულად უნდა დახვედრა

საქართველოს მთავარი რაბინი აღიელ დევინი ამბობს: თორაში წერია, რომ თუ ვინმეს უნდა შენი მოკვლა, დაასწარი მას და მოკალიო.

ცოტა მკაცრი კია ეგ ებრაული პოსტულატი, ბატონო აღიელ, მაგრამ საქართველოს მომრავლებულ მტერთა გათავხედებას რომ ვუცქერთ, სიბრძნედ მივიჩნევთ მაგ აზრს. ეგ კი არადა, ქართველ ხელისუფალთა მტრების მიმართ ზედმეტად ქრისტიანული გულმოწყალების გამო, რაც მარცხენა ლოყაში მორტყმის შემდეგ მარჯვენის მიშვერაში გამოიხატება, კარგი იქნებოდა მტრობა-მოყვრობის შესახებ ქადაგებას თუ წაუკითხავდით ჩვენს ხელისუფალთ, თორემ ერთ დროს მტერთა ზარის დამცემი და ძლევაი საკვირველის შემოქმედი ქართველი ერი ამ ხელისუფლების უძლური პოლიტიკის შედეგად ყველა მათხოვრისაგან თავში სატყაპუნო გახდა და იმდენად სამარცხვინო, რომ ალბათ, ჩვენი წინაპრების ძვლები საფლავში ტრიალებენ სირცხვილითა და ტკივილით.

### სჯობს ერთი ოჯახი იყოს აწეწილი, ვიდრე მთელი სახელმწიფო

მონაკოს დიდმა თავადმა რენიემ განაცხადა: ჩემი აზრით, სახემწიფოს პრობლემების მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე ოჯახისაო.

თუ გავითვალისწინებთ მონაკოს მშვენიერ სახელმწიფოებრივ მდგომარეობას, სადაც ხალხის ცხოვრების დონე ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოში, ხოლო თავად რენიეს ოჯახურ მდგომარეობას, დალაგებულს ვერ ვუწოდებთ, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ რენიეს ქალიშვილი ცნობილია თავისი ამურული სკანდალებით, მაშინ უნდა დავეთანხმოთ ბატონ რენიეს.

ჩვენ კი ამასთან დაკავშირებით ვიტყოდით, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩვენს სახელმწიფოს მეთაურს ოჯახი ჰქონოდა აწეწილი და სამაგიეროდ მის მიერ მართული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყოფილიყო საქებარი და წარმატებული, თორემ რა გამოდის: ერთი კაცის ოჯახი არის აწყობილი და ბედნიერი, ხოლო მილიონი ოჯახი კი ეკონომიკური გაჭირვებით, ლტოლვილების უბედურებით და უიმედობით დარჩენილი თავბედს იწყევლის.

## არჩევნები - არჩევნები

### შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

# „დასავლური სამყარო ქართველებისათვის მშობლიური სახლია...“

ჟურნალისტთა სახლში, ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის აკაკი სიხარულიძის ინიციატივით არჩევნებამდე ინტენსიური შეხვედრები შედგება მასმედიასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. სასტარტო შეხვედრა საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლობასთან მოხდა. სტუმრად მოწვეული იყვნენ სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე. ცნობილი ფსიქოლოგი და სახალხო ფრონტის პოლიტიკური მდივანი — შოთა ნადირაშვილი და აღმასრულებელი მდივანი, ბლოკ „სახალხო ფრონტი-ი.ჭავჭავაძის საზოგადოების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გოგი სორდია.

**ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ** მოახდინა იმ პროცესების ინტერპრეტაცია, რომელიც საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე მიმდინარეობს. მისი თქმით, რუსეთს ჩვენი ქვეყნის კვლავ დაპყრობა სურდა და ამისთვის სათანადოდაც ემზადებოდნენ.

— დასავლეთის სამყაროს კი თავისუფალი საქართველოსთვის ისეთი როლის მინიჭება უნდა, რომელიც ყველაზე უფრო ადვილ პირობებს შექმნიდა დასავლეთის გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ამ ზონაში. რა თქმა უნდა, ზესახელმწიფოებს სურთ იხილონ სუვერენული საქართველო, მაგრამ ისეთი, რომლის სუბიექტობა პოლიტიკაში, კონტროლუნარიანობა თავისი და მიმდებარე ტერიტორიების მიმართ ძალიან მკვეთრად არ იქნებოდა გამოხატული. ამიტომ არ დაუპირისპირდა რუსეთს, რომლის მიზანიც იყო ხელისუფლებაში ხუნტის მოყვანა.

ნათაძემ აღნიშნა, რომ შევარდნაძე თავისი პრაქტიკული პოლიტიკით ხელს უშლის ჩრდილოეთ კავკასიის სამხრეთი ზოლის რუსეთისგან განთავისუფლებას და შესაბამისი ფაქტებიც მოიშველია:

— მიუხედავად ჩვენი პარტიის მრავალჯერადი მოთხოვნისა, ჩეჩნეთის ომის დროს ხელისუფლებას გაეკეთებინა განცხადება, რომ საქართველოს ტერიტორიის არცერთი მილიმეტრი არ იქნებოდა გამოყენებული სამხედრო მოქმედებისათვის, მითუმეტეს რუსული ბაზების არსებობის პირობებში, ასეთი განცხადება მაინც არ გაკეთებულა.

ასევე, ძალიან არის ევროპა დაინტერესებული, რომ ჩვენმა სახელმწიფომ გაიყვანოს მშვიდობის გზა ჩეჩნეთისაკენ, რომელსაც დააფინანსებენ. არც ეს რეკომენდაცია შეასრულა ხელისუფლებამ. ამ გზით გამოირიცხებოდა ჩეჩნეთის ბლოკადა. დასავლეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობიანი შეღწევა სურს, საწინააღმდეგოში მხოლოდ რუსეთია სისხლხორციელად დაინტერესებული. შევარდნაძემ სწორედ რუსული ვარიანტი განახორციელა.

სახალხო ფრონტის ლიდერმა ყურადღება გაამახვილა ბათუმსა და თბილისს შორის არარსებულ კონფლიქტზე, რომელიც ერთი ცენტრის მიერ არის გათამაშებული და ის რუსეთის ინტერესებში შედისო.

ბატონი ნოდარი შეეხო რა საქართველოს პერსპექტივას, აღნიშნა:

— ჩვენთვის არასასურველი ვარიანტია ფედერალიზაცია, რომელიც შეუთავსებელია სახელმწიფოს ძლიერებასთან. ქვეყნის დაქუცმაცება პროვინციებად, ეს არის ზესახელმწიფოების ყველაზე ბუნებრივი გეგმა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთან ვერ ნახავენ მკაფიო სახელმწიფოებრივი ნების განმასახიერებელ ისეთ ძალას, რომელსაც უყოყმანო დასავლური ორიენტაცია აქვს. ქართველებისათვის დასავლეთი საკუთარი სახლია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ნათაძის აზრით, მონკავშირს ანუ ე.წ. მოქ. კავშირს ერთადერთი არგუმენტი აქვს, რომლითაც ხალხს სთხოვს ვადის გაგრძელებას:

— ეს არგუმენტი ასეთია: მართალია, ჩვენ ქურდბაცაცები ვართ, მაგრამ მაძღრები, ჩვენს შემდეგ მშივრები მოვლენ და საშინელებას დაგმართავენ. ამის მეცნიერული პასუხი არსებობს: ხროვას რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია აქვს და მადაც დიდი სისწრაფით ეზრდება.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ მოქალაქეთა კავშირის ხელისუფლებაში დარჩენა დამღუპველი იქნება საქართველოსთვის, ისევე, როგორც აღორძინებისა: — მათი გეგმა ერთია: დაკანონდება რუსული ბაზები, გაღრმავდება თანამეგობრობის ქვეყნების კავშირთან ინტეგრაცია, საქართველომ შეიქმნება უცხო ქვეყანა „სამხრეთ ოსეთის“ სახით, აფხაზეთში კი მოხდება იურიდიული კაპიტულაცია. მოხდება საქართველოს ფედერალიზაცია ანუ დაშლა ისტორიულ პროვინციებად, რომელსაც მოჰყვება ქართველების ეროვნული ცნობიერების დაშლა.

**ბატონმა შოთამ** კი ისაუბრა იმ ფსიქოლოგიური თავისებურებების გარშემო, რაც ჩვენთან მიმდინარე პროცესებს თან ახლავს: მისი თქმით: — სანამ პიროვნება თავისუფლებამდე მივიდოდეს, თავს იზოლირებულად, მოწყვეტილად გრძნობს. საქართველოსაც ეს დაემართა. თავისუფლებამდე ვერ მივედით. გამოჩნდა უკან, რუსეთისაკენ დაბრუნების ტენდენცია (ზოგიერთისთვის), რაც ბუნებრივი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა.

აგრეთვე დასძინა, რომ ხალხი ისეთია, როგორი ხელისუფლებაც ჰყავს და არა პირიქით.

საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა **გოგი სორდიამ** დიდი ყურადღება დაუთმო წინასაარჩევნო პროცესს. მან ძალზედ არადემოკრატიული უწოდა საარჩევნო კანონს, იმ კანონებთან შედარებით, რომელთა მიხედვითაც ჩატარდა წინა არჩევნები. საარჩევნო კომისიების ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს საკრებულოს არჩევნებში პირველ შვიდ ადგილზე გასული პარტიები: — გაუგებარია, ჩვენ ამ კანონის განხილვაში მონაწილეობას ვღებულობდით. რატომ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც შვიდი და არა ცხრა ან ხუთი.



შეგნებულად ყოფილა ჩაგდებული მოსახლეობის აღწერა, ასე რომ, თურმე ძალიან ბუნდოვანია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც გასული არიან ქვეყნის გარეთ: — დღემდე არა გვაქვს ინფორმაცია რომელ ქალაქებსა და რაიონებში იქნება საარჩევნო უბნები. ამიტომ გასული ადამიანების ხარჯზე გაყალბების ალბათობა ძალიან დიდია — დასძენს ბატონი გოგი და განაგრძობს: — ჩვენ ვიბრძოდით იმისათვის, რათა დამატებითი სიები ამოღებულიყო საარჩევნო კანონიდან, რადგან ამ სიებში ხელოვნურად ხდება მოსახლეობის რაოდენობის ზრდა.

ასევე თურმე დეპუტატობის კანდიდატი ვერ გახდება ადამიანი, რომელსაც ახალი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არა აქვს.

საარჩევნოდ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებთან დაკავშირებით კი აღნიშნა: — კანონში არ წერია ბიუჯეტიდან რამდენი გამოიყოფა პარტიებისათვის და როდის! შეიძლება ეს მოხდეს 32 ოქტომბერს. პრაქტიკულად დაფინანსების არანაირი შანსი არ არსებობს.

სახელმწიფო ტელევიზიას საეთერო დროის გაყიდვის უფლება არა აქვს. დაშვება მხოლოდ კერძო ტელეკომპანიებზეა. იქაც ყველა პარტიისთვის თანაბარი დრო უნდა იქნეს გამოყოფილი. მოქალაქეთა კავშირის რეკლამები კი რეგულარულად გადაიცემა და ჩვენ უთანასწორო ჭიდილში აღმოვჩნდით. კანონი აქაც დარღვეულია. ასე რომ, როგორც ბატონი გოგი ამბობს, სამწუხაროდ, მიმდინარეობს პარტიების ჩამოყალიბება, მოძლიერების პროცესი ფინანსური ნიშნით.

**ირმა ურბეხაშვილი**

## დეპუტატობის კანდიდატი

### *გელა ღლიღვაშვილი:*

# ჩვენ ჩვენი თავის პატრონი უნდა ვიყოთ

***— ბატონო გელა, რაც უფრო ახლოვდება 31 ოქტომბრის არჩევნები, წინასაარჩევნო ბატალიები ერთგვარი სიმძაფრით მიმდინარეობს. სახალხო ფრონტი, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, აქტიურად არის ჩართული საპარლამენტო არჩევნებში...***

— ხშირ შემთხვევაში ამ საარჩევნო ბატალიებს არაფერი საერთო არა აქვს იმ პოლიტიკურ ამოცანებთან, რაც დღეს ქვეყნისათვის პირველი რიგის ამოცანებს წარმოადგენს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, საარჩევნო კამპანიები მიდის თვითმიზნურად, ქვეყნის პოლიტიკური ამოცანები და გარკვეული პერსპექტივები სხვა მიმართულებაში რჩება. სახალხო ფრონტი ცდილობს ეს ყველაფერი მოექციოს ერთ ამოცანაში. მიუხედავად ფინანსური სიმწირისა, ვცდილობთ გამოვუშვათ ბუკლეტები, სადაც დაფიქსირებული იქნება ჩვენი პოლიტიკური ხედვა იმ პროცესებისა, რაც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს. თუ 1992-93 წწ. ბატონი ნოდარ ნათაძე მწვავედ აყენებდა რუსეთის ბაზებთან დაკავშირებულ საკითხებს, დღეს ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს ამ საკითხებს იგივე ელფერი მისცეს. ელფერის მიცემა და საკითხის ხედვა კი ერთმანეთისგან განსხვავდება. ასე რომ, დღეს მღელვარებასა და დაძაბულობაზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ბევრი პარლამენტში თავშესაფარს ეძებს. მე ნაკლებად მაინტერესებს ამ არჩევნების შედეგები — თუ ვინ გაიმარჯვებს. ბევრად უფრო მაინტერესებს, არჩევნების შემდგომ რა იქნება.

***— რატომ?***

— ბევრი მიზეზის გამო. სხვა თუ არაფერი, ამა თუ იმ ფორმით მოხდება ხელისუფლების გადანაწილება, დღევანდელ საქართველოში ეს ხშირ შემთხვევაში ულუფის გადანაწილებასთან არის დაკავშირებული. დღევანდელ პოლიტიკოსებს არ უჭირთ მრწამსის შეცვლა. აი, ულუფის გადანაწილება ცოტა რთული პროცედურაა და ეს ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული.

თუ ადრე ჩვენი ყველაზე დიდი მეგობარი იყო რუსეთი, არც ისე დიდი ხნის წინ ის შეცვალა დასავლეთმა. დღეს ისევ რაღაც იცვლება. რაღაც ნაწილი რუსეთისკენ გადაიხარა. ქვეყანა ჯერჯერობით რეალური დამოუკიდებლობის სუბიექტად არ ჩამოყალიბებულა.



***— სახალხო ფრონტი დაარსების დღიდან ეროვნულ ნიადაგზე დგას, მას ამ მიმართულებისთვის არ გადაუხვევია. დღეს რამდენად მომგებიანია ასეთი პოლიტიკა?***

— ძალიან საინტერესო საკითხია. ამ ბოლო დროს ხშირია შეძახილები, რომ აი, მე პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი ვარ. ეროვნული სულისკვეთება ყველაფერთან ერთად ძალზე პრაგმატული სულისკვეთებაა. მომგებიანია თუ არა, სხვა საკითხია. ჩვენ

*გაგრძელება მე-12 გვ.*



მე-2 გვერდიდან.

ინტერვიუ

*გიორგი გოგნიაშვილი:*

# ხელისუფლება ცდილობს რეგიონებში შეინარჩუნოს მონათმფლობელური სიტუაციები

რეფორმა ჩვენთან არ განხორციელებულა. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვერ არიგებს პენსიებს, არის გაუცემელი ხელფასები, ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური კუთხით წინ არ წავსულვართ.

**– თქვენი ფრაქცია, შეიძლება ითქვას, ყველაზე თავგამოდებული ებრძოდა კორუფციას...**

– დღეს რა მასშტაბები აქვს ქვეყანაში კორუფციას, ამას ჩემი შეფასება არ სჭირდება. არა მარტო ჩვენ, პოლიტიკოსები, არამედ ბევრი უცხოელი ექსპერტიც იმას ამტკიცებს, რომ უფსკრულის პირას ვართ. თითქმის 70% ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოდის. თუ რაღაცა ძალიან სწრაფად და რადიკალურად არ შეიცვალა, შეიძლება გამოუსწორებელი სიტუაციები მოჰყვეს ამას.

ასე რომ, თუ დასაწყისი ჩვენი პარლამენტის მუშაობისა დიდი იმედისმომცემი იყო, დასასრული ცუდი აღმოჩნდა.

***– პარლამენტის მიერ მიღებული 700-მდე კანონი, იმედისმომცემი ნიშანი არ არის?***

– თუ ახალ პარლამენტში უმრავლესობა შეიცვლება და მე იმედი მაქვს, რომ ასეც მოხდება, მას მოუწევს ამ კანონებში ცვლილებების შეტანა და გამოსწორება.

***– ე.ი. გამოდის, რომ მათ მიღებას არავითარი აზრი არ ჰქონია, თუ ყველაფერი შესასწორებელი იქნა.***

– არა, აზრი ჰქონდა, რაღაცა გაკეთდა, ნაბიჯები გადაიდგა, რომ პარლამენტარიზმის კულტურა შემოსულიყო ქვეყანაში. თუმცა, საარჩევნო კანონის შეცვლით, ნაცვლად იმისა, რომ მრავალპარტიული სისტემის სრულყოფა მომხდარიყო, უკან წავედით – მივიღეთ ხელოვნურად შექმნილი ბლოკები, რომლებშიც ათ-ათი და ოც-ოცი პარტიაა გაერთიანებული. ამის გამო გაცილებით ჭრელ პარლამენტს მივიღებთ, ვიდრე წინა მოწვევაზე იყო. ასე რომ, ამ პარლამენტმა წინსვლის ნაცვლად უკან წაიყვანა ქვეყანა – პოლიტიკური თვალსაზრისით, ეკონომიკური თვალსაზრისით. არ არსებობს ქვეყანაში სფერო, რომელშიც ქვეყანას წინსვლა ეტყობოდეს.

***– ევროსაბჭოში გაერთიანება, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის განხორციელება წინსვლა არ არის?***

– ევროსაბჭოში საქართველოს გაერთიანებას პრეზიდენტი და მმართველი პარტია მიიწერს, რომ ეს არის ჩვენი დიდი, ბრძენი პოლიტიკოსის დამსახურება, რომელმაც დაანგრია ბერლინის კედელი და ათასი სასიკეთო საქმე გააკეთა. მოლდავეთის პრეზიდენტი ლუჩინსკი არ ყოფილა მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი. ტერიტორიული პრობლემები არანაკლებ მძიმე აქვს მოლდავეთს, ვიდრე საქართველოს. საქართველოზე ნაკლები მოსახლეობა ჰყავს, 3 მილიარდი ბიუჯეტი აქვს, და ჩვენზე გაცილებით ადრე შევიდა ევროსაბჭოში. ამით იმის თქმა მინდა, რომ ევროსაბჭოში გაერთიანება არ არის საქართველოს დამსახურება. ეს ჩვენი სტრატეგიული ინტერესი კი არ იყო, პირიქით, ევროსაბჭოს სტრატეგიულ ინტერესებში ჩავჯექით, რომ წინააღმდეგები არ წავედით. ავიღოთ რუსეთის მაგალითი. საქართველოს ერთი ნაბიჯით მეტი არ გადაუდგამს, ვიდრე რუსეთს. რუსეთი ჩვენზე ადრე შევიდა ევროსაბჭოში და დაიწყო დასავლეთთან, ნატოსთან თანამშრომლობა. რა გავაკეთეთ ისეთი, რითაც რუსეთს გადავასწარით და დასავლური ორიენტაციის ქვეყნად წარმოვდექით? ზურაბ ჟვანია და რეზო ადამია საგაზეთო პუბლიკაციებში ამბობენ, რომ ჩვენთან რუსეთის ბაზები არ უნდა იყოს, მაგრამ რა ნაბიჯი გადადგა ქვეყანამ ისეთი, რომ ეს ბაზები არ არსებობდეს? რა ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რომ ერთხელ მაინც კონსტიტუცია არ დაგვერღვია და სამშვიდობო ძალებს ყოველწლიურად ავტომატურად არ უგრძელდებოდეს მანდატი? იმის შიშით, რომ არჩევნებში, – იქნება ეს ოქტომბრის საპარლამენტო, აპრილის საპრეზიდენტო და შემდგომ ადგილობრივი არჩევნები – ვითარება არ გამწვავდეს, რუსეთის სამშვიდობო ძალებს და ბაზებს სამუდამოდ ვაკანონებთ. რათ უნდა პარლამენტის წევრს საგაზეთო პუბლიკაცია, მას სჭირდება პულტი, რომლითაც განსაზღვრავს, უნდა იყოს სამშვიდობო ძალები თუ არა, დანარჩენი ნებისმიერი გამონათქვამი არის დემაგოგია.

ერთადერთი წინსვლა ის არის, რომ ხალხი თბილისში უმიზეზოდ არ იხოცება. რეგიონებში ძალიან დიდი პრობლემების წინაშე ვდგევართ. ავიღოთ თუნდაც ახალქალაქის და ნინოწმინდის ბოლოდროინდელი მოვლენები. რისი ბრალია? ხელისუფლება ცდილობს, რეგიონებში შეინარჩუნოს მონათმფლობელური სიტუაციები. რას შვრებიან გუბერნატორები – არაკონსტიტუციურად შექმნილი ინსტიტუტი პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულებისა? ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. არ შეიძლება ასეთი უფლებამოსილების მქონე ადამიანები იყვნენ იქ. ესენი არიან მუქთამჭამელები, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტს ჭამენ, თუ რა უფლებამოსილებას ახორციელებენ და რა დღეში აგდებენ ქვეყანას, ცალკე საუბრის თემაა.

***– გებურნატორობის ინსტიტუტს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ადგილობრივ თვითმმართველობაზეც არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს.***

– თითქოს შევქმენით ადგილობრივი თვითმმართველობა. დავნიშნეთ ქალაქის მერები და რაიონის გამგებლები. საბიუჯეტო, საკუთრებითი ურთიერთობები ვერ დავარეგულირეთ რაიონსა და სოფლებს შორის. ეს პრობლემები განგებ დავტოვეთ. ფასადი შეიცვალა – ქვეყანას აქვს კონსტიტუცია, ჰყავს პარლამენტი, პრეზიდენტი, ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოები, პენიტენციალური სისტემა გადავეცით შინაგან სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს – სინამდვილეში ეს სისტემა ისევ შსს-ს კონტროლის ქვეშ არის, არ ვასრულებთ ევროსაბჭოს მოთხოვნებს, არ არის განსაზღვრული რაიონის და სოფლის ფუნქცია. რა არის ეს? რა, ევროსაბჭოს ვაყრით ნაცარს თვალში თუ დასავლეთს? არავის, ჩვენს თავს ვატყუებთ. სიტუაცია ძალიან მძიმეა. უფრო გაგვიძნელდება მისი გამოსწორება, რადგან ცარიელ ადგილას ახლის აშენება უფრო ადვილია, ვიდრე მახინჯი შენობის დანგრევა და თავიდან აშენება. ჩვენ მახინჯი შენობა ავაგეთ.

***– თქვენი ფრაქცია პარლამენტის სხდომებზე ყოველთვის გაბედული გამოსვლებით და წინადადებებით გამოირჩეოდა.***

– გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა – თუ არა ჩვენი ფრაქცია, კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ შეიძლება ასეთი სახითაც არ გვქონოდა. გახსოვთ, ვანო ხუხუნაიშვილი უმრავლესობამ დანიშნა ამ საკითხების ხელმძღვანელად. მისი უშუალო მეცადინეობით რეგიონებში და რაიონებში შეიქმნა პოლიტიკური ინფრასტრუქტურა. ადრე იქ პოლიტიკურ ორგანიზაციებს ფუნქცია არ გააჩნდათ, გარდა იმისა, რომ 4-5 წელიწადში ერთხელ ან პრეზიდენტისთვის მიეცათ ხმა, ან პარლამენტის წევრისათვის. დღეს მათ, ავად თუ კარგად, ფუნქცია გაუჩნდათ.

ჩვენი დიდი წვლილი იყო სამოქალაქო კოდექსის მიღებაში, სასამართლო რეფორმის დაწყებაში, რომელიც სწორად ვერ განხორციელდა. სამწუხაროდ, ჩვენ გვქონდა 24 პულტი, რომელიც არ იყო საკმარისი, მათი მოქმედება დაგვებლოკა.

ნებისმიერი წლის ბიუჯეტიდან ჩანს, რომ ის არის კორუფციის შემცველი და კორუფციის გარემოს შემქმნელი. 1996-98 წლების ბიუჯეტები ასეთი იყო. თუ ახალი ბიუჯეტი უფრო უარესი არ მივიღეთ, ჩვენი ფრაქციის დამსახურებაა. თუ არ ვცდები, 1997 წლის ბიუჯეტი იყო 47 მუხლიანი, ჩვენი მეცადინეობით ის 27 მუხლამდე დავიდა. დანარჩენი 20 მუხლი კონსტიტუციასთან და სხვა კანონებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ეს გაკეთებული იყო იმისათვის, რომ უფრო მეტი ფული შეხვედროდათ ჩინოვნიკებს.

***– იმედია, მომავალ პარლამენტშიც არ შეანელებთ ამ მხრივ თქვენს მოქმედებას.***

– რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი მიზნები და იმედები გვაქვს. ვთვლით, რომ ცალკე აღებული ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს უმრავლესობაში მოსვლას. თუ უმრავლესობა იქნება, ეს იქნება სხვადასხვა ფრაქციებისგან შექმნილი კოალიცია. ამ ახალ უმრავლესობაში ჩვენ ჩვენს თავსაც წარმოვიდგენთ. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ქვეყანამ რეალურად გადადგას წინ ნაბიჯი, ყოველ შემთხვევაში, სუბიექტური მიზეზები მოვხსნათ, რომელიც დღეს არსებობს და ობიექტური მიზეზების გადაჭრაზე ვიზრუნოთ. დღეს ძირითადად სუბიექტურ მიზეზებს ვებრძვით. მე მახსოვს, საგადასახადო კოდექსში ცვლილება შემოდიოდა იმისათვის, რომ ვიღაცას 5 „მერსედესი“ ჰქონდა ჩამოსატანი და იმის დაბეგვრასთან დაკავშირებული ოპერაციები რომ არ მომხდარიყო. ხე-ტყის ექსპორტზე შემოდიოდა კანონი. ეს იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, სავალუტო ფონდის მოთხოვნა. როცა ჩვენ ვთქვით, რომ ხე-ტყის ექსპორტი უნდა იყოს, დაიწყეს ლაპარაკი – „სახალხო პარტია“ ხე-ტყის ბიზნესშიაო. ამის გასაბათილებლად ვუპასუხეთ, ხე-ტყის უკანონო მოჭრაზე მივიღოთ კანონი. რისი მოჭრაც დასაშვებია, ის ექსპორტის სახით უნდა გავიდეს. თუ ჩვენ დასავლურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გვაქვს პრეტენზია, ეს მართლაც ასე უნდა მოხდეს. მათ მალე შემოიტანეს ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვით, მხოლოდ ერთ ფირმას, რომელთანაც სახელმწიფო დებდა ხელშეკრულებას, ექნებოდა ხე-ტყის ექსპორტის უფლება. ეს ფირმა დაკომპლექტებული იყო მოქალაქეთა კავშირის წევრებით.

***– ხომ შეიძლება ეს ხე-ტყე აქ დამუშავდეს და მზა სახით გავიდეს საზღვარგარეთ. ამით ჩვენთან მუშა-ხელიც დასაქმდება, სამუშაო ადგილებიც გაჩნდება...***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ასეთი ინტერესი ამ კანონპროექტში არ იყო ჩადებული. სინამდვილეში, კანონის მიღების მთავარი მიზანი იყო ვითომ აკრძალულიყო ხე-ტყის ექსპორტი, სინამდვილეში მისი უფლება ერთ კონკრეტულ ფირმას მისცემოდა.

ჩვენი ფრაქციის დევიზი იყო, ვყოფილიყავით ყველგან, სადაც საქმე კეთდებოდა და ფუჭდებოდა, სადაც საქმე კეთდებოდა – ხელი შეგვეწყო და პირიქით, სადაც ფუჭდებოდა – ხელი შეგვეშალა. ავად თუ კარგად, ეს ჩვენ მოვახერხეთ.

***– რომელ რეგიონებში, რაიონებში გაქვთ დიდი შანსები?***

– თითქმის ყველგან ძალიან დიდი შანსი გვაქვს. მე ვხელმძღვანელობ კახეთში საარჩევნო კამპანიას, კურატორი ვარ და ვიცი, რომ რვავე რაიონში საკმაოდ ძლიერი პარტიული ორგანიზაციები გვაქვს. ასევე დიდი ძალები გვყავს თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამხრეთ საქართველოში. ეს ის რაიონებია, სადაც ბევრ მაჟორიტარ კანდიდატს ვაყენებთ, რომლებიც საკმაოდ კონკურენტუნარიანნი იქნებიან. ძლიერი პოზიციები გვაქვს გურიაში, სამეგრელოში ჯავახეთში – ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, სადაც ჩვენთან მეტოქეობა თვითონ მოქკავშირსაც გაუჭირდება. ერთადერი სუსტი წერტილი აჭარის რეგიონია.

თუ შევაჯამებთ ჩვენს პარტიულ მოღვაწეობას და აქედან გამომდინარე, თუ რა შედეგს უნდა ველოდოთ, მე მარტო დიდი იმედით არა ვარ. ჩვენი მუშაობა საკმაოდ წარმატებული იქნება და ეს გამოჩნდება კიდეც 31 ოქტომბრის არჩევნებში. ჩვენ არა ვართ ის პარტია, რომელიც ელოდება, გადალახავს თუ არა ბარიერს, ჩვენ ვართ პარტია, რომელიც ცდილობს შექმნას დიდი და მრავალრიცხოვანი ფრაქცია, რომლის გარეშე და ანგარიშგაუწევლად შეუძლებელი იქნება საქართველოში პოლიტიკის გაკეთება.

***– გმადლობთ.***

ამრიტა ჯანაშია

# ვინ გვყავს ასარჩევი, ანუ ვინ ვინ არის

მე-2 გვერდიდან.

აძლევდა მათ საშუალებას საპარლამენტო უფლებამოსილებით წინ აღდგომოდნენ კორუმპირებულ მინისტრებს, უვარგის ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკას, რომლის გამოც ვერ ვიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს, ხოლო ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშია ჩავარდნილი, ხალხი კი შიმშილობს. მაგრამ ამის ნება არ აღმოაჩნდა მოქალაქეთა კავშირს, რის გამოც პარლამენტში დამოუკიდებელი საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ შეიქმნა და პარლამენტი პრეზიდენტის ძალაუფლების ერთ-ერთ შტოდ იქცა. აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა კავშირი და პრეზიდენტი ერთ მთლიან წარმონაქმნს წარმოადგენს და ამიტომ პასუხი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე მოქალაქეთა კავშირმაც ისე უნდა აგოს, როგორც პრეზიდენტმა. თუმც არ ვიქნებით ობიექტურები, თუ არ ვიტყვით იმ დადებითზეც, რაც ამ ხელისუფლების მმართველობის წლებში შეიმჩნევა. კერძოდ, ის, რომ ჩამოყალიბდა და ვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები, კონკრეტულად, დამოუკიდებელი პრესა, რომელიც დასჯის შიშის გარეშე აკრიტიკებს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს, თუმცა წერე და იკითხეს ატმოსფეროში პრესის კრიტიკას არც თანამდებობის პირები არ უფრთხიან, რაც პრესისადმი ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის გამოხატულებაა. სხვათა შორის, ეს ხელისუფლების კორუფციასთან შეგუების ნიშანია ან თვითონ ხელისუფლების კორუმპირებულობას უსვამს ხაზს.

მოქალაქეთა კავშირი ამაყობს სასამართლო რეფორმის განხორციელებით, მაგრამ ეს რეფორმა ნახევრად რეფორმაა, რადგან ნამდვილ რეფორმას არ წარმოადგენს მხოლოდ გამოცდაჩაბარებული მოსამართლეების სასამართლოებში მოყვანა, რომელთაგან ბევრი, არ არის გამორიცხული, კორუმპირებული იყოს ან ასეთი გახდეს, რადგან მაინც ერთპიროვნულად განიხილება და წყდება სასამართლოს საქმეები. ნამდვილი რეფორმის სურვილის შემთხვევაში უნდა შეცვლილიყო მთლიანად სასამართლო სისტემა და დამკვიდრებულიყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რაც არის ყველაზე ცივილური და დემოკრატიული მსოფლიოში.

მოქალაქეთა კავშირს, როგორც მმართველ პარტიას, ქვეყნის ხელისუფლებაში ყოფნის ოთხწლიან პერიოდში მართლაც ბევრი მინუსი და საკრიტიკო დაუგროვდა. ცივილიზებულ ქვეყნებში არჩევნებში მის გასაშვებლად მარტო დაკარგული ტერიტორიების დაუბრუნებლობა იკმარებდა, რომელთა დაკარგვაც ამავე პარტიის თავმჯდომარესთან არის დაკავშირებული, რომ არაფერი ვთქვათ მილიონი სამუშაო ადგილის შეპირების სამასხაროდ გადაქცევაზე და ქართველი ხალხის თავზე შიმშილისა და ათასნაირი გაჭირვების დოლაბის დატრიალებაზე. მაგრამ ეს უტყუარი ბრალდებები მოქალაქეთა კავშირს, როგორც ზემოთ ვთქვი, მხოლოდ ცივილიზებულ ქვეყნებში დააჩოქებდა, ხოლო ჩვენთან კვლავ მამამარჩენალ არქიფო სეთურის ძიებაში მყოფი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილში მიჩვეული ჭირის ფსიქოლოგია და შევარდნაძის, როგორც ქვეყნის მეთაურის შეუცვლელობის იმიჯი ისეა გამჯდარი, რომ ამ ხალხს, ეტყობა, ბიბლიური მოსეს ექსპერიმენტი ანუ 40 წელიწადი უდაბნოში ხეტიალი სჭირდება თვალებზე გადაკრული ლიბრის ჩამოსარეცხად.

ბია თვალავაძე

გაგრძელება მომდევნო ნომერში

თვალსაზრისი

# „პაპიზმი ახალი გამცემლობაა უფლისა, ახალი ჯვარცმაა მისი“

ხრწნად, წარმავალმატერიალურ ფასეულობათა აღრევა ჭეშმარიტად მარადიულ სიმდიდრეში – სულიერ ფასეულობებში დაუშვებელია, განსაკუთრებით დღეს. ჩვენი სიდუხჭირის პირობებში სულიერი სიფხიზლე გვმართებს, რამეთუ გამრავლდა ანგარების ისეთი გამოვლინებანი, როცა მატერიალურს გვთავაზობენ და სულიერს კი წარიტაცებენ. უნდა ვეცადოთ, წინ აღვუდგეთ იმ სულიერ ექსპანსიას, რომელმაც უკვე დიდი ხანია იჩინა თავი და ბოლო ჟამს საგრძნობლად გაძლიერდა.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც პირველად გვაცნობეს – საქართველოში რომის პაპი ჩამოდისო. ამ ინფორმაციას ჩვენი მოსახლეობის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ინტელიგენცია, აღფრთოვანებით შეხვდა, მეორე კი – მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი და, საერთოდ, მართლმადიდებლური ცნობიერების მქონე ადამიანები – შეშფოთებით. რამ გაახარა ქართველთა ერთი ნაწილი ან მეორე რამ დაამწუხრა?

რა არის პაპიზმი და ვინ არის რომის პაპი? ამ კითხვების პასუხი თავისთავად ნათელს მოჰფენს, რატომ არ არის სასურველი (რბილად რომ ვთქვათ) ამ პოლიტიკურ-რელიგიური ფიგურის სტუმრობა საქართველოში.

მოგეხსენებათ, სარწმუნოებრივი დაბნეულობა, უფრო სწორად კი ლათინთა (ანუ ე.წ. კათოლიკეთა) განდგომა ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან IX საუკუნეში გაცხადდა და მას შემდეგ ეს პროცესი დღემდე არ შეწყვეტილა. ეკლესია თითქმის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიუთითებდა ლათინებს მათ შორის გაჩენილ შეცდომებსა და არასწორ სწავლებაზე. მოთმინებით, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა მათგან არასწორი სარწმუნოებრივი სწავლების უარყოფას. მაგრამ ისინი წინ აღუდგნენ ეკლესიის სწავლებას და საკუთარი გონებით მოისურვეს სულიწმიდის შესახებ დოგმატის შეცვლა („კათოლიკეები“ სულიწმიდის „მამისაგან და ძისაგან“ გამომავლობას ასწავლიან სახარებისეული სწავლების საწინააღმდეგოდ), რომელიც ჯერ კიდევ პირველმა და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებებმა (შესაბამისად, 325 წელს ნიკეაში და 381 წელს კონსტანტინეპოლში) მიიღეს და დაამტკიცეს. მათ შემდეგ კი ხუთივე საეკლესიო კრებამ აღიარა და დაადასტურა ეს სწავლება. თუმცა ლათინთა მხრიდან ეკლესიაში სიახლეთა შემოტანის მცდელობა მხოლოდ ამ დოგმატის შეცვლით არ დასრულებულა. ასე რომ, ეკლესიის სწავლებათა წინ აღდგომით ე.წ. კათოლიკეებმა თავი ეკლესიის გარეთ დააყენეს. ეკლესიის ზღუდის გარეთ დარჩენილთ კი „მგელი“ რომ წარიტაცებს, ეს აზრი არახალია და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით არის დამტკიცებული.

როგორც ცნობილია, პაპისტური განდგომილება ეკლესიამ პატრიარქ მიქელ კერულარიელის დროს დაგმო. იგი დაგმობილ იქნა ასევე კონსტანტინეპოლის დიდ კრებებზე 1341, 1347, 1351 წლებში. წმიდა მოციქული პავლე გვასწავლის: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტე 3,10). წმიდა მათე მახარებლის სიტყვებით კი, ვინც ეკლესიისას არ ისმენს, „იყავნ იგი შენდა ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათე 15,17). და აი, მწვალებლურ აზრთა განუგდებლობისა და შეუნანებლობის გამო 1054 წელს ლათინები (ე.წ. კათოლიკეები) ანათემირებულ იქნენ.

კათოლიციზმი ანუ პაპიზმი „ერთი მიზნისთვის ილვწის – ყოველივე ღვთაებრივი შეცვალოს კაცობრივით: რწმენა ღმრთისა შეცვალოს ადამიანის გაღმერთებით. ღვთაებრივს კაცობრივი სიბრძნე და კულტურა ანაცვალოს, ცხოვრებას ღმრთით ცხოვრება ფუჭ-ხორციელი დაუპირისპიროს. ყოველივე ეს კი საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, სანამ 1870 წელს ვატიკანის I კრება პაპის უცდომელობის დოგმატის გამოცხადებით არ დაგვირგვინდა, რომელიც პაპიზმის უმთავრესი დოგმატი შეიქნა“ (წმ. იუსტინე პოპოვიჩი). და აი, ამ მკრეხელური „დოგმატით“ უცებ დედამიწაზე გაჩნდა ღმერთის ნაცვალი, რომელიც „სარწმუნოებაზე საუბრისას არასოდეს ცდება, უცდომელია“. „ღმერთი ჩამოშორებული იქნა, მიეჩინა რა ადგილი ზეცად, ხოლო მისგან განთავისუფლებული ადგილი ქრისტეს ნაცვალს – პაპს მიენიჭა. მართლაცდა აბსურდული ლოგიკაა: ნაცვალი მიუჩინო ყველგან მყოფ ღმერთს! მაგრამ ამ უბადრუკმა უგუნურებამ დასავლეთში, სწორედ რომ ფრთები შეისხა, რის შედეგადაც ეკლესია სახელმწიფოდ იქცა, პაპი – ხელმწიფედ, ეპისკოპოსები მთავრებად იქცნენ, მღვდლები – კლერიკალური პარტიების ხელმძღვანელებად, მორწმუნეები – პაპის ქვეშევრდომებად; სახარება ვატიკანის კანონიკური სამართლის კრებულით შეცვალეს, სიყვარულისა და სიმდაბლის სახარებისეული გზა კაზუისტიკით, იეზუიტიზმითა და „წმიდა“ ინკვიზიციით სახეცვალეს; პაპისტური რწმენა ძალადობით ამკვიდრეს, ცოდვილნი და პაპის ურჩნი კი ქრისტეს სახელით კოცონზე აბრიალეს“ (წმ. იუსტინე პოპოვიჩი).

პაპიზმმა არაერთხელ გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი სახე და მისეული ჰუმანიზმისა და უფლისმიერი სიყვარულის ნიღაბს მიღმა კათოლიციზმის მახინჯი და ულმერთოდ დარჩენილი სული გააშიშვლა. ამის ერთ-ერთი მაგალითი იმპერატორ მიქაელ პალეოლოგის (1260-1281) დროს მოხდა: კათოლიკე ჯვაროსნებმა დაიპყრეს ათონის წმიდა მთა. ლათინური მწვალებლობის მხილებისათვის მათ სასტიკად დაარბიეს ივერიის მონასტერი, ნაწილი ქართველი ბერებისა დახოცეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს.

ეს ყოველივე წარსულში, დღეს? დღეს, რატომაა მიუღებელი და შეუწყნარებელი პაპიზმი და პაპისტური სწავლებანი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის?

როგორც აღვნიშნეთ, „კათოლიკური ეკლესია“ ეკლესიისთვის უცხო და შეუწყნარებელ სწავლებათა შემოღებისა და დამკვიდრების მცდელობისათვის აღმოჩნდა ეკლესიის გარეთ. და ამის შემდეგ თავისი ცხოვრების წესით, მიღებულ „დოგმატთა“ თუ სხვა გადაწყვეტილებათა სახით სულ უფრო და უფრო შორდება ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებას. და ეს მაშინ, როცა გარეგნულად შემრიგებლის, „და-ეკლესიათა“ (გულისხმობენ, მართლმადიდებლურ და პაპისტურ-კათოლიკურ ეკლესიებს) გაერთიანების მოსურნისა და ამ საქმისათვის მოღვაწის მანტიითაა შემოსილი.

მოგეხსენებათ, სულ ცოტა ხნის წინ რომის პაპი რუმინეთში იმყოფებოდა და ეს იყო პირველი ვიზიტი რომის ცრუ-ეკლესიის მეთაურისა მართლმადიდებლურ ქვეყანაში. იქ ჩასვლამდე კი ვატიკანმა კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს, რომ პაპი არის ერთადერთი საჭეთმპყრობელი ქრისტეს ეკლესიისა, ხოლო მისი შეხვედრისას რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან გამოითქვა უდიდესი გულისწუხილი იმის გამო, რომ ჯერ-ჯერობით ერთი ბარძიმიდან ვერ ვეზიარებით და რომ აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას ის წინააღმდეგობები, რომლებიც ამ ორ ეკლესიას შორის არსებობსო. ნუთუ შეიძლება შეუერთებელის შეერთება?! რა საერთო აქვს ქრისტეს ბელიართან, ნათელს ბნელთან! საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეკლესიიდან წასულთა (მითუმეტეს, ანათემირებულთა) ეკლესიაში დაბრუნება მხოლოდ მათი ღრმა სინანულისა და მწვალებლურ სწავლებათა განგდებითა და დაგმობითაა შესაძლებელი. პაპმა მშვენივრად იცის, რასაც ამბობს და აკეთებს, ყველაფერი უკვე დიდი ხნის წინ მოფიქრებული და გადაწყვეტილია. „კათოლიკური ეკლესია“ და მისი მეთაური – რომის პაპი – ეს არის მარიონეტი ახალი მსოფლიო წესრიგის დამამყარებელთა ხელში, რომელნიც მისი მეშვეობით ცდილობენ საერთო-მსოფლიო რელიგიის შექმნას და ამით ანტიქრისტესთვის სამწყსოს მომზადებას. აი, ეს არის ნამდვილი სახე პაპიზმისა. ამის გამო გამოხატავდნენ ასე მკვეთრად თავის დამოკიდებულებას მამები: „ყოველი ბოროტება რომის პაპისგან მოდისო“. მისი საქართველოში ჩამოსვლა იქნება ნიშანი სარწმუნოებრივი კომპრომისისა, რაც დაუშვებელია. ეს მართლაც იქნება ნიშანი ევროპული ორიენტაციისკენ მზერის მიპყრობისა, ოღონდ იმ ევროპისკენ, რომელმაც კარგა ხანია შემოქმედი უარყო და ულმერთოდ ცხოვრობს.

სამწუხაროდ, ზოგი ჩვენი თანამემამულე მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ ცოდნის, ეკლესიური განათლების არქონის გამო ფიქრობს, რომ „კათოლიკური ეკლესია“ ჭეშმარიტი ეკლესიაა, ხოლო პაპი – „წმიდა პეტრეს ტახტზე მჯდომი“ უმაღლესი საჭეთმპყრობელი, რომელსაც ჩვენც – მართლმადიდებელნი (ჩვენი სამღვდელოებიანად) უნდა ვემორჩილებოდეთ. „რა მწარე და გულსატკენი სანახავია ქრისტიანი, – ამბობს წმიდა ეგნატე, – რომელმაც არ იცის, რა არის ქრისტიანობა“. კომუნისტური რეჟიმი ყოველნაირად ეცადა, ადამიანები ათეისტური სულისკვეთებით აღეზარდა. ბოლო ათწლეულებში გამოჩნდნენ ვილაცეები, რომლებიც ათეიზმს ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სული აღარ მკვიდრობდა მათში. ისინი თვლიან, რომ ბოლო საუკუნეებში საქართველოს წელში გაუმართაობის მიზეზი იყო ის, რომ მას ხელი შეუშალეს საკუთარ მოკავშირედ „კათოლიკური დასავლეთი აერჩია“. თითქოს როდესმე აპირებდა საქართველოს ეკლესია კათოლიციზმისკენ მიდრეკას და მას ვინმე სხვამ, თანაც „რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის აგენტურამ“ არ დაანება ამის გაკეთება. ასე ფიქრობდნენ და ასე ასწავლიდნენ მომავალ თაობასაც. ალბათ, ამის გამოც არის, რომ თანამედროვე ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი დღეს ეკლესიის მსაჯულის როლშია. თვლიან, რომ მათ მოსაზრებათა მიხედვით უნდა შეიცვალოს ეკლესია, თავი ანებოს დოგმატებით ცხოვრებას და უჭირთ გაცნობიერება იმისა, რომ ეკლესიაში დაუშვებელია განმაახლებლობა, რომ ეკლესია უცვალებელია.

იქნებ ჩვენი დიდი წინაპრების ხმასაც მივაყურადოთ და გავიხსენოთ, როგორი აღმსარებელნი და დამცველნი იყვნენ თავისი სარწმუნოებისა: „არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (და არა „კათოლიკური“, ლათინური-ავტ.) ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ-



ქმნილ ვართ, ვინათგან შემეცნებას შენსა ღირს ქმნილ ვართ – მოწამე არს ჭეშმარიტებაჲ“. აი, ხმა წმიდა დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და კეთილგანზრახვით მოწვეული რუის-ურბნისის კრებისა.

და ბოლოს, კვლავ წმიდა იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვებს გავიხსენებ: „კაცობრიობის ისტორიამ სამი მთავარი ცოდვით დაცემა იცის: ადამის, იუდასი და პაპიზმისა... არც ერთი ერესი არ აღძრულა უფლისა და მისი ეკლესიის წინააღმდეგ ისეთი შეუპოვრობითა და ერთიანი ძალისხმევით, როგორც ეს პაპიზმმა ჩაიდინა. უეჭველად მწვალებლობათა მწვალებლობაა პაპიზმი და საშინელებათა საშინელება, რომელმაც ავად განიზრახა და ბოროტად განდევნა უფალი იესო ქრისტე. პაპიზმი ახალი გამცემლობაა უფლისა, ახალი ჯვარცმაა მისი“...

პაპისტებისა და ეკუმენისტების აზრით, ჩვენი გაერთიანება შესაძლებელია არა მათი (ლათინთა) მართლმადიდებლობაში დაბრუნებით, არამედ საპირისპირო ღონისძიებით – „გამყოფი კედლების“ დანგრევით, ანუ მართლმადიდებლური დოგმატებისა და კანონებისაგან განდგომით, ე.ი. საკუთარი ჭეშმარიტი სარწმუნოების ღალატით.

სახარება გვასწავლის: „ვერ ხელეწიფების... ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად“ (მათე 7,18). მაშ, რა შეიძლება მოუტანოს საქართველოს რომის პაპის - ამ „ხენეში ხის“ ჩამოსვლამ, რომლის ნაყოფიც, ანუ საქმენი ასევე ხენეშ არიან.

არ დაგვავიწყდეს, რომ „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისღება, ერთ არს ღმერთი“ (ეფესელთა 4,5-6) და „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არც ღმერთია მამა“ (წმ. კვიპრიანე კართაგენელი).

*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი:*

დავით ლასურაშვილი
ვახტანგ დავითაშვილი
დავით ნოზაძე
გიორგი ლასურაშვილი

აფხაზეთის ტრაგედია

# აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

— თვითმხილველის მოგონებები —

*გაგრძელება დასაწყისი იხ. „საქართველო“ №31*

აფხაზეთის კურორტი ბიჭვინთა უყვარდა ნიკიტა ხრუშჩოვს. ერთხელ ბიჭვინთაში დასასვენებლად ჩამოსულმა ხრუშჩოვმა მიხეილ ბლაგბა მიიწვია და ჰკითხა: „წაიკითხეთ თუ არა დღევანდელი „პრავდა“. აქ ხრუშჩოვის მითითებით შავით თეთრზე ეწერა, რომ „ხრუშჩოვმა საზღვარგარეთელი სტუმარი სოჭის რაიონში მიიღო“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვითომ აფხაზეთი (ბიჭვინთა) კრასნოდარის (ე.ი. რუსეთის) შემადგენლობაში შედიოდა და ვითომ შეცდომით გაიპარა დაბეჭდილში. ეს კიდევ იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთი რუსეთის ყოფილიყო, მისცა კიდეც ამის ბიძგი მ. ბლაგბას: „წადი ახლა და მომიტანე მოხსენებითი ბარათი, რომ აფხაზებს რუსეთის შემადგენლობაში სურთ შესვლა“ - უთხრა ხრუშჩოვმა გაკვირვებულ ბლაგბას. ასე რომ, აფხაზეთის დღევანდელი საზარელი ამბები მოსკოვის ზედა ეშელონებიდან მოდიოდა. დროა ეს ყველამ კარგად გავიგოთ. არსებობს უტყუარი საბუთი იმისა, რომ ხრუშჩოვს უნდოდა ქართველების შუა აზიაში გადასახლება. ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოახერხებდა ამას, მაგრამ ამის დიდი სურვილი რომ ჰქონდა მას, ფაქტია. ერთხელ ხრუშჩოვმა ბიჭვინთიდან მჟავანაძეს დაურეკა და დაემუქრა: „მოგაყენებთ ვაგონებს და ყველას გაგასახლებთო“. შემდეგ ისეთი საშინელი გინება მოაყოლა ქართველების მისამართით, ენით გამოუთქმელი. საქმე იმაში იყო, რომ მას აჩვენეს წერილი, საიდანაც ვითომ „მტკიცდებოდა“ საქართველოს თურქეთთან უნდოდა შეერთება და საქმიანობდა კიდეც ამისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხრუშჩოვმა იცოდა ეს ბინძური მონაჭორი, მაგრამ ჩაეჭიდა მას და იგი ქართველების შესაშინებლად და დასამცირებლად გამოიყენა. ეძიეს წერილის ავტორი, რა თქმა უნდა, „ვერ ნახეს“, ვინაიდან იგი უსინდისოდ შეთითხნილი ფალსიფიკაცია იყო თვითონ ხრუშჩოვის გარემოცვის მიერ. სტალინის სიძულვილის გამო სძულდა მას ქართველი ერიც. ნიკიტა ხრუშოვს და მის გარემოცვას ფუფუნებით ცხოვრება უყვარდათ. ამ მხრივ ბიჭვინთა ზღაპრული სამოთხე იყო. ხრუშჩოვის შემდეგ აფხაზთა სეპარატისტული გამოსვლები და დაძაბულობა დროებით შენელდა, მაგრამ მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის დროს ისევ გაძლიერდა, განსაკუთრებით 1989 წლიდან, აფხაზეთის უნივერსიტეტის და ქართული სექტორის გამოყოფის შემდეგ. დიდი შეცდომა იყო და დანაშაულის ტოლფასი აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფა. 1989 წლის 31 მარტს სოხუმში მშვიდობის გამზირზე მოვისმინე აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საუბარი: „ხვალიდან (1 აპრილიდან) ჩვენი ლექტორების მითითებით ვიწყებთ გაფიცვას მოთხოვნით: „სანამ უნივერსიტეტის რექტორს ალეკო გვარამიას არ გადააყენებენ და რექტორს ქართველს არ დანიშნავენ, ლექციებს არ დავესწრებითო“. მართლაც მეორე დღიდან - 1989 წლის 1 აპრილიდან დაიწყეს გაფიცვა და გაგრძელდა სასწავლო წლის ბოლომდე, რის გამო 1988-1989 სასწავლო წლის ივნისში ქართულ სექტორზე არ ჩატარებულა არც კურსიდან კურსზე გადასაყვანი და არც სახელმწიფო გამოცდები და იგი გადაიდო (ოქტომბერში) შემოდგომისათვის. იმავე წლის მაისში რუსთაველის ქუჩაზე სოხუმში მგზავრობის დროს პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის შენობის წინ შევნიშნე შავი ნაბდებით ხანდაზმული მამაკაცები. ქუჩაში შემხვედრ ნაცნობს ვკითხე, თუ ვინ იყვნენ ის ნაბდიანი მამაკაცები. მან მიპასუხა: ისინი გუდაუთელი, სოფელ დურიფშიდან და ლიხნიდან ჩამოსული აფხაზები არიან, უნივერსიტეტის გაყოფის საკითხზეო. მეც დავინტერესდი ამ საკითხით და მივედი. მათთან იდგნენ და კამათობდნენ აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული განყოფილების ლექტორები და პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები. აფხაზი მოხუცები მოითხოვდნენ: „ჩვენ, ქართველები და აფხაზები, საუკუნეების განმავლობაში ერთად ვცხოვრობთ, რის გამოც სისხლით ნათესავები ვართ, ბევრ აფხაზს ქართველი მეუღლე ჰყავს და პირიქით – ქართველს აფხაზი მეუღლე. შევრიგდეთ, როგორ შეიძლება უნივერსიტეტის გაყოფა, ერთ ქალაქში ორი უნივერსიტეტი - აფხაზთა და ქართველთა უნივერსიტეტიო. უნივერსიტეტი რომ გაიყოს, მთავრობაც უნდა გაიყოს, რაც წარმოუდგენელიაო“. მე მომეწონა მათი წინადადება და მსჯელობა.

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორის პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნა რექტორ ალეკო გვარამიას გადაყენებისა და ეროვნებით ქართველი რექტორის დანიშვნისა ვერ დააკმაყოფილა, ვინაიდან რექტორის გადაყენების კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. შემდეგ წამოაყენეს მეორე მოთხოვნა აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფის შესახებ. საქართველოს ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ეს მეორე მოთხოვნა და დაადგინა აფხაზეთის უნივერსიტეტის გამოყოფა და ქართული სექტორი დაამტკიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალად. ამ არაკანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხელისუფლების მიერ იყო შეცდომა, რამაც გააღრმავა განხეთქილება ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომელიც გადაიზარდა შემდეგ ფიზიკურ დაჯახებაში. 1989 წლის 16 და 17 ივლისს ქ. სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში უნივერსიტეტის ქართული სექტორის აბიტურიენტების საბუთების მიღების დროს მოხდა აფხაზებსა და ქართველებს შორის ხელჩართული ბრძოლა, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა და დასახიჩრდა, რომელმაც მთელი აფხაზეთი შესძრა, ეს ბომბის დაცემას ჰგავდა, ამის შემდეგ დაიწყო უნდობლობა და დიდი დაძაბულობა აფხაზებსა და ქართველებს შორის აფხაზეთში.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორის პროფესორ-მასწავლებელთა და

*გაგრძელება მე-8 გვ.*

## რუბრიკა — გზა საქართველოს პარლამენტისაკენ...

# ფოთი უნდა იყოს ისეთი ქალაქი, როგორიც მის უმდიდრეს ტრადიციებს ეკადრება...




***– ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, ქ. ფოთს ისტორიულად უდიდესი დანიშნულება ჰქონდა. დღეს ერთი-ორად გაიზარდა მისი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა...***

– დღეს ფოთი უდიდესი მნიშვნელობის ქალაქია. ფოთი, ფაზისი საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან მოიხსენიება.

დღეს ფოთი ჩვენი ქვეყნის საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენს. ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: ქალაქ ფოთს ძალიან დიდი მომავალი აქვს. ის უნდა გახდეს ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ქალაქი მთელს ქვეყანაშიო. მართლაც, ასე მოხდა, დღეს ფოთს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აბრეშუმის გზისა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტების განხორციელებაში.

განუყოფელია ფოთი და პორტი. ნავსადგური არის ქალაქის და არა მარტო მისი, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალის განმსაზღვრელი. აბრეშუმის გზის პროექტში ფოთი არის ტვირთმფლობელის, ტვირთმიმღების და გემთმფლობელის გადაკვეთის ადგილი. ამ მისიას ჩვენი ნავსადგური და მისი მუშაკები ასრულებენ.

ცხოვრების წინსვლასთან ერთად საჭიროა ნავსადგურის შესაბამისობაში მოყვანა. იზრდება ტვირთბრუნვა და მოთხოვნილება – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანში რაც შეიძლება მეტმა ტვირთმა გაიაროს. ამდენად, დგება საკითხი, რომ ნავსადგური უნდა გადაიარაღდეს, უნდა მოეწყოს ისე, რომ გაუძლოს ტვირთნაკადების როგორც შემოსვლას, ასევე გასვლას.

დადგა საკითხი ნავსადგურის რეკონსტრუქციის შესახებ, რათა ის პასუხობდეს დღევანდელ ცივილიზებულ მოთხოვნებს.

***– ბატონო პეტრე, დიდი აჟიოტაჟი იყო შექმნილი ნავსადგურის გაყიდვასთან დაკავშირებით...***

– ნავსადგურის გაყიდვა-არგაყიდვის საკითხი არ დგას. ლაპარაკია მის ინსტიტუციონალურ მოწყობაზე. ის, როგორც იურიდიული პირი, უნდა დაფიქსირდეს და ეს, ალბათ, უახლოეს მომავალში მოხდება. ნავსადგური პრივატიზაციას არ ექვემდებარება, რადგან მისი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, აკვატორია, ნავმისადგომები – არის სახელმწიფოს საკუთრება, კონსტიტუციურად ხელშეუხებელია. სხვა საკითხია არენდით მართვის უფლებების გადაცემა. ნავმისადგომი არის სახელმწიფო ორგანო, დაწესებულება, ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი. მისი მოწყობა და სტატუსის განსაზღვრა პიროვნული გადასაწყვეტი არ არის, ის საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს.

მე ამ დარგის სპეციალისტი ვარ და ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, რომ ვთქვა, ნავსადგური ასეთი ან ისეთი უნდა იყოს და მივცე მას რეკომენდაცია. ასე არ შეიძლება, ეს, უბრალოდ, უპატივცემულობა იქნება ყველაფრისადმი.

***– ასევე დიდი რეზონანსი გამოიწვია ფოთის გემთსაშენთან დაკავშირებულმა პრობლემებმა...***

– გემთსაშენის საკითხი ძალიან გახმაურებულია. ყველამ იცის, რომ ამ საქმეს სწავლობდა პარლამენტის საგამოძიებო კომისია. ჩემი ინიციატივით, გაიმართა სხდომები, სადაც მაღალჩინოსნების საკითხები გადაეცა გენერალურ პროკურატურას ზოგიერთი ასპექტების დასაზუსტებლად. გენერალურმა პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის სამართლის საქმე. ვნახოთ, საბოლოო შედეგები როგორი იქნება. გემთსაშენი საბჭოთა კავშირის დროს უდიდესი კომპლექსი იყო. მაგრამ დღეს იგივეს ვერ ვიტყვით, იმდენად, რამდენადაც ყველაფერი დამოკიდებულია ბაზარზე. დღეს მსოფლიო ბაზარი სწორედ ამ პროდუქციით არის გაჯერებული, თუ არ გვექნება შეკვეთები, დაკვეთები, ვერაფერს ვიზამთ. აგერ, 6-8 წელია გვიდგას გაკეთებული გემი „კოლხიდა", რომელიც არ გაიყიდა, რადგან მოძველებული მოდელია. ბაზარზე არის უკეთესი თანამედროვე მოდელები, რომლებიც 2-3-ჯერ იაფია, ვიდრე ჩვენი კომეტა. ასე რომ, ჩვენ პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს იმაზე, რომ გემთსაშენმა მაინცდამაინც გემები უნდა ააგოს. მე ვარ ერთ-ერთი თაოსანი, რომ გემთმშენებელმა ქარხანამ დაიწყოს გემების შეკეთება. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, როგორც თავდაცვის, ასევე საზღვაო სამხედრო ძალებს, ჰყავთ უკვე 20-მდე ერთეული მცირე და დიდგაბარიტიანი კატარღები, რომელთაც სჭირდება მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. ეს საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს, წელიწადში დაახლოებით 5 მლნ ლარს. დღეისათვის ეს გაედინება საზღვარგარეთ. ეს არ უნდა გაედინებოდეს, ჩვენი ფული ჩვენთანვე უნდა რჩებოდეს, სამუშაო ადგილებიც მომრავლდება, ჩვენი მუშა-მოსამსახურეები ხელფასებით დაკმაყოფილდებიან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – სამუშაო ადგილები გაჩნდება და რაც მთავარია, ქარხანაც ფეხზე დადგება.

***– ქარხანაში რა მდგომარეობაა დღეისათვის?***

– ქარხნის გენერალური დირექტორი გახლავთ ბატონი ზურაბ დემურია, რომელიც არცთუ ისე ცუდად ხელმძღვანელობს საწარმოს. ქარხანაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, ეს არ შეიძლება არ აღინიშნოს, ძალიან დიდი თანხა იხარჯება. ვისურვებდი, რომ ქართულმა კომპანიამ, რომელიც დღეს ითვლება ქარხნის მესაკუთრედ, შეასრულოს ის საკონკურსო პირობები, რომელიც ტენდერის მოპოვების დროს იყო გათვალისწინებული და დარჩეს მფლობელად. ყველაფერი ტენდერის პირობებზეა დამოკიდებული – როგორი ტენდერია გამოცხადებული, რა პირობებია ჩადებული და შესაძლებლობები იმ უცხოური კომპანიებისა, რომლებიც ტენდერებში ღებულობენ მონაწილეობას. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ფაქტია იმისა, რომ კომპანიები ღებულობენ ტენდერში მონაწილეობას, გაიმარჯვებენ და მერე სადღაც გაქრებიან. მის შემდეგ რჩება ქართული კომპანიები და ქართველი მესაკუთრე, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი თანხები ამა თუ იმ ობიექტის აღსადგენად, ისინი ისევ ეძებენ სხვა კომპანიებს იმისათვის, რომ ინვესტიციები მიიზიდონ და შესაბამისი სამუშაოები ჩატარდეს. მე-14 ნავმისადგომის რეკონსტრუქციისათვის იაპონელებმა უკვე ჩადეს 60 მლნ დოლარის ინვესტიცია. ეს არის ძალიან სერიოზული კომპანია „მიცუბიში", რომელმაც უკვე დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა ამ ნავმისადგომის რეკონსტრუქციისათვის.

***– ფოთი ის ქალაქია, რომელიც იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ იყო შემთხვევები, რომ მან არ გაამართლა...***

– ამის განსაზღვრა არც მე და არც არავის არ შეუძლია. თვითონ ურთიერთობის დროს ჩნდება ყველა ის საშუალება, რაც გააჩნია ამა თუ იმ ფირმას. იაპონელებისგან ინვესტიციები პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტს მოჰყვა, მაგრამ სანამ ინვესტიციები ჩვენამდე მოვა, პატრონი, ფეხი სჭირდება. ფეხი შეიძლება გზაში მოტყდეს და ყველაფერი ჩაიშალოს ან ბოლომდე მიიყვანოს. ამ შემთხვევაში ბატონი ჯემალ ინაიშვილი აღმოჩნდა ის პიროვნება, რომელმაც ბოლომდე მიიყვანა ეს საქმე და მომავალი წლიდან უკვე, პრაქტიკულად, მშენებლობა იწყება.

***– ფოთის საზღვაო-სანაპირო ზოლი აუცილებელ და გადაუდებელ ყურადღებას ითხოვს. ვიცით, რომ მუშაობა დაწყებულია, მიმდინარეობს სანაპირო ზოლის ინტენსიური შესწავლა. დღეს სამუშაოები რა ეტაპზეა?***

– კუნძულის უბანში 600 ჰექტრამდე მიწაა წარეცხილი. ეს არის სტიქიური უბედურების ზონა. დღეს მას სჭირდება დაახლოებით 10 მლნ ლარის ინვესტიცია. თუ ჩვენ მას არ მივხედეთ, 4-5 წლის შემდეგ 200 მილიონი დასჭირდება და შეიძლება ვერც ვუშველოთ. ასე რომ, ეს ყველაზე მტკივნეული და უპირველესი პრობლემაა ქალაქისათვის. შარშან დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი გამოიყო ამ საქმისათვის, მაგრამ, მოგეხსენებათ, პენსიები და ხელფასები არ გაცემულა ჩვენი ბიუჯეტიდან და ვინ მოითხოვდა კაპიტალური მშენებლობის დაწყებას.

სანამ ბიუჯეტი გაისტუმრებს პენსია-ხელფასების ვალებს, მანამ ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ მე ვიცი, რომ ხელმძღვანელობას სურს ამ მხრივ სამუშაოები დიწყოს და შესაბამისი თანხები გამოყოს.

***– ბატონო პეტრე, თეატრის შენობასთან დაკავშირებით, ქალაქის მოსახლეობის აზრი ორად არის გაყოფილი. საინტერესოა, თქვენი აზრი ამ საკითხთან მიმართებაში. მითუმეტეს, უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ყველა გზა ტაძრისკენ მიდის...***

– არ შეიძლება დღეს ქალაქი თეატრის გარეშე დავტოვოთ. არის პროექტი და გვპირდებიან შესაბამის დაფინანსებას, რომ როგორც კი ახალი შენობა აშენდება, საპატრიარქოს თავისი შენობა ოფიციალურად გადაეცემა. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მთავარია, ახალი თეატრის შენობა ავაშენოთ.

***– ფოთელები კმაყოფილნი არიან თქვენი საპარლამენტო მოღვაწეობით?***

– ეს თვითონ ფოთელებმა უნდა გითხრან.

***– თქვენ რას ფიქრობთ ფოთელებზე...***

– მინდა, რომ ყველა ფოთელის ოჯახში დაისადგუროს სითბომ, სიყვარულმა, სიკეთემ. ფოთი იყოს ისეთი ქალაქი, როგორიც მის უმდიდრეს ტრადიციებს ეკადრება. მე ვნატრობ ამას, როგორც რიგითი ფოთელი.

***– ბატონო პეტრე, თქვენ რიგითი ფოთელი არ ხართ, თქვენ 4 წელი ქალაქ ფოთს წარმოადგენდით საქართველოს პარლამენტში. კონკრეტულად, რა გააკეთეთ ფოთელებისათვის, როგორც არარიგითმა ფოთელმა?***

– მე რასაც უმთავრესად ვთვლი, ჩემს მიერ შექმნილი იქნა ორი საზღვაო კანონი – 1. საზღვაო კოდექსი, 2. კანონი საზღვაო სივრცის შესახებ. საზღვაო კოდექსი არის საქვეყნოდ აღიარებული კანონი, რომელიც ბევრ ქვეყანას არ აქვს მიღებული. ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში შევძელით მიგვეღო ეს დიდი საკანონმდებლო აქტი. კანონპროექტი საზღვაო სივრცის შესახებ აერთიანებს სამ კანონს: პირველი – საქართველოს შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული წყლები; მეორე – საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა; მესამე – საქართველოს კონტინენტური შელფი: რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, ქ. ფოთის ხელმძღვანელობასთან ერთად ფოთისა და მისი მოსახლეობისათვის გადავწყვიტეთ უმნიშვნელოვანესი და ძალიან დიდი პრობლემები, მათ შორის, ქალაქის სატერმინალო მომსახურებიდან 1 ლიტრ სპირტზე და 1 კოლოფ სიგარეტზე 1 თეთრის დატოვება ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„ფოთითევზზე" 1 მილიონი ლარის ოდენობით კრედიტის გამოყოფა.

„ფოთითევზის" მოთხოვნის შესაბამისად, როგორც გამონაკლისი, ტრაილერების ჩამოწერა და მათი ჯართის სახით გაყიდვის უფლების მიცემა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონ თემურ მამაცაშვილის დახმარებით „ფოთითევზის" ეკიპაჟის წევრების დიდი ბრიტანეთის სამეფოდან გამონთავისუფლება, სადაც ისინი რამოდენიმე თვე დაკავებული ჰყავდათ.

საქართველოს სხვადასხვა საპატიმროდან 30-მდე ფოთელი ახალგაზრდის გამოთავისუფლება ქვეყნის პრეზიდენტთან შეწყალებაზე შუამდგომლობის საფუძველზე.

ქ. ფოთის გემთმშენებელი ქარხნის პრივატიზაციის საკითხის საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაზე გადაცემა და მასთან დაკავშირებული საკითხების დასმა.

ქ. ფოთის ორიათას მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება, მათ შორის – ფინანსური და სამედიცინო.

ქალაქში დიაბეტით დაავადებული მოქალაქეების 1998 წლიდან ინსულინით სტაბილური მომარაგება და მისი ჰუმანიტარული სპეციალური პროგრამებში ჩასმა და კიდევ მრავალი სხვა რამ რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

რუბრიკას უძღვება
**იზოლდა ცირდავა**





# სიკვდილით დასჯა ყაზანში?

## სტალინის შვილის, ვასილ სტალინის, უკანასკნელი დღეები

1962 წლის 19 მარტს ქ. ყაზანში გარდაიცვალა ვასილ იოსების ძე სტალინი-ჯუღაშვილი. მის ცხოვრებაში მარტის თვე საბედისწერო აღმოჩნდა. დაიბადა 24 მარტს, 5 მარტს გარდაიცვალა მისი მამა. მარტში დააპატიმრეს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, დარეკა თავის ქალიშვილთან მოსკოვში. მათ დიდხანს ისაუბრეს. ვასილი იმყოფებოდა გადასახლებაში. მას აკრძალული ჰქონდა მოსკოვსა და საქართველოში ცხოვრება. მანამდე სასჯელს ვასილ პავლეს ძე ვასილიევის სახელით იხდიდა. თავისი სისასტიკით განთქმული ვლადიმირსკის ციხეში. ყაზანში იგი დიდ მონატრებას განიცდიდა და თავისთან იხმობდა ქალიშვილს.

მასზე ლეგენდები დადიოდა. გავერკვევით როდესმე ამ პიროვნებაში? ვფიქრობ, რომ ამის დრო დადგა. ვასილ სტალინი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა. რაც არ უნდა ილაპარაკონ, ეს ასეა. რა თქმა უნდა, იმ დროში მილიონობით ადამიანზე დატრიალებულ ტრაგედიათა ფონზე ბელადის შვილის მიერ გადატანილი უბედურებები არარსებულადაც შეიძლება კი მივიჩნიოთ, რადგან ბელადის შვილი ტირანი მამის ცოდვების გამო ისჯება, მაგრამ თუ გვინდა ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ ჭეშმარიტებას, გვერდს ვერ ავუვლით ამ პიროვნების განვლილი ცხოვრებისა, ბედისა თუ უბედობის უცნაური ლაბირინთების შესწავლას, რაც ანალიზის გაკეთებას მოითხოვს.

სწორედ ამისათვის მივედი მის ქალიშვილთან, ნადეჟდა ვასილის ასულთან. მასთან ჩაწერილი საუბარი ის განსაკუთრებული თემაა, რომელთანაც არაერთხელ მომიწევს დაბრუნება და სერიოზული დაფიქრება სხვადასხვა ფაქტებსა თუ მოვლენებზე, მათი შეჯერება და არქივში მასალებზე დაულალავი მუშაობა. იქნებ შესაძლებელი გახდეს მიუკერძოებელი გამოკვლევა, რომლის მსვლელობისას გამოიკვეთება ჩემთვის საინტერესო ადამიანის ნამდვილი სახე. თუმცა, ის, რაც მამცნო ნადეჟდა ვასილის ასულმა, მაიძულა უმალ კალმისთვის მიმემართა.

ნადეჟდა სტალინის საუბრიდან:

– მამის დაკრძალვაზე გავემგზავრე ძმასთან და კაპიტოლინასთან ერთად (კ.გ. ვასილიევა, ბოლო პერიოდის ცნობილი მოცურავე და მამის უკანასკნელი ცოლი)...

ყაზანში მამა გაგარინის ქუჩაზე ცხოვრობდა. ახალი შენობა ხუთსართულიანი, ხრუშჩოვის ტიპის ბინა, მამა სულ ბოლო სართულზე ცხოვრობდა.

მე კი სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ ახერხებდა მტკივანი ფეხით ასვლას ამ ვიწრო კიბეებზე. ჩვენ გვიან ჩავფრინდით, დაველოდეთ დილის ექვს საათს. კაპიტოლინამ გადაწყვიტა, რომ უხერხული იქნებოდა, ღამე გამოჩენა. მამას ბინა ძალიან პატარა იყო, ყველა ვერც კი დავეტეოდით...

შევედი ოთახში... ოთახის ცენტრში ორი ტაბურეტი იდგა, მათზე კი ფიცარი იდო. ფიცარზე კი სისხლიან ზეწარში გენერლის ფორმაში გამოწყობილი მამა იწვა. მის სახეზე დაბეჟილობა აღინიშნებოდა, ხელები სულ გადამტვრეული ჰქონდა. კაპიტოლინამ ზეწარი გადახადა, ფეხებზეც სისხლნაჟღენთი აღინიშნებოდა.

– ნადეჟდა ვასილიევნა, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩე-

გაგრძელება მე-14 გვ

საქართველო

## ასლან მასხადოვი: «ზასაევი არც ხელისუფლებას წარმოადგენს და არც ხალხს»

მე-3 გვერდიდან.

***იცოდით ამის შესახებ?***

– ჩვენ ასეთ რამეს შეჩვეულები ვართ. რაც კი რამ ცუდი ხდება რუსეთში, როგორც წესი, ჩეჩნების ჩადენილია. მე ვიბრძოდი რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ არასდროს დამიკარგავს ჩემი ღირსება. იმ სასტიკ დროშიც კი ჩვენ არ მივმართავდით ისეთ მეთოდებს, რომლებიც ძირს სცემდა მეომრის სახელს. მე ყოველთვის ტერორიზმის წინააღმდეგი ვიყავი. თქვენ უნდა იცნობდეთ ჩეჩნებს. ნებისმიერი ჩეჩენი, რომელიც თავისი შვიდი თაობის წინაპარს ჩამოთვლის, უსუსურისა და დაუცველს ხელს არ ახლებს. ჩვენ აგრესორები არ ვართ. რუსეთის ჯარისკაცები კი განურჩევლად ბომბავდნენ ჩეჩნურ სოფლებს.

ამ ბოლო კვირის განმავლობაში მოკლულია ათასობით უდანაშაულო ადამიანი. ცივი ზამთრის დადგომამდე ცოტა დროა დარჩენილი. უსახლკაროდ კი ათასობით ადამიანია დარჩენილი. ჩვენ არ გვინდა ვიბრძოლოთ რუსეთის წინააღმდეგ. ის, რაც ხდება კავკასიის რეგიონში, ზოგიერთი სახელმწიფოების მიერ პროვოცირებული ფართომასშტაბიანი ავანტიურაა, რომლებსაც სურთ რუსეთის კავკასიიდან სრული გამოძევება. ხოლო რუსეთს კავკასიაში თავისი ინტერესების ერთადერთ შანსად – ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მოგვარება წარმოადგენს.

***– რა მნიშვნელობას ანიჭებთ ელცინთან თქვენს შეხვედრას, ან იქნებ უმჯობესია დაელოდოთ ახალ პრეზიდენტთან შეხვედრას?***

– თუ ვინ იქნება რუსეთში პრეზიდენტი, ეს თავად რუსების საქმეა. მე ნებისმიერ დროს მზად ვარ ელცინთან შეხვედრისათვის. მე ამაში ხელს არავინ არ შემიშლის, მაგრამ ელცინის გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც არ აძლევენ საშუალებას, რომ ჩვენი შეხვედრა შედგეს. ამ დღეებში მე დავწერე წერილი პარტნიორის, ხასავიურტის შეთანხმების მონაწილის, ალექსანდრე ლებედის სახელზე. ვფიქრობ, მისი მონაწილეობა სასარგებლო იქნებოდა ორივე მხარის მოლაპარაკებების პროცესის აღდგენისათვის. ამგვარი გამონათქვამი მან უკვე გააკეთა. თავის დროზე მე და რუსეთის პრეზიდენტი საკმაოდ ახლოს ვიყავით ურთიერთმომგებიანი შეთანხმებების მიღებისათვის, მაგრამ ბოლო მომენტში ამის განხორციელებას ვიღაცამ ხელი შეუშალა. რომ მოგვესწრო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, არ იქნებოდა ასეთი დაძაბულობა მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში, არ დაიღვრებოდა ამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლი, არ დაიღუპებოდნენ რუსი ჯარისკაცები.

***– მაინც ვინ დგანან ეგრეთ წოდებული „ვაჰაბიტების" უკან? საიდან იკვებებიან?***

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათ აფინანსებენ ის ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კავკასიაში რუსების ინტერესების შევიწროვებასა და შესუსტებაში. დაფინანსება ხდება ტრანზიტით, იგივე მოსკოვის გავლით. ჯარისკაცთა სამხედრო რაზმებში გადაბირების საიდუმლო ძალზე ადვილია.

კავკასიაში ათასობით უმუშევარი ახალგაზრდა მამაკაცია. თუ გადასცემენ უსაქმურს ავტომატს და დოლარების მთელ შეკვრას – იგი წავა იქ, სადაც უბრძანებენ.

***– მეორე კვირაა, რაც ჩეჩნეთის ტერიტორიას ბომბავენ. რას მოიმოქმედებს მთავრობა?***

– ყველაფერი, რაც კი საზღვარზე ხდება – ნამდვილი აგრესიაა. რუსეთმა სამოქმედოდ კვლავ ბარბაროსულ მეთოდებს მიმართა. ნადგურდება უდანაშაულო მოსახლეობა. საომრად გაწვრთნილი რაზმელები, რომლებიც ამ კონფლიქტში მონაწილეობენ, დაბომბვისაგან არ წუხდებიან. სასაზღვრო რაიონებში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, მე იძულებული ვარ გამოვაცხადო საერთო მობილიზაცია. რეგულარული არმია გადაყვანილია სრულ მზადყოფნაზე. თითოეული სოფელი გადაიქცევა საყრდენ პუნქტად და აღარ დავუშვებთ, რომ ჩეჩნეთში ომს კვლავ პრეზიდენტის სასახლიდან მართავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ისევ შემოიჭრება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, იარაღს ბევრად მეტი ადამიანი აიღებს, ვიდრე უწინ.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" 14-20 სექტემბერი

თარგმნა ირინე გოჩაშვილმა

---

### აფხაზეთის ტრაგედია

## აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

### — თვითმხილველის მოგონებები —

მე-6 გვერდიდან.

სტუდენტთა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მისი დაკმაყოფილება არაკანონიერი იყო. უნივერსიტეტის რექტორს ალეკო გვარამიას - ეროვნებით აფხაზს, სტუდენტობიდან ვიცნობ, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. მან წარჩინებით დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (უნივერსიტეტად დამტკიცებამდე) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის რუსული სექტორი, შემდეგ ასპირანტურა და დაიცვა კანდიდატის ხარისხი. მუშაობა დაიწყო ლექტორად მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში, შემდეგ თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა პროფესიონალმა და კარგმა ორგანიზატორმა და აირჩიეს უნივერსიტეტის რექტორად. 1987 წლის აგვისტოში კი გაზეთ „იზვესტიაში" დაიბეჭდა ცნობა, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორმა ალეკო გვარამიამ ქ. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბრწყინვალედ დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იგი იყო უანგარო და პრინციპული. მისი თვისებები არ მოსწონდა ზოგიერთ პროფესორ-მასწავლებელს უნივერსიტეტში, ეშინოდათ და უნდოდათ მისი მოშორება. ალეკო გვარამია არ იყო ექსტრემისტი და არ იზიარებდა ვლადისლავ არძინბას სეპარატისტულ გეგმას, რაც დადასტურდა იმით, რომ 1992 წ. აგვისტოში აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ მან დატოვა თანამდებობაც, აფხაზეთის უნივერსიტეტიც წავიდა საცხოვრებლად საზღვარგარეთ და ამჟამად მუშაობს მოსკოვში, ისიც ლტოლვილია. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ უსაფუძვლო იყო ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაჟინებული მოთხოვნა 1989 წლის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან ა. გვარამიას განთავისუფლებისა და მის ადგილზე ქართველის დანიშვნის შესახებ. უნივერსიტეტის პრორექტორი ოთარ ჭურღულია მაშინ ხომ ქართველი იყო ეროვნებით. ეს რომ გაეთვალისწინებინა მაშინდელ ხელისუფლებას და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, მასთან ზემოთ აღნიშნული გულდაუთმელი ხანდაზმული აფხაზი ეროვნების მამაკაცების მოთხოვნა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შეიძლება თავიდან აგვეცილებინა. ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების გაღრმავებას ხელი შეუწყო აგრეთვე 9 აპრილის ცნობილმა ამბებმა და ლიხნის წერილმა, შემდეგ ამას დაემატა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მისი მოთხოვნა ავტონომიების გაუქმების შესახებ, რისთვისაც ჯერ აჭარაში უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი, შემდეგ აფხაზეთში. ამან აღაშფოთა აფხაზები. ერის გათიშვამ ზვიადისტებად და ხელისუფლების მომხრეებად და 1991 დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის ცნობილმა მოვლენებმა, რომელსაც მოჰყვა ზვიადისტთა მიტინგები სოხუმში კონსტიტუციის მოედანზე, რომელიც 1992 წლის იანვრიდან ივნისამდე თითქმის ყოველდღე ტარდებოდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ამ მიტინგის ტრიბუნიდან გაჰყვიროდა: „ძირს ხუნტა, მოვითხოვთ კანონიერი ხელისუფლების დაბრუნებას" როდესაც დარწმუნდა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება აღარ დაბრუნდებოდა, 180 გრადუსით შემობრუნდა და მათ მაღალი თანამდებობები უკავიათ აფხაზეთის ხელისუფლებაში, რომელიც თბილისში იმყოფება, მათ არ აწუხებთ სინდისის ქეჯნა საზოგადოების წინაშე, ვინც მათ მოქმედებას ზიზღით შეჰყურებდა მიტინგებზე სოხუმში.

ქართველთა ეს მიტინგები და უსაფუძვლო გამოსვლები არძინბას წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა და ხელს უწყობდა აფხაზ სეპარატისტებს თავისი ბოროტი გეგმის განხორციელებაში. 1992 წლის 14 აგვისტოს თბილისიდან შეიარაღებული ბანდის სოხუმში შემოყვანამ (არასამთავრობო ჯარის) ქართველ-აფხაზთა დაპირისპირება მიიყვანა ძმათამკვლელ სისხლის ღვრამდე.

ჩვენს ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა წინასწარ რა შედეგები მოჰყვებოდა სოხუმში იარაღით შემოსვლას და კონფლიქტს აფხაზებსა და ქართველებს შორის. მართალია, ხელისუფლება აცხადებს, რომ სოხუმში ჯარები შევიყვანეთ რკინიგზის დასაცავადო, მაგრამ ასეთი დაპირისპირებისა და მძიმე სიტუაციის დროს აფხაზეთში ჯარის შემოყვანა დანაშაულის ტოლფასი იყო. ომს თუ დავიწყებდით, უნდა გვყოლოდა სამხედრო დისციპლინით ორგანიზებული არმია.

შეიარაღებული კონფლიქტის პირველ დღეებში აფხაზი სეპარატისტები და მათი მხარდამჭერი სომეხი ბოევიკები, ტოვებდნენ ქალაქს, სოფლებს და გარბოდნენ, რის შედეგადაც ქართული ჯარი გუდაუთამდე მივიდა. მთავარი სამხედრო პოზიციები - ეშერის მთა და ათონის გვირაბი – ქართველმა გვარდიელებმა დაიკავეს. ისე შეშინებული გარბოდნენ აფხაზი სეპარატისტები და მათი მხარდამჭერი სომხები, რომ 3-4 დღეში ჩვენი არმია ფსოუმდე გავიდოდა. ცნობილი რუსი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი და ქართველი პეტრე ბაგრატიონი ამბობდნენ, ომში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სისწრაფეო. ამიტომ ეს შეიარაღებული კონფლიქტი ან არ უნდა დაგვეწყო, თუ დავიწყეთ. სწრაფად უნდა გავსულიყავით ბოლომდე. ჩვენი სარდლობის დიდი შეცდომა იყო ათონიდან უკან დახევა, მთავარი საბრძოლო პოზიციების – ეშერის მთის დატოვება და მდინარე გუმისთის მარჯვენა მხარეს ჯარის გადმოყვანა, რითაც მტერს დავუთმე მთავარი საბრძოლო პოზიციები - ეშერისა და ათონის გვირაბი. ეშერის მთაზე დააყენეს აფხაზებმა მძიმე საბრძოლო ტექნიკა, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ქ. სოხუმის ყოველი კუთხე, რის გამოც დღე და ღამ ბომბავდნენ ქალაქს.

ათონიდან უკან დახევით, საბრძოლო პოზიციების გუმისთის გამოღმა გადმოტანით და 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით ომის შეწყვეტის შესახებ, შეჩერებით ისარგებლეს აფხაზმა სეპარატისტებმა დამხმარე ძალების - ჩეჩნების, ადიღელების, კაზაკებისა და რუსების შემოყვანისა და ომში ჩაბმისათვის და 1992 წლის ოქტომბრის დასაწყისში თვითონვე დაარღვიეს 3 სექტემბრის ხელშეკრულება და 2 ოქტომბერს აიღეს გაგრა. 1992 წლის 2 ოქტომბერს, გაგრის დაცემის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ჩვენი არმიის დაბალი სამხედრო დისციპლინითა და ღალატით, სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა ბანდებმა მთელი ძალებით დაიწყეს შემოტევა სოხუმზე. ხელისუფლებისა და სარდლობის დიდი შეცდომა იყო ისიც, რომ გაგრის მოვლენებს არ მიეცა შეფასება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სოხუმის დაცვაზე. დღე და ღამ იბომბებოდა სოხუმი, ინგრეოდა და იწვოდა სახლები, იღუპებოდნენ უდანაშაულო ადამიანები - ბავშვები და მოხუცები. ქალაქს გმირულად იცავდნენ ქართველი მეომრები და ქალაქის მცხოვრებნი. გაგრის დაცემის შემდეგ სოხუმს ორი მხრიდან უტევდნენ – გუდაუთის მხრიდან და ოჩამჩირე-ტყვარჩელიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ანატოლ კამკამიძემ ჩვენ სარდლობას მიმართა: „ორ ფრონტზე ომი ძნელია და მომეცით ნება, შტურმით ავიღებთ ტყვარჩელს და ამით მეორე ფრონტს მოვხსნი"-ო. ჩვენმა სარდლობამ მის ამ მოთხოვნას უარით უპასუხა, რაც ძვირად დაგვიჯდა და ღალატის ტოლფასი იყო. ოჩამჩირე-ტყვარჩელის ფრონტი რომ მოხსნილიყო, სოხუმი არ დაეცემოდა, მაგრამ რომ დაცემულიყო, სოხუმისა და გულრიფშის რაიონის მოსახლეობას გამოსასვლელი გზა მაინც ექნებოდა და სვანეთის მთებში სიცივისა და და შიმშილისაგან აღარ ჩაიხოცებოდა ასობით ბავშვი და მოხუცი.

მე კარგად ვიცნობდი ანატოლ კამკამიძეს. ის ნამდვილი პროფესიონალი გენერალი და საქართველოს ერთგული პატრიოტი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვში ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია წარჩინებით და ორმოცი წელი სამხედრო სამსახურში გავლილი ჰქონდა ყველა საფეხური ჯარისკაციდან გენერალ-პოლკოვნიკობამდე. ანატოლი კამკამიძე იყო საქართველოში სამხედრო სტრატეგიაში ყველაზე განსწავლული კაცი, რომელიც რუსეთის გენერალიტეტის დონეზე იდგა, ამიტომ ომის დროს მისი გაშვება საქართველოდან დიდი შეცდომა იყო. სამხრეთ დასავლეთიდან სეპარატისტები დაქირავებულ ბოევიკებთან ერთად (მას შემდეგ, რაც 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების შემდეგ ომის შეჩერების გამო მიეცათ დრო და საშუალება ჩრდილოეთიდან შემოეყვანათ რუსები, ჩეჩნები, კაზაკები, ყაბარდოელები, ადიღეელები) თორმეტი თვე დღე და ღამ ბომბავდნენ სოხუმს, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო, ათობით ქართველი მეომარი და ადგილობრივი მოსახლეობა გმირულად იცავდა ქალაქს. ასობით ქართველი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა სოხუმის მისადგომებთან, მათ შორის ჩემი მეზობლები და ნათესავები ძმები ვალიკო და ვახტანგ მუმლაძეები, რევაზ ლომიძე, შოთა გაგილაძე, ფრიდონ ბენიძე, ნიკოლოზ ურეხელიძე, თამაზ სოხაძე და სხვები. მტერმა სოხუმი სამხრეთ-დასავლეთიდან რომ ვერ აიღო, შემდეგ შეცვალა გეგმა და შემოუტია ქალაქს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან - ათონიდან სოხუმის რაიონის სოფელ შრომა -ახალშენის მიმართულებით. აქ გამოვლინდა ჩვენი სარდლობის მიერ ათონიდან უკან დახევისა და საბრძოლო პოზიციების მდინარე გუმისთასთან გადმოტანა, რომ დიდი შეცდომა იყო. ამით მტერს შესაძლებლობა მიეცა ხელში ჩაეგდო სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით აღნიშნული შემოსავლელი გზა. ამ გზით შეძლეს სოხუმის აღება.

სერგო ლომიძე

დევნილი პედაგოგი სოხუმიდან

გაგრძელება იქნება

---

### პრობლემა

## რა ღირს მცირეწლოვანებთან სექსი... ანუ ყველამ ყურები ბამბით დავიცოთ?!

ახლა უფრო ხშირად არჩევნებზე, მომავალ საქართველოს ბედზე ლაპარაკობენ ყველგან. იმჯერადაც სავაჭრო ჯიხურს ჩავუარე, ნაცნობებმა გამარჯობა მითხრეს თუ არა, ჩვენს შორის საუბარიც თავდაპირველად პოლიტიკის შესახებ წარიმართა.

„ვინ ფიქრობს ნეტავი ხალხზე ან ამათ რა ეშველებათ" – თქვა ქალბატონმა და შეხედა გაჩერებასთან ახლოს მდგომ ბიჭუნას, რომელიც მათხოვრობდა.

„ბავშვებია ცოდვა, ბავშვები!" 12-13-იოდე წლის ბავშვს მივუახლოვდი, თავზე ხელი გადავუსვი და ნაყინით დავასაჩუქრე. იგი მაშინვე აჰყვა საუბარში.

„შვილო, ხშირად დგახარ თურმე აქ. დედ-მამა არ გყავს?!"

მან თავი დახარა და უცნაურად მიპასუხა: ერთი მყავს და არცა მყავს! მე ქუჩაში არ ვცხოვრობ. ზემოთ, გრიშაშვილის ქუჩაზე რომ ბავშვთა სახლია, იქიდან ჩამოვდივარ ხოლმე!

– მერე იქ არ გივლიან?

– რა ვიცი, მივლიან მაგრამ... სხვას რას ვერჩი, ღედას რომ არ ვუნდივარ...

– მაინც რას ითხოვ ისეთს, რასაც ბავშვთა სახლში არ გიკეთებენ?

– კი, სკოლაშიც ატარებენ ზოგს, „ტუფლების" კერვასაც ასწავლიან, ისე კი გვაჭმევენ, მაგრამ მაინც მინდა ხანდახან სხვა რამე. ვიპარებით ხოლმე, პესკებზე რესტორნებთან სულ ჩვენი ბავშვები მათხოვრობენ.

ზოგიერთები „სექსზეც" მიდიან. „ბალნეოლოგიურთან" „პასტაიანი" კლიენტებიც ჰყავთ შუაღამით. ბიჭები 3 ლარს აკეთებენ. გოგოები მეტს შოულობენ – ოღონდ სხვა ადგილებში. იქ უფრო ბიჭების ადგილია.

გავოგნდი, რადგან მე, ამის დამწერი, სწორედ იმ ეზოში ვცხოვრობ, სადაც „ბალნეოლოგიური"ს კედელი ჩემს ფანჯრებს გასდევს. მერამდენე წელია მოსვენება აღარ გვაქვს მეზობლებს, რადგან „კურორტის" ეზოში გოგირდის თბილმა წყალმა ამოხეთქა და მას შემდეგ ზამთარზაფხულ მთელი დღე-ღამე საიდან არ მოდის ხალხი, რომ უფასოდ დაიბანონ და გარეცხონ სარეცხიც კი.

„ქალები ხართ?! კაცები ხართ?! მალე გამოხვალთ?! არა?!" – ვინმეს რაიმე პასუხი ზედმეტად მოეჩვენება და არის ერთი ჩხუბი, ხმაური და ღია ცის ქვეშ „რომანტიული" ღამისთევა მათთვის და ჩვენთვის კი მუდმივი უძილობა, არანორმალური ხმაურისა და უხამსი სიტყვების კორიანტელი, შეშველი ხალხის ბორიალი. ისე შეეჩვია ჩვენი სამეზობლო, უკვე ღამით კი არა, დღისითაც ადრინდელი გაკვირვების გარეშე ხვდებიან ამ სურათს. „კურორტის" ხელმძღვანელობამ ამ საქმეს ვერაფერი ვერ უშველა. ამ

გაგრძელება მე-9 გვ.

მე-8 გვერდიდან.

საკითხზე სხვა დროს გამოვაქვეყნებთ...

ეხლა კი – ისევ და ისევ დავუბრუნდეთ ზემოთ დაწყებული ამბის თხრობას.

თითქმის გულშეწუხებული გავეცალე ბავშვს და ისევ ქალბატონ ნანას მივუახლოვდი. „ბავშვთა სახლის გვერდით, ჩემი ნაცნობები ცხოვრობენ – მითხრა მან. მთელი საზოგადოება უხამსობის და გარყვნილების მეტს ვერაფერს ხედავს იქ. იჩივლეს კიდეც – არაფერი შედეგი! მთელი ღამე ისმის „ნატო გამოდი, წამოდი დროზე – შე... მერე ფანჯრიდან იპარებიან. ასაკით პატარა, მაგრამ შესახედავად დაქალებული გოგონები აბანოებში დაჰყვებიან დიდკაცებსო“.

ხალხი რას არ იტყვის – მეთქი, ვიიმედებდი თავს, მაგრამ...

ხშირად გამიგია პატარა ბიჭების ღამეული ტირილ-კივილი. მათი ხმა ისეთია, გოგონააო იტყვი... მაგრამ ცოტა ხანში ისმის“ მიდი, შალვა, მოდი შალვა, დროზე, შე „პედერასტო“... – და ყოველივე ირკვევა.

როდესაც შუაღამისას მილიციაში დავრეკე, მითხრეს: „რაა, მამათმავლობის ფაქტები?! თქვენ დაიძინეთ, რას უსმენთ, ხმაურია?! ყურებში ბამბები გაიკეთეთ, მოგპარეს რამე?! ეგ ჩვენი საქმე არ არის, ხვალ ვეტყვით თქვენი უბნის ინსპექტორს“. მკაცრად ვუთხარი: ჟურნალისტი ვარ და აუცილებლად ვიმოქმედებ ასეთ პასუხზე მეთქი.

ივლისის თვეში მივდივარ განათლების სამინისტროში, ინტერვიუს ჩასაწერად. მოსაცდელში ქალბატონები გავიცანი, რომლებიც ჩემსავით განათლების სამინისტროს, სკოლამდელი

პრობლემა

# რა ღირს მცირეწლოვანებთან სექსი... ანუ ყველამ ყურები ბამბით დავიცოთ?!

აღზრდის, საშუალო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე თავის რიგს ელოდებოდნენ.

ერთმანეთს გავეცანით და მოულოდნელობისაგან გავშეშდი, როცა გავიგე, ეს სანდომიანი, კეთილი ქალბატონები, გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე ბავშვთა სახლის ხელმძღვანელები იყვნენ. თავი ვერ შევიკავე და ვთქვი: „სამწუხაროა, მაგრამ რაღაც ცუდი ინფორმაციები გამიგია ბავშვთა სახლის ღამეულ ცხოვრებაზე მეთქი“.

ჩემი ნათქვამის ძალიან შემრცხვა, როცა მათ გაფითრებულ სახეებს შევხედე და მეტად კულტურული პასუხიც მივიღე. „მობრძანდით, როცა გინდათ, ადგილზე და ნახეთო“. მათ არ იცოდნენ, რომ მე უკვე დიდი ხანია ვათვალიერებდი გარედან აქაურობას. სამწუხაროდ, დღის საათებში ბავშვები ეზოში კალათბურთს თამაშობდნენ, თავისუფლად საუბრობენ ერთმანეთში, ბევრი ფსიქიკურად გაუწონასწორებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არცაა გასაკვირი... რამდენი ხანი იყო ზოგიერთი მანამდე ქუჩაში მარტო და არსებობისათვის იბრძოდა. სანამ აქ მოიყვანდნენ. სიცივე, შიმშილი, ბნელი ღამის გათენება... ბავშვის გონება კი არა, დიდი ვერ გაუძლებს.

სექტემბერში მოულოდნელად ვეწვიე ბავშვთა სახლს და უკვე შენობაში შევედი, გული დავიმშვიდე, როცა ჩემი თვალით ვნახე ახალ ფორმებში ჩაცმული ბავშვები. იდეალური სისუფთავე, როცა დავინახე სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინა ერთ ბიჭს ახლადნაყიდ ფეხსაცმელებს აცმევდა. ვნახე, როგორ მოვიდა მოწვეული კბილის ექიმი, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა ბავშვებს.

მე დირექტორს ვერაფრის თქმა ვერ გავუბედე, რადგან ჩანდა, რომ იგი თავის საქმეს უანგაროდ და დიდი სიყვარულით აკეთებდა. არადა, მაწუხებდა... იგი მეტად კარგი, წესიერი ადამიანი ჩანს და ეტყობა, რომ არ იცის, რა ხდება ღამით... როცა თვით იქ აღარ არის.

ბავშვები ყოველწამს შემოდიოდნენ, დეიდას ეძახდნენ და ეწუწუნებოდნენ, ეს მინდა, ის მინდა. როგორც ნამდვილი დედა იტყოდა, მან ისე შემომჩივლა, რამდენი რამე სჭირდებათ ბავშვებს, ამდენი ხნის ნალოლიავები, გაკეთებული საქმე გვენგრევა, დახმარება სჭირდება ბავშვთა სახლს, ენთუზიაზმით ვცხოვრობთ და კეთილი ადამიანების იმედით ვართ. ბავშვებს მიხედვა უნდათ, ზოგს დედაც ჰყავს, მამაც, მაგრამ მაინც შევიფარეთ, ქუჩაში იდგნენ და ზოგსაც საშინელი, არანორმალური ოჯახური სიტუაცია ჰქონდა.

კეთილი საქმისათვის მებრძოლ ქალბატონს ისევ ვერაფერი ვაკადრე, გულში ვიფიქრე, კიდევ დავაზუსტებ ყველაფერს – მეთქი, რამდენიმე ხნის მერე კი, ინტერვიუსთვის მივიდოდი... მაგრამ – ისევ უცნაური დამთხვევა, 18 სექტემბერს საღამოს 12 საათზე მე და ჩემი მეზობელი ნატაშა ეზოსთან ვდგავართ და ჭიშკრის დაკეტვას ვაპირებთ. მოულოდნელად ბავშვი გვიახლოვდება და შეწუხებული სახით გვეუბნება: „გეხვეწებით, რა, ეს ფული ხვალ დილამდე შემინახეთ რა“. მივხვდით, რომ ეს ბიჭი შემთხვევით არ იყო მოსული, ის ღამით ბალნეოლოგიურის ეზოში აპირებდა ე.წ. „საბანაოდ“ შესვლას. „მეშინია, ფული არ დავკარგო?!!“ რაღაც ვიაზრე. კარგი, მაგრამ რატომ გვანდობ, შვილო ამ ფულს ჩვენ, უცხოებს – მეთქი. „ისინი წამართმევენო“ – ვინ – მეთქი? – გაჩუმდა.

მე ავუხსენი, რომ ყველაფერს ვხვდები მის შესახებ, რომ ცხოვრებაში რაც უფრო ჭუჭყს შეხვდები, მით უფრო მეტად უნდა ეცადო დარჩე სუფთა ადამიანად. სიმპათიური ბიჭი ხარ, უკეთესი გახდები, როცა გაიზრდები – შეიძლება ლამაზ გოგონას შეუყვარდე და ყველაფერს თუ გაიგებს შენზე... გინდა?! – აღარ გამოგყვება-მეთქი.

ბიჭი დაფიქრდა, დიდხანს ვისაუბრეთ. გამენდო – „ბავშვთა სახლიდან ვარ, გამომაგდეს, „სიფილისი“ მჭირდა და ერთხელ უკვე მიმკურნალეს, არ ვიცი, კიდევ გამიჩნდა, თუ ისევ ძველია – რაღაც გამიჩნდა და მტკივა. გამომაგდეს და მითხრეს, რომ მორჩები, მერე მოდი, აქ არ დაგინახოთო“. აქ იმიტომ ხარ, „კლიენტს“ ელოდები-მეთქი? აბა რა ვქნა, თან ეს ფული რომ კაცებმა მიპოვონ, შეიძლება წამართვან კიდეცო.

– ასე ცხოვრება არ შეიძლება, სხვაც ავად გახდება, არ გიფიქრია ამაზე?!

– აბა რა ვქნა?!

მე დაგეხმარები, ვიტყვი, სადაც საჭიროა... დაგაბრუნებენ და გიმკურნალებენ კიდეც. ბიჭმა ტირილი დაიწყო და მთხოვა: – „მეშინია, არა, რა?! და ძალიან გთხოვთ, ნუ იტყვით ჩემს სახელსა და გვარს... თავს მოვიკლავ, ხომ მითხარით, პატივი ეცი შენს სახელს და გვარსო“.

ბიჭმა თავისი ფული უკან გამომართვა და წავიდა. შორიდან მომხედა, მერე კი გაიქცა.

საათს დავხედე... ღამის 3 საათი სრულდებოდა – რა დამაძინებდა? ვნატრობდი, შემძლებოდა, რომ მეშველა ყველა ბავშვისათვის. თენდებოდა...

**ქეთი ჩადუნელი**

# „ადამიანს თითქმის ვაახალგაზრდავებ“

*ბოლო პერიოდის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ფიტოთერაპიამ კლასიკური მედიცინის გვერდით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მცენარეულ პრეპარატებზე დამზადებული წამლები საუკეთესო შედეგს იძლევა. მადლიერი პაციენტები კი მცენარეული წამლებით მიღებულ ეფექტს სასწაულად ნათლავენ.*

*გთავაზობთ ინტერვიუს ფიტოთერაპევტთან, ქალბატონ* **იზო ჯლამაძესთან**



***– ქალბატონო იზო, ფიტოთერაპიამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კლასიკური მედიცინის გვერდით, მაგრამ ხშირად ისინი ერთმანეთის კონკურენტები და მოწინააღმდეგეები არიან. თქვენ თქვენი მეთოდებით მკურნალობას ურჩევთ პაციენტს, ამით ჩვეულებრივ მედიცინას ხომ არ უარყოფთ?***

– კლასიკური მედიცინის უარყოფა აზრადაც არ მომსვლია, ბოლოს და ბოლოს სწორი დიაგნოზის დასმა მისი პრეროგატივაა, უბრალოდ, ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ყველამ იცის უკვე, რომ ქიმიურ ელემენტებზე დამზადებული წამლები ორგანიზმისთვის მავნებელია. ხშირად ერთი ორგანო იკურნება, მეორე კი ზიანდება.

***– მსგავსი რეაქცია შესაძლოა მცენარეული პრეპარატებისგან დამზადებული წამლის მიღებასაც მოჰყვეს. ერთ ორგანოს მოუხდეს, მეორე დააზიანოს?***

– შეიძლება, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს ფიტოთერაპევტის საიდუმლო. ბალახებს შერჩევა სჭირდება და სხვადასხვა დოზით გამოყენება, შუალედურის, სასარგებლოს გამოყვანა.

***– თქვენ, როგორც ვიცი, პროფესიით მედიცინისგან საკმაოდ შორს უნდა იყოთ...***

– დიახ. სამედიცინო სასწავლებელი არ დამიმთავრებია. საბუღალტრო განათლება მაქვს, მაგრამ ფიტოთერაპია ყოველთვის მიტაცებდა და სურვილი ავისრულე. ჩემი მეთოდებით საქართველოში ჯერ არავინ მკურნალობს. მორჩენილი პაციენტების მადლობებს ვერ ავუდივარ.

***– რაში მდგომარეობს მეთოდის განსაკუთრებულობა?***

– ყველაფრის გაზეთით ხმამაღლა გამოცხადება მიზანშეწონილად არ მეჩვენება, ისე, ერთ უბრალო საიდუმლოს გაგიმხელთ, წამლების გარდა, ყველანაირი სახის საცხს, გამწმენდს მცენარეებისგან ვამზადებ და ადამიანს ლამის ვაახალგაზრდავებ.

***– რა დაავადებებს ჰკურნავთ?***

– ასპროცენტიანი მორჩენის გარანტიით ვკურნავ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტის ანთებას, კენჭოვან დაავადებებს, ყველანაირ ბუასილს, ყოველგვარ ქავილს, ეგზემას, ფსორიაზს, ჩიყვს, ქარებს, შიშებს, თმის ცვენას, ვასწორებ ნაოჭებს.

***– შიშები მრავალგვარია და მძიმე დაავადებაა. რომელს არჩენთ და რა მეთოდით სარგებლობთ?***

– შიშებში ერთიანდება ნერვული დაძაბულობა, სტრესები, უძილობა, მკურნალობა ინდივიდუალური მეთოდით მიმდინარეობს. ზოგს ლოცვების საშუალებით სჭირდება დახმარება, ზოგს კი მცენარეებისგან დამზადებული ნაყენით. ჩემთან ერთი 27-28 წლის ახალგაზრდა ქალი მოიყვანეს, არ ჭამდა, არც სვამდა, ვერავის დასანახად ვერ იტანდა. ვერც საკუთარ შვილს ცნობდა თვალით. ძალიან მძიმე შემთხვევა იყო. ორივე მეთოდის ერთდროულად გამოყენება დამჭირდა. 20 დღეში კრიზისმა გაიარა. ოჯახს დაუბრუნდა. უკვე მეორე შვილის დედა გახდა ახლახან. მე ვფიქრობ, ჯადოს ზემოქმედებით გაურთულდა მდგომარეობა, უარყოფითი ენერგია გავაუვნებელყავი ჩემი მეთოდებით და ავადმყოფი მორჩა.

შემიძლია ლოცვების საშუალებით დავეხმარო ადამიანებს ხლაფორთის აცილებაში, ყოველგვარი საქმეების გამართლებაში, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

***– ნაღვლის ბუშტს დღეს ბევრი მკურნალობს...***

– კი, ბევრნაირი მეთოდი არსებობს მკურნალობის, მაგრამ მე, როცა მკურნალობას დავასრულებ, ჩემს პაციენტს ნაღველი არასოდეს აღარ ეტკინება.

***– რას უკეთებთ ასეთს?***

– ვასწავლი, როგორ ამოირეცხოს ნაღვლის ბუშტი და მერე ვიწყებ მკურნალობას დაავადების თვისებებიდან გამომდინარე. კურსის დასრულების შემდეგ კი ვასმევ განსაკუთრებული თვისებების მქონე ქარვას მაწონთან და თაფლთან ერთად.

***– ფსორიაზს კანის კეთილთვისებიან სიმსივნეს უწოდებენ. სინამდვილეში რა არის ფსორიაზი და როგორ არჩენთ?***

– ეს კანის უმძიმესი დაავადებაა. ქავილით იწყება, კანი გამოშრება, იქერცლება და სცვივა. ჯერ გამწმენდ სითხეს ვუსმევ პაციენტს, შემდეგ კი მალამოებს. მორჩენა დაავადების ხანგრძლივობაზე და ხარისხზეა დამოკიდებული. ახალგაჩენილ ფსორიაზის მკურნალობას 10-15 დღე ჰყოფნის, ქრონიკულს კი ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება.

***– ჩიყვის სრული განკურნება შეუძლებელია, მასიურად დაავადებული დიდი თუ პატარა იოდიან მარილში ეძებს საშველს...***

– იოდიანი მარილი ჩიყვისგან თავდაცვის საშუალებაა, დაავადებულ ორგანიზმს კი სერიოზული მკურნალობა სჭირდება. წამალს, რა თქმა უნდა, მცენარეებისგან ვამზადებ, პაციენტს წვეთებით იოდიან რძეს ვასმევ.

ოპერაციის გარეშე ჩიყვის სრული მორჩენა მედიცინას არ შეუძლია, მე კი ბევრი ავადმყოფი მყავს განკურნებული.

***– თმის ცვენა ხშირად მემკვიდრეობით სახეს იღებს. თქვენ მემკვიდრეობით მიღებული დაავადების განკურნება შეგიძლიათ?***

– თმის ცვენას რაც შეეხება, კი, ბატონო. დაავადებას ვიტამინების ნაკლებობა იწვევს და ასაკთან არანაირი კავშირი არა აქვს. თმის ცვენის დაწყებული პროცესის შეჩერება და გათხელებული თმის გამაგრება საკმაოდ ადვილად შემიძლია ბიჭებისთვისაც და გოგონებისთვისაც.

***– ნაოჭებით დაღარული სახე ადამიანებს სიცოცხლის ხალისს უკარგავს. თანამედროვე მედიცინას კანის გადაჭიმვის საშუალებები გააჩნია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს დეფექტის დატოვების გარეშე არ ხდება, თქვენი მეთოდი სრულყოფილია?***

– კანის დასაჭიმ მალამოს მცენარეებისგან ვამზადებ და ძროხის ძვლის ტვინს ვუმატებ. მკურნალობის შემდეგ კანი ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე ნაოჭებისგან თავისუფლდება. ასევე შემიძლია სახის კანის გაწმენდა ყოველგვარი ლაქების, ჭორფლისა და ჩირქოვანი გამონაყარისგან.

**მანანა გელოვანი**

***P.S.*** *მათთვის, ვისაც სურვილი გაუჩნდა საკუთარი თვალით იხილოს და დარწმუნდეს ფიტოთერაპიის სასწაულებრივ შედეგებში, შევიძლია მივაწოდოთ ქალბატონ იზო ჯლამაძის მისამართი და ტელეფონი: (მარჯანიშვილი) სუნდუკიანის ქ №11 ტელ. 95-21-25*

# როდემდე უნდა ვითმინოთ?

მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნები საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტით უამრავ კრედიტებს ყოფენ საქართველოს სხვადასხვა დარგების აღორძინებისათვის. ისიც არის ცნობილი, რომ ეს კრედიტები მიზნობრივად არ იხარჯება და იგი მხოლოდ ზოგიერთი ჩინოვნიკის ოჯახის კეთილდღეობას ხმარდება, ან კიდევ მაფიოზური გზებით თავსდებიან შვეიცარიის ან სხვა ბანკებში. გამორიცხული არ არის, რომ ეს თანხები ფარულ გზებით გაიცემოდეს, მაღალი პროცენტის დამატებითაც. არადა, მოსახლეობას ჰაერივით ესაჭიროება ეს თანხები დღეს დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად, აგრეთვე მოსახლეობის დასასაქმებლად.

ზემოთ აღნიშნულის გამო მკითხველი იტყვის: - როგორ გეკადრებათ, ბატონო, ჩვენი კომერციული ბანკები ხომ დღედაღამ აკეთებენ რეკლამას მოსახლეობაში, რომ ისინი იძლევიან კრედიტებს და თან რაზე აღარ. გნებავთ, საბრუნავი საშუალებების შესავსებად, კრედიტორული დავალიანების დასაფარავადაც კი, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანებსაც, მაგრამ ასეთ ეჭვიან მკითხველებს ვურჩევთ, თავად მოსინჯონ კრედიტების მიღება და მერე მიხვდებიან, რა სიცრუესთან აქვთ საქმე, ანუ რაოდენ დიდია განსხვავება სინამდვილესა და რეკლამას შორის. რესპუბლიკის თითქმის ყველა კომერციული ბანკი სესხებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე იძლევიან, მხოლოდ, ოქროს გირავნობით ერთი თვით მაღალი პროცენტით (5-7 პროცენტი)-ით, რომელსაც ისინი დაბალს უწოდებენ. ჩვენ კი მათს ამ პროცენტს მაღალს იმიტომ ვუწოდებთ, რომ იგი მართლაც მაღალია და არ შეესაბამება უცხოეთიდან მიღებული სესხის პროცენტს. გავიხსენოთ ინგლისელი მეცნიერი-ბიზნესმენის, ჰერბერტ ნიუტონ კესონის წიგნი: „ფულთან მოპყრობის 12 წესი, ანუ როგორ უნდა მიიღო მოგება“, სადაც ნათქვამია, რომ ფული არ უნდა ისესხო მევახშისაგან, რომელიც ფულს მაღალი პროცენტით, 5 პროცენტში ასესხებს, რაც დამღუპველიაო“. აქ, ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

საინტერესოა, რათ უნდა სახელმწიფოს ამდენი კრედიტების მიღება უცხოეთიდან, თუ იგი მაინც არ უნდა მოხმარდეს მოსახლეობას და ჩინოვნიკებმა უნდა მიითვისონ. მისი გადახდა ხომ ჩვენს მომავალ თაობას თავისი მხრებით მოუწევს. აღნიშნულ სუბიექტურ მოვლენებს ხელი-ხელ ჩაკიდებული მიჰყვება ე.წ. „მევახშეობა“, რომელიც ამჟამად კულმინაციურ წერტილზეა მისული. გამორიცხული არ არის, რომ მათ სხვა ბანკებთან ჰქონდეთ კავშირი. მევახშეები უკვე ასტრონომიული დარიცხვებით იძლევიან სესხებს თვეში 10-30 პროცენტითით. უნებართვო ეკონომიური საქმიანობით განებივრებული მევახშეები ზოგჯერ აკრძალული (უნებართვო) საქმიანობის დასაგვირგვინებლად საქმეში ჩაუხედავ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებსაც კი იყენებენ. აქ ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ სს ბანკები სესხებს აძლევენ, მხოლოდ იმათ, ვინც ბოლო ორი წელი დიდი მოგებით დაამთავრა! საინტერესოა, რათ უნდა ბანკის სესხი იმ ორგანიზაციას, რომელსაც სახელმწიფოს ხელის შეწყობით დიდძალი თანხა აქვს? ის, სავარაუდოდ, მხოლოდ მევახშეობისთვის გამოიყენებს ამ თანხას. ისესხებს 5 პროცენტად და გაასესხებს 10 პროცენტად. სესხი ჭირდება მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სახსრების უქონლობის გამო გაჩერებულია და მოსახლეობაც დაუსაქმებელი რჩება.

აქედან გამომდინარე, ქართველი კაცის ცნობიერებაში პესიმიზმია დამკვიდრებული, მაგრამ როდესაც ზოგიერთი მოხელის მოქმედებას გადავხედავთ, მომავლის იმედი კვლავ გვიბრუნდება. ასე, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის კუთხეს გამოუჩნდა ორგანიზაცია „საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალება“ (უფროსი რონან რაიანი, კრედიტების ოფიცრები: ა.მუზოდლი, რ.ხვიჩია), რომელიც სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ფართოდ აძლევს მოსახლეობას კრედიტებს დაბალი პროცენტით, თვეში 1,25 პროცენტი და აკონტროლებს კიდევაც მისი დანიშნულებით გამოყენებას; ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან დამწყებ ბიზნესმენს.

კარგი იქნებოდა, რომ სს ბანკებს აღნიშნული ორგანიზაციისთვის მიებაძათ, მაშინ ხომ არ გვექნებოდა ეკონომიკაში ისეთი სავალალო მდგომარეობა, რომელიც ამჟამად გვაქვს და ხალხიც სამუშაოზე დასაქმდებოდა, არა და, როდემდე უნდა ვითმინოთ ე.წ. „ცრუ“ რეკლამები?

**ხალხთა მეგობრობის ბორჯომის ასოციაციის გამგეობის თავ-რე: დ. ხელისუფალი**

# ბევრს არ ესმის, მედიცინა „მეტალურგიულის“ მსგავსად მომგებიანი ბიზნესი რომ ვერ იქნება...



მეწარმეობის განვითარებას რომ ჩვენი საგადასახადო კანონები ხელს არ უწყობენ (ხელის შეშლაზე რომ არაფერი ვთქვათ), სიახლეს არავისთვის არ წარმოადგენს, მაგრამ როგორლაც ყველაფერს ეჩვევა ადამიანი... კარგად შეჩვეულ-დავიწყებული ძველი კი უკვე სიახლეა თითოეული ჩვენთაგანისათვის. ასეთ „სიახლეს“ წარმოადგენს მედიცინისა და საგადასახადო კანონების ურთიერთობაც. ვერავის გავაკვირვებთ თუ ვიტყვით, მედიცინაც მეწარმეობის მსგავსად იბეგრება, მაგრამ რატომლაც ყური ამასაც შეეჩვია და ... არაფერი ეშველა უვარგის კანონებს. მავანთა ლაღადისმა ვერაფერი შეასმინა ვისაც ჯერ არს.

– მედიცინის ერთადერთი შეღავათი დღგ-სგან გათავისუფლება გახლავთ, დანარჩენში ისე იბეგრება, როგორც ნებისმიერი ქარხანა – მეტალურგიული, აზოტის და სხვა, მედიცინას კი დახმარება სჭირდება. დღეს საქართველო არ არის იმ დონეზე, რომ ყველაფერი ერთნაირად დაიბეგროს, ეს თვით განვითარებულ ქვეყნებშიც არ ხდება ასე.

როგორ შეიძლება მედიცინისგან შეივსოს ბიუჯეტი, როცა ადრე ბიუჯეტი ყოველთვის აქეთ ეხმარებოდა მედიცინას? – გვითხრა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების კონტროლის ინსპექციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ (არჩევნებთან დაკავშირებით თანამდებობა დატოვა) ბატონმა **ნოდარ გოგოხიამ**, ამჟამად ისნის რაიონის დამოუკიდებელმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა.

მედიცინა მომგებიანი ბიზნესის თვალით რომ არ უნდა დაინახონ, ვინაც ჯერ არს, ვერ შეისმინა. თითოეული ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სიცოცხლის შენარჩუნება თუ ახალი სიცოცხლის დაბადება მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობისა რომ გახლავთ საქართველოს მომავლისათვის, არც ეს ესმის, როგორც ჩანს, ზოგიერთს კარგად.

– თუ კონკრეტულად არის ისეთი სპეციალობები, სადაც ძვირადღირებული აპარატურის ხარჯზე დიდი მოცულობის სამუშაოები რამდენიმე წუთში სრულდება, მაშინ კიდევ დასაშვებია, კაცმა მედიცინას მოგების მიღების თვალით უყუროს, მაგრამ სხვაგვარად ამგვარი დამოკიდებულება ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია, – ასე ფიქრობს ბატონი ნოდარი. 1991-92 წლებში ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებში გამარჯვებულმა რაიონის დამოუკიდებელმა დეპუტატმა – საკრებულოს წევრმა მოსახლეობის მხარდაჭერა და ნდობა ჯერ კიდევ მაშინ მოიპოვა, მათი მხარდაჭერით კი დღეს პოლიტიკაში მოსვლა ჩვენს რესპონდენტს მრავალი საჭირბოროტო საკითხისადმი უგული, უყურადღებო დამოკიდებულებამ და მათმა მოუგვარებლობამ გადააწყვეტინა. პროფესიით ექიმსა და იურისტს დიდი სურვილი აქვს საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების საფუძველზე ურთიერთჰარმონიაში მოიყვანოს სამედიცინო და იურიდიული საკითხები ... და არა მხოლოდ ესენი.

გაგანია კომუნიზმისაკენ მიმავლებმა მოულოდნელად კაპიტალიზმის ჯერ კიდევ გაურკვეველ ფორმებში ამოვყავით თავი. მიჩვეულნი ვიყავით ყველაფერს უფასოს და მზამზარეულს. ჰოდა, შეჩვეულს ნუ გადააჩვევო ხომ გაგიგიათ...

ერთი დრო, როგორც ჩანს, არავის შერჩება. ასე დაგვემართა ჩვენც, მაგრამ უფასო „ვაის“ გაყრილები, უზარმაზარ „უის“ შევეყარეთ: დღევანდელი ჩვენი კანონები მსოფლიო სტანდარტებს შეეფერება და არა ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს.

– მე ამ რაიონში დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც აქ დავამთავრე, ინსტიტუტის დროს, სწავლას თუ არ ჩავთვლით, რაიონიდან არ გავსულვარ, სულ აქ ვმუშაობ. ყველას და ყველაფერს ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, რაიონი ძალზე სპეციფიკურია, ყოველ კუთხე-კუნჭულს, თითოეული რაიონის მოსახლის სულის მოძრაობას ვგრძნობთ, უამრავი ქართველი, სომეხი და მრავალი სხვა ეროვნების მეგობარი მყავს ამ რაიონში მცხოვრები, ვიცი მათ რაც აწუხებთ, სწორედ ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია (რა თქმა უნდა, მათი მხარდაჭერით), რომ კენჭი ვიყარო, როგორც დამოუკიდებელმა დეპუტატობის კანდიდატმა. ყველა რაიონს თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს პარლამენტში, ხალხის არჩეული, მათი ინტერესების დამცველი და არა რომელიმე პარტიის წევრი – ამბობს ბატონი ნოდარ გოგოხია.

ისნის რაიონი ერთ-ერთი ძველი, ისტორიული, კოლორიტული უბანია თბილისისა. მისი სათანადოდ მოუწყობლობის გამო შეწუხებული ამ რაიონის მცხოვრებლები რაიონის ბედს გაბედულად ანდობენ თავის რჩეულს.

მომხრეთა მოპოვების მიზნით, დაპირებებით „ტვინი მიაქვთ“ ხოლმე დეპუტატობის კანდიდატებს, მაგრამ ამ მხრივ ცოტა არ იყოს, უცნაური კაცია ჩვენი რესპოდენტი. უხერხულად ეჩვენება წინასწარ აღთქმის დადება:

– ღმერთმა დამიფაროს, ფიცი-მტკიცით და დაპირებებით დავიწყო ამომრჩევლის გულის მოგება. მე ის მიჭერს მხარს, ვინც კარგად მიცნობს და არაერთხელ დაპირების გარეშე დავხმარებივარ. იმ დონემდე ვერ დავალ, თითო-ოროლა კილო ფქვილის და შაქრის დარიგება დავიწყო, ვერც სადარბაზოების მიხედვით „ხმის შემგროვებელ“ „თანამშრომლებს“ დავურიგებ „ხელფასს“. მინდა, ისნის რაიონის ამომრჩეველმა უბრალოდ იცოდეს, მათ პრობლემებზე ვიზრუნებ ყველგან და ყოველთვის, სადაც უნდა ვიყო.

წინამორბედის აგდებულად მოხსენიება მიზანშეწონილად არ ეჩვენება, ფრთხილობს ბატონი ნოდარი, მაგრამ ფაქტებს ვერსად გაექცა:

– წინა პარლამენტს მაინც და მაინც ბევრი არაფერი გაუკეთებია, მშრომელი კაცის ინტერესებს რომ დაარეგულირებდა, ზოგიერთი კანონი კი, რაც მიიღეს, თითქმის ანტისახელმწიფოებრივი იყო განათლების, ჯანდაცვის, მრეწველობის სფეროში. ბევრი კანონი ხელახლაა შესაქმნელი... სხვაგვარად შეუძლებელი იყო. კაბინეტებში დაწერილ კანონებს რეალობა როგორ უნდა აესახა?

არჩევნების არაობიექტურ ჩატარებაზე გამუდმებულ საუბრებს ისმენს, მაგრამ... არ ჰყვება. ერთი კია, ჩვენი რესპოდენტი საარჩევნო კომისიის წევრების სიამ ჩააფიქრა.

– ჩემი მომხრეები მეუბნებიან, ძალიან „გამოცდილი“ ხალხია შესული კომისიის წევრებში, უკვე მესამე არჩევნებს ატარებენ და „ჟონგლიორობაში“ დახელოვნებულნი არიანო.

თუმცა გული ვერაფერმა გაუტეხა, გამარჯვებაში დაიმედებული უკვე ფიქრობს იმ პირველ ნაბიჯებზე, რომელიც დაპირების გარეშე თავისი ამომრჩევლის სასარგებლოდ უნდა გადადგას.

**ანი ზურაბიშვილი**

# ტრანსპორტის პოლიცია დამნაშავეთა სამყაროს კვალდაკვალ...

უტრანსპორტოდ ტრანსპორტის პოლიციის წარმოდგენა მეტად რთული საქმე გახლავთ, მით უფრო დღეს, როცა დამნაშავეთა სამყარო საუკეთესო ფირმის უცხოური მანქანებით „დაგრიალებს“. ეს საკითხი სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტს თავის დროზე, მაგრამ ფინანსური საკითხები კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა.

– დეპარტამენტის თავმჯდომარედ როცა გენერალი ზურაბ უროტაძე დაინიშნა, მდგომარეობა გამოსწორდა. მოგეხსენებათ, უტრანსპორტო პოლიცია არაფრის მაქნისია, ეს კარგად ესმოდა ბატონ ზურაბს და მისი უშუალო ძალისხმევით გარკვეული რაოდენობის მანქანები შევიძინეთ, – პრობლემებზე საუბრით დაიწყო ჩვენთან დიალოგი სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, კრიმინალური პოლიციის უფროსმა ბატონმა **ანდრო გვაზავამ**.

პრობლემებზე საუბარი ჩვენს პირობებში, სამწუხაროდ, ხშირად „გულის მოოხებებს“ ჰგავს ხოლმე, რადგან გამოსავალი არც ისე ადვილი საპოვნია... ფინანსურ პრობლემებზე საუბარს რომ არანაირი სასიკეთო შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს, ყველას კარგად მოეხსენება დღევანდელი ჩვენი „სულისმღაფავი“ ბიუჯეტის შემყურეს. არადა, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სწორედ ეს საკითხი დგას ტრანსპორტის პოლიციის წინაშე.

– წინა წლის 4 თვის და წლევანდელი 3 თვის ხელფასები გაუცემელი გვაქვს, ხელფასის სიმცირეზე აღარ ვსაუბრობ. ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა მოსამართლეებს ხელფასი რომ გაუზარდეს, მაგრამ, სამწუხაროა, რომ იგივე პოლიციელზე არ იფიქრეს, შავ სამუშაოს პოლიცია აკეთებს, დანაშაულზე პირველად პოლიციელი გადის, შეიარაღებული ჯგუფების და ბანდების აყვანა პოლიციელმა უნდა შეძლოს, ძებნილის დაკავებაც ჩვენი საქმეა, ხელფასი კი იმდენად მცირეა, რომ ჩვენს თანამშრომელს არ შეუძლია ოჯახი არჩინოს. ეს ბუნებრივია, პირველ რიგში კორუფციისაკენ უბიძგებს ადამიანს. თუმცა ამას მარტო ხელფასის სიმცირე არ განაპირობებს. ზოგს ჩვევად აქვს ეს სენი გადაქცეული და სხვაგვარად სიცოცხლე არ შეუძლია – ბრძანა ბატონმა ანდრომ.

დანაშაულის ჩამდენს სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ტრანსპორტის პოლიციაში, არც საკუთარ თანამშრომლებს დავინდობთ რიგითი პოლიციელი იქნება თუ ოფიცერიო, ამგვარი დამოკიდებულება გააჩნიათ ამ სამსახურის ხელმძღვანელებს.

– ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სადგურ „საკვანძოში“ დაცვის პოლიციის თანამშრომლები დავაკავეთ და პასუხისგებაში მივეცით. ისინი სატვირთო ვაგონებიდან თავიანთი მორიგეობის პერიოდში იპარავდნენ საქონელს. დამნაშავეთა ფაქტზე დაკავებით სერიოზული მტკიცებულებები მოვიპოვეთ, – გვითხრა კრიმინალური პოლიციის უფროსმა.

კრიმინალურ პოლიციაში შედის ყველა ოპერატიული სამსახური. ყველა ოპერატიული ინფორმაცია ბატონი ანდროს ხელში იყრის თავს და იგი ამ სამსახურების მუშაობას კოორდინაციას უკეთებს. ხშირად ხდება ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება და ერთდროულად ორი ან მეტი საქმე კეთდება.

გასულ წელთან შედარებით დანაშაულის რამდენიმე ერთეულით შემცირება იგრძნობა, რასაც აჩვენებს მიმდინარე წლის 8 თვის მაჩვენებლები, თუმცა სამომავლოდ, როგორც ბატონმა ანდრომ თქვა, დანაშაულის მინიმუმამდე დაყვანა აქვთ განზრახული. დანაშაულის ოდენობაში განსაკუთრებული წილი სხვისი პირადი ქონების ქურდობაზე, უაქციზო სიგარეტით ვაჭრობასა და ნარკოტიკების მფლობელებზე მოდის. დანაშაულის გახსნის პროცენტი მაღალია, რაშიც დიდი წვლილი იმ განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიუძღვის, რომელსაც ხშირად ატარებენ.

– ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე, იმ უბნებზე, სადაც იძაბება ოპერატიული ვითარება, ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი ჩადის, ადგილზე იქმნება შტაბი და ტარდება ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები.

მაგალითად ასე მოხდა მიმდინარე წლის ივლისის 20-დან აგვისტოს 25-მდე. ამ დროს დამსვენებლები უბრუნდებოდნენ ქალაქს. ამ ღონისძიების შედეგად სერიოზული ფაქტებიც იქნა გამოვლენილი. მატარებლების შემადგენლობებზე ჩვენ გვყავს ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც აცილებენ ვაგონებს. ტარდებოდა მოულოდნელი რეიდები და შედეგებიც, როგორც გითხარით, სახეზეა.

ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტი კადრების გადამზადებასაც დიდ ყურადღებას აქცევს, განსაკუთრებულად ახალგაზრდებზე ზრუნავენ. „დღეს და ხვალ ვინმემ ხომ უნდა შეგვცვალოსო“, ფიქრობს ბატონი ანდრო და მონდომებული, ერთგული ახალგაზრდების წახალისებას, სამსახურში დაწინაურებას ცდილობს.

ახალგაზრდების სასიცოცხლო მნიშვნელობა კარგად წარმოუდგენიათ და ამ საკითხისადმი სალი აზრი და ყურადღებიანი დამოკიდებულებაც ნათლად იგრძნობა, ეს კი უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია წარმატებისკენ გადადგმული.

**ნანა ძველაია**

# რეპლიკა

*(განცხადების მაგიერ)*

საქართველოს ოფიციალურმა საინფორმაციო საშუალებებმა გვაუწყა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეთა მორიგ კონფიდენციალურ შეხვედრაზე (15.09.99 წ.) ევროსაბჭოს ეგიდით (?) უახლოეს აუცილებელ ამოცანად დასახულია ამ ქვეყნების საკანონმდებლო ბაზის მაქსიმალური დაახლოება (?!), სამივე ქვეყნის საკანონმდებლო ჰარმონიზაცია(!!!). ამასთანავე, მომხდარა გარკვეული სერიოზული შეთანხმებები... (რა შეთანხმებებია?)

რა ხდება? ისევ ზეწოლა კავკასიის ე.წ. რეგიონალური ფედერაციისაკენ?! კი მაგრამ... თუ რამ სასიკეთოს გვიპირებენ, რატომ ასე ფარულად, მკაცრად დახურულ კარს მიღმა, ღრმად კონფიდენციალურად?!!! (თანაც საეჭვო... წარმომადგენლობით). ისიც გვაუწყეს, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების თავმჯდომარეებმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს თანადგომა აღუთქვეს ამ შეხვედრების შემდგომ გაგრძელება - მხარდაჭერაში. ე.ი. სახვეწრადაც ჩვენ გვქონია საქმე? ცოტაც და გვეტყვიან, ახლაო „დავითის საქართველო უნდა აღვადგინოთ კავკასიაში ევროსაბჭოს ეგიდითო“ (?!)... ალბათ, ამას თუ ვიხვეწებით!

უფრო ვრცლად ამ პრობლემის შესახებ გაზეთ „საქართველოს“ ამა წლის №24-ში გამოაქვეყნა თავისი საკუთარი თვალსაზრისი ერთაშორისი საზოგადოებრივი მოძრაობის - კავკასიის ჰარმონია“ - ერთ-ერთმა წევრმა პრობლემატურ წერილში: „SOS! მახრჩობელა ილეთის ჩატარება უკვე დაგვიწყეს!“

დამაფიქრებელია და ადექვატურად სამოქმედოდ გასააზრებელია, რა კონტექსტში თუ კავშირშია ევროსაბჭოს ეგიდით ჩაფიქრებული ეს კონფიდენციალური „პროცესი“ კავკასიაში (და რუსეთში) დღეს „ფორსირებულ“ სისხლიან მოვლენებთან, რუსეთის დუმის ახალ 15.09.99 წ. გადაწყვეტილებასთან - აზერბაიჯანისა და საქართველოს ოფიციალურად დადანაშაულებაზე არალეგალურად რუსეთში იარაღის შეტანაში, მოქალაქეობის პირადობის საბუთებში ეროვნების რეკვიზიტის აღდგენაზე თავად საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივის უბოდიშოდ დაბლოკვასთან და სხვა სრულ განუკითხაობასთან მოსახლეობის ელემენტარულ სოციალურ უზრუნველყოფაში, საეჭვოდ პროვოცირებულ მოსალოდნელ გლობალურად გართულებულ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასთან და მრავალ სხვასთან. რას მოასწავებს თუნდაც გაუგებრობამდე დაჟინებული ავადმყოფური სწრაფვა ყველა მოწინავე ქვეყნისაგან განსხვავებული უსახური, კოსმოპოლიტური საზოგადოების მოდელისაკენ, თანაც საქართველოს მოქალაქეობის მიღება-მოპოვების სასწრაფოდ და მაქსიმალურად გამარტივებისაკენ?

რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს შეთქმულებაა დაგეგმილი და პროვოცირებული საერთო კავკასიური (და არა მხოლოდ კავკასიური) სისხლიანი ქაოსის ფონზე და რომ თავად საქართველოს მოხვედრა ამ კატაკლიზმების ეპიცენტრში არამცთუ კვლავ საგანგაშოდ რეალურია, არამედ გარკვეული მსოფლიო ძალების აშკარა და პირდაპირი თვითმიზანიცაა საკუთარი გლობალური მიზნების რეალიზების გზაზე. კავკასია, მისი თვითმყოფადი მრავალათასწლოვანი კულტურა, აქამდე არნახულ საფრთხეშია!..

საქართველოს ხელისუფლებას და უპირველესად საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს ეკისრება უდიდესი და უმძიმესი პასუხისმგებლობა ერის თვითმყოფადობისა და ქვეყნისათვის ამ ისტორიულ გზაჯვარედინზე. გადაწყვეტილების მისაღებად არამც თუ წლები, თვეებიც აღარ გვრჩება. ქვეყნისა და რეგიონის ბედს დღეები და საათები წყვეტენ...

ბ.ჩ.
15.09.99 წ.

# XX საუკუნის სენსაცია - 35 საუკუნის საიდუმლო

ორი წლის წინ მსოფლიოს მორიგი სენსაცია მოედო. შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის როსლინის ინსტიტუტის ლაბორატორიაში კლონირების მეთოდით ამ ქვეყანას ბატკანი „დოლი“ მოევლინა. მალე მას მეორე ბატკანი „პოლი“ მოჰყვა.

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ჩასახულ-გაჩენილი არსებები „მშობლებს“ ტყუპისცალებივით წააგვანან. გარეგნული მონაცემებით, ფიზიკურად „ასლი და დედანი“ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. „შვილი“ შესახედავად ზუსტად „მშობელია“.

მეცნიერთა ამ წარმატებას 277 ხელმოცარული ექსპერიმენტი უძღვოდა წინ. წინამორბედები ან „დედების“ მუცლებში იხოცებოდნენ, ანდა მახინჯები, ორგანოებისა და სისტემების დარღვევებით, რაღაც საოცრებები იბადებოდნენ.

კლონი ანუ ბიოლოგიური რობოტი არის ცოცხალი სხეული, რომელიც ორიგინალის მემკვიდრეობით პროგრამას იმეორებს, ორიგინალის სხეულიდან გენის ქრომოსომს იღებენ და მდედრის სხეულიდან ამოღებულ კვერცხუჯრედთან ერთად სითხეში ათავსებენ. გარკვეული დროის შემდეგ ემბრიონი საშვილოსნოში შეყავთ, სადაც ნაყოფი ბუნებრივი საშუალებებით ვითარდება.

- „კლონირების ტექნოლიგია ჯერჯერობით ჩანასახის მდგომარეობაშია - განაცხადა ექსპერიმენტის ერთ-ერთმა მონაწილემ, ფიზიოლოგმა გარი გრიფინმა - გადახრები დავძლიეთ, დავხვეწეთ. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი შედეგები უფრო სრულყოფილი იქნება“.

მეოცე საუკუნის მიწურულს დედამიწაზე სენსაციად მოვლენილ „დოლი“-ს შემქმნელებს დიდხანს არ უზეიმიათ. ალმოჩნდა, რომ მსგავს ექსპერიმენტებს ერთმანეთისაგან დაფარულად ამერიკა, რუსეთი, იაპონია, ინგლისი, ავსტრალია, საფრანგეთი, დანია, კანადა და სხვა, ჯერჯერობით თავგამოუმჟღავნებელი ქვეყნები დიდი ხანია ატარებდნენ. მარტო რუსეთში ოთხი კლინიკაა. ორი მოსკოვში - საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ტროპარევოში, ერთი ლენინგრადის ოლქის დაბა დუბროვიცაში და ერთი ხარკოვში. 1986-1987 წლებში რუსულ კლინიკებში ექვსი ხელოვნური ბავშვი დაბადებულა. ამათგან ტყუპი ბიჭები. 1978 წელს კემბრიჯის ლაბორატორიაში მეცნიერ რობერტ ედვარსის ლაბორატორიამ ჯანმრთელი ბიჭი „შვა“. 1987 წელს ე.წ. „ექსტრაკორპორალური განყოფილებით“ მსოფლიოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ 1000 (!) გადააჭარბა, როგორც ირკვევა, მთელი მსოფლიო ხელოვნურ ბავშვთა კეთებით ყოფილა დაკავებული და ორი ბატკნის გაკეთებით რატომ გადაირივნენ!

ჩიკაგოელმა ექიმ-ბიოფიზიკოსმა რიჩარდ სიდმა სენსაცია უფრო გაამძაფრა, წლების მანძილზე დაფარული საიდუმლო გამოამჟღავნა. დედამიწაზე ხელოვნური ბატკნების გამოჩენისთანავე რადიოთი გამოვიდა და საჯაროდ განაცხადა - „სამი თვის შემდეგ მსოფლიოს შესაძლოა ხელოვნური ადამიანი მოვუვლინოთ. თუ ეს ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდება, გპირდებით, რომ ადამიანთა „ქსეროასლის გადამღებს“ დავაყენებთ და კლონირებით წელიწადში 200 ათას (!) ადამიანს შევქმნით“-ო.

დადგინდა, რომ რიჩარდ სიდი და მისი თანაშემწეები ამდაგვარი ექსპერიმენტებით დიდი ხანია დაინტერესდნენ. მათ ცენტრში აღრიცხვაზე მრავალი „მოხალისეები“ - უშვილო წყვილი არის აყვანილი. ისიც გამჟღავნდა, რომ 1994 წელს ამერიკის კონგრესმა ჩვილ ბავშვზე ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემები გამოამჟღავნა. კომპიუტერული „მაუგლი“ ცენტრის „ხელოვნურ სინამდვილეში“ არსებობდა და განსაზღვრული პროგრამით ვითარდებოდა. სამი წლის შემდეგ „მაუგლიმ“ რაღაც მიზეზის გამო არსებობა შეწყვიტა.

მსოფლიოს ქვეყნებმა სენსაციები სხვადასხვაგვარად შეაფასეს.

მომხრეები:

აშშ - „ადამიანთა ასლის შექმნისათვის გენეტიკური ექსპერიმენტი გარდაუვალია“ - ფიზიოლოგი დელ გიბსონი.

დიდი ბრიტანეთი - „კლონირების ტექნოლოგიით შესაძლოა ისეთი არსება მიიღონ, რომ შემდეგ ამ ინდივიდის შინაგანი ორგანოები ნამდვილ - ბუნებრივ ადამიანებს დაეხმაროს, ტრანსპლანტაციისათვის გამოადგეს“ - როსლინის ინსტიტუტის დირექტორი გრიმ ბულფილდი.

რუსეთი - „თუ გენეტიკური ასლის გადაღება შესაძლებელი გახდება, ამაში ცუდი არაფერია. კლონირების გზით გაჩენილი ადამიანი თავის „დონორს“ მხოლოდ გარეგნულად დაემსგავსება. კაცობრიობას ისინი ბევრ რამეში გამოადგებიან“ (!) - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლევ ერნესტი.

მოწინააღმდეგეები:

პოლონეთი - „ადამიანთა კლონირებით მხოლოდ „მეცნიერი ტერორისტები“ დაინტერესდებიან“ - რიჩარდ მოლდინსკი.

საფრანგეთი - „ბიოეთიკური პრობლემა მსოფლიოს ერთიანი გადასაწყვეტი პრობლემაა“ - პრეზიდენტი ჟაკ შირაკი.

გერმანია - „გამოკითხულთა 97 პროცენტი „ტირაჟირების“ წინააღმდეგია და შთამომავლობის „წარმოებას“ ძველი, ნაცადი ხერხით „უჭერს მხარს“ - კურტ მეისენგი.

საუკუნეების მანძილზე გაბატონებული აზრი-ფორმულა - „არაფერი არ იქნება, ყველაფერი იბადება“ - დაირღვა. დედამიწაზე ცოცხალ არსებათა ხელოვნური ჩასახვა, ადამიანის ასლით გაგრძელება შესაძლებელი გახდა. ჩვენმა ცივილიზაციამაც სიახლე აღმოაჩინა, თუმცა...

შორეულ წარსულში მოაზროვნენი სამყაროს კანონზომიერმა აგებულებამ დააფიქრა. ისინი მიხვდნენ და გამოთვალეს, რომ გალაქტიკების, ვარსკვლავთ სისტემების, პლანეტების განლაგება, მათი ურთიერთდამოკიდებულება რაღაც უმაღლესის. სამყაროს შემქმნელი გონის მიერ იყო გაანგარიშებულ-დადგენილი. წარმოიშვა თეოლოგიური საიდუმლო მოძღვრება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ არსებობს დიდი ძალა ანუ მაკროკოსმი, ხოლო მზის სისტემა პატარა ანუ მიკროკოსმია. აქედან გამომდინარე, დედამიწაზე მცხოვრები არსებები დიდი ადამიანის - განგების - შემცირებულ ასლებს წარმოადგენთ. მაკრო და მიკროკოსმებს შორის მუდმივი ურთიერთმოქმედებაა.

განსწავლულები, ბრძენნი, როგორც მათ უწოდებენ (დღევანდელი გაგებით), თავიანთ დაკვირვებებს, ცდებს, ვარაუდებს გულმოდგინედ აღწერდნენ, აღრიცხავდნენ. ნააზრევი იმ დროისათვის არსებულ საწერ საშუალებებზე - თიხის ფირფიტებზე, ტყავზე, პაპირუსზე გადაჰქონდათ, ახალგაზრდა თანამოაზრეთ გადასცემდნენ, შთამომავლობისათვის ინახავდნენ. დრო-ჟამის ავბედობის გამო უმეტესი ნაწილი განადგურდა. მრავალგზის შესწორებულმა, ერთ დროს ისტორიულმა ფაქტებმა ჩვენამდე დაკნინებული სახელით - მითებად მოაღწიეს.

მითებს შორის უცნაური შინაარსის „ფანტაზიებიც“ გვხვდება. მიწიერი სხეულისა და კოსმოსური ძალის შეერთება - შერწყმის შედეგად მიღებული ნაყოფის გასულდგმულება სამყაროს უზენაესი გამარჯვებაა, ზეიმია. უძველესი ელადის მითებიდან ვიცით, რომ ღმერთები მიწიერ ადამიანებთან სქესობრივ კავშირებს ამყარებდნენ და შვილებიც ყავდათ, მაგრამ კოსმოსური ძალა, ნათელი სხივი მიწიერ არსებებთან კავშირში როგორ, ან რატომ იყო. ავტორები რას გულისხმობენ, რას მიგვანიშნებენ.

- მითიური მეფე სარგონი, რომელსაც მამა ჰყავდა, რატომღაც ხაზგასმით აცხადებდა - „დედაჩემმა თავის სხეულში მამის დახმარების გარეშე ჩამსახაო“.

- ეგვიპტის უზენაესი ღვთაება ისიდა საიდუმლოს ამაყად ამხელს - „მე მეფე ხორუსის დედა ვარ. შვილი ისე ჩამესახა, ჩემს საწოლში მამაკაცი არ წოლილაო“.

- რომაელი ღმერთქალი, მცენარეულობის მფარველი დიანა გაუთხოვარი, უბიწო და ორი შვილის დედა იყო.

- სამი საუკუნის წინ რემბრანდტის მიერ შედევრი „დანაია“ შეიქმნა. შიშველი, ხორცსავსე ქალი ზევსს საწოლში ელოდება, რათა მისი სხივით დაფეხმძიმდეს და პერსევსი გააჩინოს.

- ანგელოზმა მარიამს ძილში ამცნო, რომ წმინდა სულისაგან, კოსმოსიდან გამოგზავნილი სხივით დაფეხმძიმდებოდა, ასე დაიბადა იესო ქრისტე.

ზემოთ ჩამოთვლილი მითები ე.წ. „ინკუბუსებს“ მიეკუთვნებიან. „ინკუბარე“ ლათინური სიტყვაა და რაღაცისადმი „მწოლიარედ ნეტარების მომლოდინეს“ ნიშნავს. „ინკუბუსები“ თავდამსხმელი ანგელოზები, დემონები არიან რომლებიც რაღაც ძალით აპიწოზებდნენ ქალებს და შემდეგ, განცხრომით მწოლიარეთ აფეხმძიმებდნენ.

მხატვრული ენით შელამაზებული მითები, „ინკუბუსთა“ მოქმედება იქნებ დღევანდელი ტერმინოლოგიით ხელოვნური განაყოფიერება, კლონირება იყო. დედობას მოსურნე, იმედგაწყვეტილი ქალები კოსმოსური ძალების დახმარებით დაფეხმძიმებას „მწოლიარედ ნეტარებით მოელოდნენ“.

უძველესი დროიდან მოყოლებული განსწავლული ადამიანები რატომღაც დაჟინებით ცდილობდნენ სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხებით ხელოვნური ცოცხალი არსება შეექმნათ.

1206 წლის 18 მაისის საღამოს ბავარიის ქალაქ ლავინგენის გარეუბანში აღმართულ სამსართულიან რუხ სასახლეს უამრავი ხალხი მიაწყდა. ცნობისმოყვარენი ერთმანეთს ათასგვარ მოსაზრებებს, „უტყუარ ფაქტებს“ უზიარებდნენ. სასახლე „მკვდარი ნივთიერების გამაცოცხლებლად“ აღიარებულ დომინიკელ ბერსა და მეცნიერს ალბერტ ფონ ბოლშტატს, იგივე ალბერტ დიდს ეკუთვნოდა. ხმები დადიოდა, რომ 30 წლის წინ მეცნიერმა ცოცხალი არსება - ქალი შექმნა, რომელსაც ანდროიდი დაარქვა. ალბერტ დიდი თავის შედევრს გარდა საყვარელი და ნიჭიერი მოსწავლისა თომა აქვინელისა არავის უჩვენებდა. დილით ქალაქში ხმა დაირხა - ახალგაზრდა თომამ „სატანის ქმნილება“ მოკლაო. სეირის

გაგრძელება მე-13 გვ.

## რჩეულთა სიკვდილის ლექსიკონი

# სიკვდილის საკითხი კაცობრიობის ფიქრისა და განსჯის ერთი მთავარი საგანია

*დღეიდან ვიწყებთ რუბრიკას – რჩეულთა სიკვდილის ლექსიკონი, სადაც ვეცდებით გაგაცნოთ ყველაფერი იმის შესახებ, რაც ცოცხალთ მოკვდავად ხდის, გავაშუქებთ მსოფლიოს გამოჩენილ ფილოსოფოსთა, რელიგიურ მოღვაწეთა და მწერალთა ნააზრევს სიკვდილის შესახებ. ვფიქრობთ, რაც უფრო შევიმეცნებთ სიკვდილის რაობას, მით უფრო დავაფასებთ ღირსებით ცხოვრებას.*

### ალექსანდრე მაკედონელი (ჩვ.წ.აღ.-მდე 356-323)

ძველი დროის უდიდესი მხედართმთავარი. გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ძლევამოსილების მწვერვალს მიაღწია და სათავეში ჩაუდგა დიდ და ძლიერ, ერთიან ბერძნულ - მაკედონურ-სპარსულ სახელმწიფოს. ძალაუფლების ჩაგდების მიზნით მის წინააღმდეგ მომხდარი შეთქმულების შემდეგ გამარჯვებული გამოდიოდა. ამ მიზეზით მან თავისი საუკეთესო მეგობარი კლიტოსი სიკვდილით დასაჯა. ალექსანდრე მაკედონელი არაერთხელ გადაურჩა ხმლისა და საწამლავისგან სიკვდილს, მაგრამ ავადმყოფობამ იგი იმსხვერპლა.

ეს მოხდა ჩ.წ.აღ-მდე 323 წ, როდესაც ალექსანდრე თავისი არმიით ბაბილონში იდგა და ახალი ლაშქრობებისათვის ემზადებოდა. სამხედრო მზადებასთან ერთად მეფე მეგობრულ ნადიმებში ყოფნას არ იკლებდა. ერთ-ერთი ასეთი ნადიმის შემდეგ, დილით დაბრუნებულმა, თავი შეუძლოდ იგრძნო. მეორე დღეს მას ავადმყოფობისგან გამოწვეული შეტევა გაუმეორდა. ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ეს ფილტვების ანთებით გამოწვეული მოვლენებია, ხოლო მეორენი თვლიდნენ, ალექსანდრე ტროპიკული მალარიით იყო დაავადებული.

მკვლევარის სიტყვებით, „ავადმყოფობის მესამე დღეს ალექსანდრემ აბაზანის მიღება შესძლო. ამავდროულად მან ღმერთებს მსხვერპლი შესწირა... შემდეგ ფლოტის მმართველი ნეარქოსი იხმო და მანაც დაუმოწმა, რომ ყოველივე ადრე დაგეგმილი ძალაში რჩება: სამი დღის შემდეგ ფლოტი დატოვებს ნავსაყუდელს. ნეარქოსი დიდხანს დარჩა მეფესთან. ისინი საერთო გეგმებსა და ოკეანის შესწავლის მიზნით კვლევითი ექსპედიციის შესახებ საუბრობდნენ. მაგრამ შემდეგ დღეს მესამე ძლიერმა შეტევამ გამანადგურებელი ზიანი მიაყენა მეფის ჯანმრთელობას. შესაძლოა ალექსანდრემ ეს იგრძნო. მეფე მისთვის ჩვეული შეუპოვრობით ებრძოდა ციებ-ცხელებაში დაბუდებულ დემონურ ძალებს. მაღალი სიცხისაგან გათანგულმა აბაზანის მიღება ისურვა, აასრულა მსხვერპლშეწირვის წესი და კვლავ მხედართმთავრებს უხმო. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად იგი აქტიურ ცხოვრებას განაგრძობდა, დაინტერესდა შემდეგი დღის განრიგის გაცნობით. მომდევნო დღის დილაც მაღალი ტემპერატურით აღინიშნებოდა. იმისათვის, რომ ცოტაოდენი ხნით სიკვდილს გადარჩენილიყო, ავადმყოფი მდინარის ნაპირზე არსებულ ფანჩატურში გადაიყვანეს. მაღალმა ტემპერატურამ დაიწყო კლება. მან სარდლებს უხმო და შეტევაზე გადასვლა ბრძანა, ლაპარაკობდა არმიაში ახალი დანიშვნებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ. მაღალი სიცხე და ციება განუწყვეტლად მეორდებოდა. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად ალექსანდრე მომავალზე ფიქრობდა, ფიქრობდა ახალ ექსპედიციებზე, თუმცა დაგეგმილი თარიღი შეცვლილი იქნა. მან სასახლეში დაბრუნება და მხედართმთავრების გამოძახება ბრძანა. ეს მისი უკანასკნელი ბრძანება იყო. ჩვეული ძალაუფლებას, უშრეტი ენერგიის, ნებისყოფით აღვსილი კაცი, კვლავ ბრძანებლობდა. ნუთუ ამ ადამიანის ნებისყოფისა და ძალაუფლებისადმი სწრაფვამ, რომელიც ყოველთვის უსაზღვრო იყო, არ სძლია სპარსთა ჯარს, ნუთუ არ აიძულა დამორჩილებოდა თანამოღვაწე და სამხედრო საკრებულო? ნუთუ დელფოს პითიამ ხოტბა არ შეასხა მას, როგორც დაუმარცხებელ ღმერთს? ნუთუ არ იყო იგი ქვეყნიერების მმართველი და ამონი (ეგვიპტის უმაღლესი ღვთაება) და სნეულებას ებრძვის, როგორც ყოველი მომაკვდავი. ნუთუ ვერ გამოვა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული? მაგრამ ამონისა და ასკლეპიოსის (ბერძნული მკურნალობის ღმერთი) ძალაუფლებისა და შეუპოვრობის მიუხედავად, უძლურნი აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, მალარიით დაავადებული და შეტევებისგან დაუძლურებული მეფე ვერ უმკლავდებოდა ერთდროულად ორ ავადმყოფობას. მეორე დაავადებად ფილტვების ანთებას მიიჩნევდნენ ან მალარიისგან გამოწვეულ ლეიკემიას. ამიტომაც ციება არ წყდებოდა. შემდეგი დღისათვის ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, იგი სასახლეში გადაიყვანეს, მან ცოტაოდენი ხნით ჩათვლიმა. როცა გაიღვიძა, ძლიერი სისუსტის გამო ვეღარ ლაპარაკობდა. პერდიკა (მისი მცველი) არ სცილდებოდა მომაკვდავი ბატონის სარეცელს. ალექსანდრემ სიკვდილის წინ მას სამეფო ნიშნით აღნიშნული ბეჭედი გადასცა. ავადმყოფის მოსასვენებელ ოთახში თანდათან სამარისებური სიჩუმე ისადგურებდა. მხედართმთავრები ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ.



წარმოიშვა საზარელი ეჭვი, რომელიც შემდეგ გამართლდა: საყვარელი მეფე უკვე მკვდარია და ამ ცნობის დამალვას აზრი აღარ აქვს. ალექსანდრეს ძველმა მეგობრებმა სასახლეში შეღწევა მოახერხეს. ისინი პატივს მიაგებდნენ თავის მეფეს, რომელიც მხოლოდ თვალის მოძრაობით თუ ესალმებოდა მათ. გასაოცარი იყო მისი სიცოცხლისუნარიანობა. უკანასკნელად, რისი აღქმაც მას შეეძლო - მასთან გამოსამშვიდობებლად მისული ძველი მეომრები იყვნენ.

მაკედონიის კალენდრის მიხედვით - 323 წლის 28 დუსიას (13 ივლისს) ალექსანდრემ სიცოცხლე აღასრულა. ასე დაიმსხვრა მსოფლიოზე გაბატონების პრეტენზია და მითი მისი ღვთიური წარმომავლობის შესახებ...

მოამზადა
ირინა გოჩაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №32

## 26 სექტემბერი.

დ. ონიაშვილი რომ მომკვდარიყო, ისე არ ვიტირებდი, როგორც სტირის დღეს ჩემი გული. ქართულ „კომუნისტში“ დაბეჭდილია დღეს მისი განცხადება, ვიზიარებ „პარიტეტის“ განცხადებასო. რას, რას იზიარებ? ვისას და რას იზიარებ? რა კარგი იყო, რომ მომკვდარიყავი, ჩემო დათიკო, ქართველო დათიკო, შეყვარებულო დათიკო!... ასე უნდა სატრფოს ერთგულება, ასე უნდა სიყვარულში დაჭკნობა? მე ვიცი, რომ შენ ზიზღით მოაწერე ამას ხელი, შენ ეხლაც სიყვარულით გყავს გულში ჩაწვენილი საქართველო, მაგრამ ერთი მითხარი, რათ, თუნდაც ნაძალადევათ სთქვი აუგი შენს საყვარელ საქართველოზე? რით გამოისყიდი და როდის გამოისყიდი შენ ამ შეცოდებას... ის გამოუსყიდავია...

დაბეჭდილია „ზარ. ვოსტ“ მიასნიკოვის მოხსენება საქართველოში მომხდარ ამბებზე. ეზოპეს ენითაა ის წარმოთქმული, მაგრამ თვით კომუნისტისთვისაც და ჭკუაზე შეშლილ რუს ველიკოდერჟავნიკისათვისაც კი მისახვედრი და გასაგებია, რომ „საქართველოს ეზიზღება მოსკოვის უღელი და მთელ ერს უნდა მისი კისრიდან მოხსნა“.

## 27 სექტემბერი.

დღეს მოსკოვის „პრავდაში“ წავიკითხეთ რადეკის დიდი ფელეტონი საქართველოს შესახებ. მას მოყავს ორი წერილი ინგლისურ „ტაიმსიდან“ და „დეილი ტელეგრაფიდან“. უკანასკნელში მოთავსებული ყოფილა მეტად მგრძნობიარე წერილი საქართველოზე. „შენ იცი მაკდონალდო კარგად საქართველოს თავგადასავალი – მიმართავს „დეილი ტელეგრაფი“ პრემიერ მაკდონალდს – შენ იყავი საქართველოში და აღტაცებით ამცნობდი ევროპას მის გამარჯვებით წინსვლას. საქართველო მართლაც ამაყი და ბედნიერი იყო თავისი თავისუფლებით, მას ყავდა თავისი ნაციონალური მთავრობა, რომელიც ესოდენ ნიჭიერათ მართავდა თავის ქვეყანას, საქართველო იცნო რუსეთმა, მასთან ხელშეკრულება დასდო, საქართველო იცნო ევროპამაც და ამის შემდეგ მოსკოვმა დაიპყრო პატარა ერი და ის აგერ მეოთხე წელია გმინავს უცხო ხიშტებ ქვეშ და შენ მაკდონალდო, რას იტყვი ეხლა, დაიცავ თუ არა საქართველოს, როცა იქ სისხლი ღვრება და მოსკოვი ახდენს ქართველი ერის პოგრომს?“ დაახლოებით ასე სწერს „დეილი ტელეგრაფი“. გული მომფხანა ცოტა ამ სიტყვებმა. რადეკიც არ ჩამორჩება სხვა რუს კომუნისტებს კალმის შანტაჟში და რომ მიჩქმალოს ნათელი საქმე, რაებს არ ბოდავს ბაქოს ნავთზე, ავღანისტანზე, ჩინეთზე და ვისზე არ გინდა. თურმე ყველასთან ყოფილა შეთანხმებული და შეთქმული საქართველო, მოუსყიდია ის ყველას და ევროპის კაპიტალის ინტერესებისთვის გაუწირავთ ქართველი ხალხი... თურმე ნუ იტყვი, ჟორდანიას გაუყიდია საქართველო და ეხლა საწყალ ქართველ ხალხს რადეკი უჭირისუფლებს და ერთგულებას ეფიცება... ფეხის ხმას მალვა ელიავაც აყოლია, ან უფრო ააყოლეს მოსკოვში და დღეს დაბეჭდილია ინტერვიუ მასთან, სადაც ისიც „აქარწყლებს“ ერთა ლიგის დადგენილებას და აცხადებს, რომ საქართველო ასეთი თავისუფალი არასოდეს არ ყოფილა. მართლაც რომ არასოდეს არ ყოფილა საქართველო ასეთი თავისუფალი ყოველი უფლებისაგან!..

რომელი ლექსიკონიდან უნდა იხმარო სიტყვები, რომ ეს ხალხი დაახასიათოო. დღეს ერთს ამბობენ, ხვალ მეორეს.

## წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან

დღეს ერთს დასწერენ, ხვალ იუარებენ. უდიდეს ველურობას ჩაიდენენ და კახპებივით ყვირიან. რას ამბობთ, სად, როდის, არაფერი ამის მსგავსიო. ელიავამ ამ წლის იანვარში „იზვესტიაში“ დაწერა, რომ საქართველო ინდოეთს დაემსგავსა, ის კოლონიათ გადიქცაო და სჩივოდა, ფრთხილად სჩივოდა. მეტს არც სხვა ამბობდა: „საქართველო დაპყრობილია, ის რუსეთის კოლონიად გადაიქცაო“ ამას კივის ოთხი წელია მთელი საქართველო. ეს დაადასტურა ბერლინში რადეკმა, ტროცკიმ „დიალოგი კომსომოლთან“, „იზვესტიაში“ ელიავამ, „პრავდაში“ ორახელაშვილმა და ყველა ამის შემდეგ ფიცულობენ, „საქართველო ეხლაა თავისუფალიო“.

ეს დამტკიცდა ეხლაც აგვისტო-სექტემბერში განახლებულ ომის ეპიზოდებით, როცა მოსკოვმა ქართველი მძევლები გაჟლიტა და ერი კანონს გარეშე გამოაცხადა, სოფლები გადაბუგა და ხალხზე მხეცებივით ნადირობდა. და ყველა ამის შემდეგ მაინც იმეორებდნენ: „არაფერი არ მომხდარა, არავინაც არ მომკვდარა, რუსი რუსი არ არის, მე მე არა ვარ. „რუსი რომ შარიანია ეს ყოველმა ქართველმა იცის, მაგრამ ძველ რუსეთს შარის და ტყვილის ოდნავი შნო მაინც ქონდა, ახალმა ესეც კი დაკარგა და არც იცის რას სჩადის და რას ამბობს.

გულდასმით ვათვალიერებ საქართველოდან მოსულ გაზეთებს და ჯერ ვერსად შევხვდი ვერც ერთ იმ ცნობებს საქართველოზე, რაც მოსკოვის გაზეთებში იბეჭდება. განსაკუთრებით უფრთხიან ერთა ლიგის დადგენილებების დაბეჭდვას და ევროპაში საქართველოზე წარმოებულ კამპანიას. ეს უდიდესი უბედურებაა დღეს საქართველოსათვის, საჭირო იყო ამ ნახევრად ნაღრძობ და მიკიბულ-მოკიბულ ცნობების მაინც გაგება ხალხისათვის. ეს მორალურად მაინც გაამაგრებდა ომში დამარცხებულებს და ნაწამებ ხალხს.

## 28 სექტემბერი

დღეს ერთი პირდაპირ სასაცილო დოკუმენტი წავიკითხეთ საქართველოს შესახებ. კომინტერნს გაუგზავნია საინფორმაციო წერილი თავის სექციებისთვის საქართველოს შესახებ და ღმერთო ჩემო, რაებს არ ბოდავენ და რა უნიჭოთაა შედგენილი ის. მოყავთ რაღაც ისეთი დოკუმენტები, რაც თავისთავად ფანტასტიურია, მაგრამ საქართველოსათვის არც ერთი სასირცხვო არ არის და პირიქით, მტერს აბახებს. აბა სადაური გენერალია იოსებ სალაყაია!.. ვინ შეადგინა ნეტა ასეთი კლასიკურათ უნიჭო და სასაცილო დოკუმენტი? „პრავდამ“ ალბათ მიხვდა ეს და არც დაბეჭდა. მხოლოდ „იზვესტიას“ ფურცლებს შეეძლო ამ სისულელის გასაღება. საქართველოში ეს გამოსაჩენიც არ არის, იქ ამით ბავშვსაც ვერ მოატყუებენ...

(გრიგოლი) სწერს ნეკროლოგებს დახოცილ ამხანაგებზე. სია აღებულია ოფიციალური ცნობებით, სხვებზე ჩვენ არაფერი ვიცით. ეს მოთავსდება ციხის ჟურნალში „სუზდალის ისკრა“. მეშინია იმ ქაღალდის შეხედვა, სადაც ჩამოწერილია ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა, წინამძღავრიშვილი, ვასო ნოდია, გაბო ცისკარიშვილი და სხვები... რა საშინელი სანახავია ეს მიჯრით მიწყობილი საუკეთესო კეთილშობილ, თავგანწირულ და წმინდა რევოლუციონერების და პატრიოტების სამგლოვიარო არშია!.. და რამდენი აკლია ამ არშიას. რამდენია დახოცილი აქ, სოფლებში და მთებში, უთვალავათ და განუკითხავათ... დიდია ეს მწუხარება და უსაზღვროა მისი კაეშანი, ყველა ერთია და ერთი კი ყველა, მაგრამ ამ ყველაში ჩემს გულს ყავს მაინც თავის ყველა, სამეგობრო ყველა, საკუთარი და სასიყვარულო ყველა... გოგიტა. რამდენი მომაგონდა თავბრუმეხვევა და ვმუნჯდები მე. დავიჯერო, რომ ის მკვდარია? დავიჯერო, რომ მას ველარ შევხვდები? როგორ დაგიტირო მეგობარო, როგორ? სად მოგძებნო ძმაო, სად? რით აგისრულო ფიცი ამხანაგო, რით?

## 30 სექტემბერი. - 1924

მოსკოვის გაზეთებში დღეს მოთავსებულია ერთა ლიგის საბოლოო დადგენილება საქართველოს შესახებ. ის თითქო გამეორებაა პირველის. ერთა ლიგა ვალად ილებს თვალყური ადევნოს საქართველოს საკითხის და გამოიყენოს ყოველგვარი საშვალებები საერთაშორისო უფლების თანახმათ საქართველოში ნორმალური პირობების აღსადგენად. მოსკოვის გაზეთები ბევრს სწერენ საქართველოზე. უსაქართველოთ არც ერთი ნომერი არაა.

განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოსთქვამენ გაზეთები ფინლიანდიის წარმომადგენლის ენკელის საქციელის გამო ერთა ლიგაში, რომელიც იცავდა საქართველოს და რომლის თავმჯდომარეობით ერთ-ერთმა კომისიამ მიიღო ეს საკითხი. აღშფოთება პოლონეთისადმიც არა ნაკლებია. ვარშავის ქალაქის საბჭოს საქართველოს სასარგებლოთ გადაუდვია 10.000 ოქრო, ხოლო პ.პ.ს. საპროტესტო დემონსტრაცია გაუმართავს რუსეთის საელჩოსთან.

მოსკოვის ელჩი ობოლენსკი ამაზე პროტესტს აცხადებს. პოლონეთს უკანასკნელი სიტყვებით აგინებენ მოსკოვის გაზეთები.

დღევანდელ გაზეთებშივეა სუნიატსენის დეპეშა ერთა ლიგისადმი, სადაც ის ამბობს, რომ მაკდონალდი ჩინეთის დასამონავებლათ ინტერვენციას ახდენსო. საწყალი სუნიატ სენი. წასულია მისი საქმე თუ მოსკოვის მეტი ხაზეინი ვერ იშოვა და ყველაფერს წმინდა წყლით ლებულობს, რასაც კარახანი ეტყვის. ამასაც მოესწრო საქართველოს სოციალისტები, რომ სუნიატსენი სოციალისტობას გვიწუნებს, მაგრამ რაა ამაში გასაკვირველი, როცა ქემალიც კი რევოლუციონერის პასპორტით დადის და რუსეთის ლოცვა-კურთხევით ფლობს ძველ საქართველოს და ორ მესამედ სომხეთს.

დღევანდელი ცნობით პეტროგრადი წყალდიდობამ წალეკა და ათეული მილიონების ზარალი მიაყენა...

## 1 ოქტომბერი. 1924 წელი.

სწორედ ერთი თვეა, რაც კოშმარებში ვცხოვრობთ. დღით მწუხარება გვკლავს და ღამით სიზმრები გვაფორიაქებს. არ არის არც ერთი წამი, არც ერთი დროის უბრალო შერხევაც კი, რომ მოგვშორებოდა თავიდან ეს საშინელი სურათები და ჩვენი სამშობლოს უბედურება არ დაგვდგომოდა თვალწინ, როგორც აპოკალიფსიური წარღვნა და განდგურება. სწორედ აპოკალიპსიური, რადგან სხვაფერ არა გვაქვს წარმოდგენილი საქართველოს დღევანდელი განსაცდელი, რადგან ის დამარცხდა ბრძოლაში და დამარცხდა ისეთ ძალასთან, რომელმაც არ იცის ბრძოლის საშვალებათა გარჩევა და ყველა ისტორიულ დამპყრობელთაგან განირჩევა თავის წრეგადასულ ამორალობით და სისასტიკით... ჰო, ვინ უწყის დღეს რაოდენი ცრემლია ჩვენს სამშობლოში, ვინ უწყის რაოდენი ვაჟკაცთა გულები გაპობილია მტრის მახვილით და როგორ დამხობილი და დამარცხებულია ერის დროშა, რომელმაც უკანასკნელ გააფთრებულ ბრძოლებში ერთხელ კიდევ გაიფრიალა და კვლავ იდუმალით ჩაწვა ერის დამარცხებული, ცრემლიან და სასოწარკვეთით სავსე გულში!!. ყველა ამ განცდებს კოშმარულ მოჩვენებებს და ნავარაუდევ უბედურებას, ცხადლივ ამტკიცებს და ადასტურებს ტფილისიდან მიღებული გაზეთები.

მოთავსებულია ივ. გომართლის უღირსი განცხადება კომუნისტში. მანაც ჩასცა წიხლი დამარცხებულ ერს. ყოველ დამარცხების დროს ის ხომ პირველი მესაფლავეა და პირველი გარბის, რომ დაუშინოს ქვები მის თანამებრძოლთ... მაგრამ, მე მაინც არ მეგონა, რომ ამ ეროვნულ უბედურების დროს, როცა საქართველო მოფენილია წმინდა ცხედრებით, ივანე გომართელს, ქართველ მწერალს და ქართველ პატრიოტ ივანე გომართელს, ეყოფოდა გამბედაობა, უსირცხვილო გამბედაობა ერის გამყიდველები და ავანტიურისტები ეწოდებია იმათთვის, ვინაც ერისათვის გასწირეს თავი და მის სიყვარულისთვის სიკვდილი მიიღეს. დღეს ივ. გომართელში მოკვდა ჩემთვის ის კარგიც, რისთვისაც მე პატივს ვცემდი. ეს კარგი იყო ერის სიყვარული. მას ხომ სიკვდილი არ მოელოდა, ის ხომ არაფერში ერია ალბათ და როცა პატრიოტი იმასაც ვერ შესძლებს, რომ ტყვეობა აიტანონ სამშობლოსათვის, ასეთი პატრიოტი მხოლოდ არარაობაა და საპნის გაბერილი ბუშტი. მაგრამ, იქნებ მე ვცდებოდე... ჰო, რა ბედნიერი ვიქნები, რომ ეს შეცდომა იყვეს და მე ოდესმე გავიგონებდე ჩემს გასამტყუნებელ სიტყვებს და საბუთებს... ვ. მალაქიაშვილიც გამოდის გრძელი წერილით. ბევრ სიმართლესაც ამბობს, მაგრამ ბოლოს კომინტერნზე იფიცებს. ყველაფერს ხედავს ეს დალოცვილი, მაგრამ რა გაუჭირდა ამ დამპყრობ რუსი ჯარების შეხედვა? როცა პოლონეთის მაგალითებზე ლაპარაკობს, კარგია, მაშასადამე, ჩვენც პოლონეთის მდგომარეობაში ვართ, მაგრამ რა საჭიროა ამდენი მიკიბ-მოკიბვა, მწერალი ხარ, ქართველი მწერალი, უბრალო მოქალაქესთან შედარებით ცოტა მეტი რაინდობა მაინც უნდა შეგრჩეთ და სთქვათ გაბედულათ, რომ დამარცხდით, რუსეთმა გაიმარჯვა და გამარჯვებულს მისი გამარჯვება ჩვენ საკუთარ განცდათ უნდა მოვახვიოთ თავზე. ეს დიდი გმირობაც არ იქნება. შედარებით თავგანწირულ ვაჟკაცებთან (მწერალმა ისეთი რამ უნდა დაწეროს, რაც შემდეგ წინ დაგხვდება და საშინელ ჩრდილს მიაყენებს წარსულს). მაგრამ ივ. გომართელთან შედარებით მალაქიაშვილის წერილი მაინც რაინდულია, ამას ვერ წავართმევთ.

ტფილისის გაზეთებშივეა მოთავსებული ს. გეგეჭკორის, თ. დოლიძის და სხვების წერილები დასავლეთ საქართველოში სამხედრო მოქმედებაზე. საშინელი სურათი მოსჩანს თვით ამ მოღალატურ და პოგრომულ-რუსულ დაფასებაში. სამეგრელო მაინც განადგურებულია. გეგეჭკორი პირდაპირ ამბობს: „კრემლების ზღვა დადგაო“. უბედური სამეგრელო, განადგურებული სამეგრელო, გაპარტახებული, აკლებული და აცრემლებული სამეგრელო!.. ჰო, დიდი უბედურება გადაიტანე შენ სამეგრელოვ, მაგრამ იცი შენ, რომ შენი უბედურება იყო, არის და სამარადისოთ დარჩება საქართველოსთვის ერთ უდიდეს ისტორიულ ფაქტად, უდიდეს ეროვნულ ფაქტორათ, რომ ის საძირკვლად დარჩება მომავალი საქართველოს აღორძინება-აღდგომისათვის?!. იცი შენ სამეგრელოვ, რომ საქართველო შენს სისხლში დაიბადა ახალ საქართველოთ და ტომობრივ ზოლებით გაბზარული ერი, რომელიც დაავადებული იყო სამი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ხანურ-ბეგური განკერძოვებით და დაქსაქსულობით, ეხლა შენს წმინდა სისხლში ამოიბანა და დაიბადა ნამდვილ ერათ, ჩამოყალიბებულ ნაციათ, რომ ამიერიდან საქართველოს ნებისყოფა უფრო ძლიერი, უფრო მონოლიტური, უფრო მთლიანი არის?!. გესმის შენ სამეგრელოვ, რომ შენი ხელებით საქართველოში დროშის ფრიალი და „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“ კივილი იყო ერთი ისეთი უდიდესი ეროვნული მოვლენა, როგორიც შეიძლება საქართველოს მთელ თავის ისტორიაში მხოლოდ რამოდენიმე განეცადა?.. ოჰ, შენ უნდა გესმოდეს ეს სამეგრელოვ, შენ უნდა გრძნობდე ამას სამეგრელოვ, რადგან შენ ამისთვის გაიღე აღურაცხელი მსხვერპლი და საქართველოს იდეას შესწირე შენი მშვენიერი არწივები!.. შენ უნდა გრძნობდე ამას სამეგრელოვ, ეროვნული ინსტიქტით მაინც უნდა გრძნობდე სისხლით და ცრემლებით განბანილო სამეგრელოვ, რადგან მხოლოდ ამ საღ ინსტინქტს, ერის გადარჩენის და საქართველოს საკუთარი სახის შენარჩუნების ინსტინქტს მიყავდი შენ უსწორო ბრძოლაში... დიდება შენს ვაჟკაცებს მშვენიერო სამეგრელოვ... მიიღე ჩემი ცრემლებიც სამეგრელოს დედავ, შეუერთე შენს ცრემლებს ის და შენი მომხიბლავი ნანინით აკვანში აღზარდე ახალი ვაჟკაცები და უმღერე მათ დაკარგულ მამათა გმირობა, საქართველოსთვის თავდადება...

დღეს შემთხვევით გავიგეთ, რომ ძველ ციხეში (სადაც ჩვენ ვიყავით ბნელ საკნებში ამ წლის თებერვლამდე) მოუყვანიათ გენო ბელთაძე. იქნებ სხვებიც არიან მიყვანილები. დავფაცურდით დღეს, ზომები მივიღეთ, იქნებ როგორმე გადმოვიყვანოთ ჩვენთან ჩვენები მას არ იცნობენ. ჩემი კი დიდი მეგობარია. შეგნებული, გაბედული და დიდი პატრიოტი ახალგაზრდაა. უკანასკნელ წლებში ბევრჯერ მქონდა შემთხვევა ამაში დავრწმუნებულიყავი. მენატრება კიდეც მისი ნახვა. აბა რას ვიფიქრებდი, რომ ის აქ ყავდათ, მე კი მეგონა მოკლული იყო. ბევრჯერ, ბევრჯერ მოვიგონე სიბრალულით და მიკვირდა კიდეც, რომ არაფერი ისმოდა... სალამი, ჩემო გენო, ალბათ განახავ მალე და რომ იცოდე, როგორ გადაგკოცნი!.. შენგან ამბებსაც ბევრს მოველი. შენ ხომ ეხლახან დაგაპატიმრეს?.. ბარემაც, ბარემაც მალე განახო! სალამი, სალამი ჩემო გენო!..

**დღიურები მოგვაწოდა ისტორიკოსმა გრიგოლ ზარქუამ**

გაგრძელება იქნება

## დეპუტატობის კანდიდატი

*გელა ღლიღვაშვილი:*

# ჩვენ ჩვენი თავის პატრონი უნდა ვიყოთ

*მე-4 გვერდიდან.*

უნდა ვიცოდეთ, რომ ქართველებს ქართველების მეტი პატრონი არა გვყავს და არც გვეყოლება. უნდა დამთავრდეს პატრონის ძებნა. ეროვნული იდეოლოგია გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ჩვენი თავის პატრონი უნდა ვიყოთ. მე მაქვს ჩემი თეზა – სულ არ მაინტერესებს კაცობრიობის ნათელი მომავალი, თუ ჩემს ერს არ ექნება პერსპექტივა. 3 მილიონიან ერს ეროვნული სახელმწიფოს არარსებობის პირობებში თვითშენარჩუნების არანაირი პერსპექტივა არა აქვს. თუ ჩვენ გვინდა სამუზეუმო ერად ვიქცეთ, ვაკეთოთ ის საქმე, რასაც დღეს აკეთებენ, მაგრამ თუ გვინდა ღირსეული ადგილი გვქონდეს კაცობრიობის სიაში, ეროვნული თვითშეგნება უნდა გვქონდეს. დღევანდელი ელექტორატი უფრო ორიენტირებულია სოციალურ პრობლემებზე და ეს გასაგებიცაა.

*– ამ სოციალურმა პრობლემებმა ერთგვარად დაჩრდილა, უკანა პლანზე გადასწია ეროვნული თვითშეგნების საკითხი...*

– დიახ, ეს ასეა. მე მიმაჩნია, რომ ეს მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია. დღეს არავინ არ იძახის, რატომ მაქვს 12 ლარი პენსია და 30 ლარი ხელფასიო. ყველა ითხოვს თავის მცირე პენსიას და ხელფასს. ერის შინაგანი სიმკვრივე იზომება იმით, რამდენი ეგზემპლარია ისეთი, რომელიც ამ პრობლემებით არ ითრგუნება და სხვა პერსპექტივაზე ფიქრობს. ამ ინდივიდთა საერთო რაოდენობა გვიჩვენებს იმას, თუ რაზეა ერი ორიენტირებული.

ძველი გამოთქმაა, ერს ისეთი წინამძღოლი ჰყავს, როგორის ღირსიც ის არისო. ხშირ შემთხვევაში ეს მართლდება, დღეს ლამისაა დაგვაყვედრონ ქვეყნის სტაბილიზაცია და ის, რომ ქუჩაში არავინ გვკლავს. თუ დღეს ვინმე აშენებს დემოკრატიას და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, ისევ თავისთვის. ნომენკლატურა ხალხს ამას დაპირდა, ოღონდ საკუთარი თავისთვის გაიკეთა. დღეს თუ ვინმე გამოდის მმართველი გუნდიდან და იძახის, ჩვენ ჩვენი დანაპირები შევასრულეთო, მე აბსოლუტურად ვეთანხმები მას.

*– ყველა პარტია, ბლოკი, მაჟორიტარი კანდიდატი წინასაარჩევნოდ ათას დაპირებას იძლევა. თქვენ ვაკის რაიონში იყრით კენჭს, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი. ვიცით, რომ ვაკის რაიონში ძალიან სერიოზული კონკურენტები გყავთ. თქვენ რას პირდებით თქვენს ამომრჩეველს?*

– მე არავის არაფერს ვპირდები. რა დავპირდე, ხვალ ყველას შუქი გექნებათო – არ ექნებათ, „მერსედესები“ გეყოლებათ-მეთქი – არ ეყოლებათ, ან პენსია-ხელფასებს მოგიმატებთ-მეთქი – ვერ მოვუმატებ. რასაც მე ვაკეთებ, როგორც ადამიანი, ერის შვილი, რომელსაც რაღაც მოვალეობები მაქვს, ისედაც გავაკეთებ, ვიქნები დეპუტატი თუ არ ვიქნები. ორი წელიწადია ჩემს საქმეს ვაკეთებ – უვარგის პროდუქტებს და ნივთიერებებს ვავლენ, რომელიც მოსახლეობისათვის მომაკვდინებელია და სახალხოდ ვაცხადებ. მე ამას ყოველთვის გავაკეთებ. უბრალოდ, სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა ვაკის რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად მეყარა კენჭი. ჩემი ცხოვრების თვითმიზანი დეპუტატობა არ არის. ის, რაც მე მინდა, ბაზრობაზე და სუპერმარკეტებში არ იყიდება. ძალიან ძნელია დაიბრუნო ღირსება.

დღეს პირად შეურაცხყოფად არავინ აღიქვამს იმას, რომ მოხუცი ქალი სანაგვე ყუთებში იქექება, ან გაგრაში ორსული ქალის მუცლიდან აფხაზებმა ბავშვი რომ ამოაჭრეს. არავინ აღიქვამს და ეს არის ყველაზე დიდი უბედურება.

მე მინდა ამომრჩეველს, ელექტორატს მივმართო, ვუთხრა – სადაც თავიანთ ღირსებას დაინახავენ, იმას მისცენ ხმა.

**ესაუბრა ამრიტა ჯანაშია**

## დემოკრატია

ამდენი პოლიციელის
შიშით ენა გვაქვს დაბმული,
„დაბლა სართულებს“ შიათ და
ზეიმობს „ზედა“ სართული“.
დოლარებს სისხლის სუნი აქვთ,
და ლარებს, უკვე კუპონის,
უმრავლესობას ჯიბგირი
ჯიბეში ფულს ვერ უპოვის.
დავრწმუნდით, „ხალხი ბრბო არის“,
„ელიტამ“ გვითხრას რა ხდება,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩება,
თუ მაიმუნი გახდება?!
იქნებ აჯობოს, დავბრუნდეთ
ტყეში და გამოქვაბულში,
ზამთარში თივა ვჭამოთ და
ბალახი ვძოვოთ ზაფხულში.
სასირცხვო ორგანოები
დავფაროთ ვაზის ფოთლებით,
იცოცხლე, ვაზი კი გვიდგას,
შევიმოს-შევიფოთლებით.
ფეხშიშველებმა ვირბინოთ,
რა ჭირად გვინდა ტუფლები,
რომ უფრო კარგად შევიგრძნოთ
სიამე თავისუფლების.
ადამიანურ ღირსების
აღარაფერი გვატყვია,
ეს არის თავისუფლება
და სრული დემოკრატია?!

## რაო, „ჯიგრებო“, გაგიტკბათ?!

მოქალაქეთა კავშირს
საქმით არავის არა სჯობს,
ისევ ჩვენ აგვირჩიეთო,
მაინც თავისთავს გვთავაზობს.
რაო, „ჯიგრებო“, გაგიტკბათ
ცხოვრება მოყირჭებული?!
თუ სკამი აღარ გეთმობათ
გამთბარი, ხელმორგებული!
არც ისე ცოტა ხანია
გქვიათ მმართველი პარტია,
ქვეყანას უპატრონობის
ხელი თქვენს გამო ატყვია.
დაგვისახელეთ ბატონო,
დღემდე კარგი რა აკეთეთ,
ტყუილებს მაინც ნუ ამბობთ,
პირები მაინც დაკეტეთ.
როგორც ჩანს, ძნელი ყოფილა
„ზემოთ“ ნაჯდომის ცდუნება,
მგლური და თავხედურია
ადამიანის ბუნება.
ასე იყო და ასეა,
სურვილი გადიდკაცების
მიზეზი გაპარტახების
და სახელმწიფოს დაცემის.
მიზეზი ხოცვა-ჟლეტისა
და მოძმის დაუნდობლობის,
მიზეზი დაქვრივებისა,
მათხოვრობის და ობლობის.
„მოქალაქენო“ თქვენს გარდა,
ყველა ნახირი გგონიათ?!
„ხალხი ბრძენია“ გახსოვდეთ,
ალბათ თქვენც გაგიგონიათ.

# საცინისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
ნიკოლოზ იოსებიძე

ამიტომ, სადად განსაჯეთ
აზრი ენაზე მომდგარი
და ისიც, კაცი კი არა,
მსაჯული ღმერთი რომ არის!

## ახლა ვსწავლობ პირჯვრის წერას

კომუნისტებს ისევ ვლანძღავ,
შევურაცხყოფ ოჯახს, კერას,
რა ვქნა, გული აღარ დაცხრა,
ახლა ვსწავლობ პირჯვრის წერას!
ჯერ ადამის მოდგმას სჯიდნენ,
ყალბად ქმნიდნენ მტრების სიებს,
მერე, ღმერთს და ხატებს მისდგნენ,
მუსრი ავლეს ეკლესიებს.
მღვდლებს წვერები ჩამოპარსეს,
ბერ-მონაზვნებს პანღური ჰკრეს,
საქართველოს მტერს და დამქცევს,
რაც ლენინის „ხატრით“ გვიქნეს.
კანიბალმა მარქსისტებმა
ბილწი საქმე გააკეთეს,
დაგმეს ქრისტე, ჯვრების შებმა
და ილიჩი გააღმერთეს.
ბევრი მგელი გახდა კრავი,
დღეს ჩანს მათი სახე ნათლად,
რომ დასჭირდათ, უამრავი
ანტიქრისტე მოინათლა!

## მიხეილ ჯავახიშვილს

მაღალიდეურია შენი „ჯაყოს ხიზნები“,
იწინასწარმეტყველე ოსი ხალხის
მიზნები,
მართალია, კნეინას საწმერთული ჩახადე,
მაგიერში ოსური თავხედობა დახატე.
შენი დასურათებით, ჯაყო არის
ცხოველი,
თუმცა კაცურ საქციელს არც სხვებისგან
მოველით,
როგორც ჯაყომ ხევისთავს უყელა,
იმდაგვარად მოგვექცა ოსი თითქმის
სუყველა.
საქართველოს გულიდან ლამის
გამოგვაქციეს,
მასპინძლები სტუმრებმა ხიზნად
გადაგვაქციეს,
ისე ყველა სურვილი, სასიკეთოდ
აგვიხდეს,
როგორც ჯაყოს ლეკვებმა ქართლი პირქვე
დაგვიმხეს.
საზღვარი აქვს ყველაფერს, სევდას,
ლხინს და ღრეობას,
ჩვენს სიბრიყვედ ნუ ვაქცევთ სტუმართ
მოყვარეობას!
თუ, გვსურს, ჩვენი დიდების ტახტი ისევ
დავიდგათ,
საქართველოს ნუ გავხდით „ჯაყოების“
საჯიჯგნად!

## არსენა ოძელაშვილი იპოდრომზე

ადრიანი დილაა. წარმოსადეგი, შავულვაშა მხედარი თეთრ ბედაურს ასეირნებს იპოდრომზე. პირველი წრის ნახევარი რომ გაიარა, ბუჩქებიდან უკვე შეჭიკჭიკებული „ალკაშები“ გამოძვრნენ და მხედარი „სუფრასთან“ მიიწვიეს:

- არსენ! მოდი რა, ერთი ჭიქა დაგვილიე!

არსენად მონათლული მხედარი მეორე წრეზე მეორედ მიიწვიეს უკვე შეზარხოშებულმა „ალკაშებმა“. მხედარმა მოწვევა მიიღო - „ამ წრეს დავამთავრებ და მოვალო“. გახარებული „ალკაშები“ სუფრას მიუბრუნდნენ და დაელოდნენ „არსენას“ მოსვლას. 10 წუთიც არ იყო გასული, „ჩორნი ვარონა“ რომ მიადგა „ალკაშებს“, ცემა-ტყეპით შეყარეს მილიციელებმა მანქანაში და მცხეთისკენ გააქანეს. რამდენიმე წუთში კარები გაუღეს და ნალდ არსენას ძეგლთან ჩამოსხეს.

- აი, ეს არის არსენა, თქვე ვირიშვილებო! თქვენ რომ ეპატიჟებოდით, ის შოთა იყო, გორგოძე! - „ალკაშები“ ძეგლთან დატოვეს, რომ კარგად დაემახსოვრებინათ არსენას სახე, თვითონ კი თბილისისკენ გასწიეს.

## მინიატურა

რაქსი ბებიას თერმომეტრი გამოაცალეს.

– რამდონი მაქვს, ნენა?! - ჰკითხა კვნესაკვნესით შვილიშვილს.

– ოცდათექვსმეტი და სამი ხაზია ბებო.



– რაღა აკლია ორმოცს, ნენა?!

## „დირექტორის“ აღსარება

თბილისის ერთ-ერთ ტუალეტს ერთი მოხუცებული კაცი ემსახურებოდა. ტუალეტი დაანგრიეს და მოხუცი უმუშევარი დარჩა. მეზობლად მცხოვრებმა ბიჭებმა დაცინვით ჰკითხეს: რატომ გაგათავისუფლეს დირექტორობიდანო. მოხუცმა უთხრა: თქვენისთანებმა „საქონელი“ შემიჭამეს და დანაკლისი აღმომაჩნდაო.

## ჩოფურა იოსების იუმორი

### რკინის კეტი და რკინის ქუდი

ჩოფურა იოსები მეზობელს წაეჩხუბა. მეზობელმა ცრუ მოწმე იშოვა და უჩივლა. მომჩივანმა სასამართლოზე განაცხადა: მოსაკლავად გამიმეტა, თავში რკინის კეტი ჩამარტყაო. მოწმეც კვერს უკრავდა, მართალიაო. შენ რას იტყვი - ჰკითხეს ჩოფურას. ჩოფურას გასცინებია და უთქვამს: - მართალია, რკინის კეტი ჩავარტყი, მაგრამ როგორც ატყობთ, მაგას რკინის ქუდი ეხურაო (მომჩივანს ნაკაწრიც კი არ ჰქონია თავზე).

მოსამართლე დარწმუნებულა იოსების სიმართლეში და გაუთავისუფლებია მომჩივანი, ცრუ მოწმე კი ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მიუცია.

* * *

ომის წლებში, ჩოფურა იოსები კომისარიატში გამოიძახეს და უთხრეს: ხვალ დილით მზადყოფნაში მოდი, ფრონტზე უნდა გაგიშვათო. ასე მზადყოფნაში მისული ჩოფურა რამდენჯერმე დააბრუნეს უკან და ყოველთვის სხვა დროისთვის იბარებდნენ. ჩოფურას უთქვამს: -თუ მგზავნით, გამგზავნეთ, თორემ, ომი რომ დამთავრდება, მერე იქ რაღა მინდაო.

# XX საუკუნის სენსაცია - 35 საუკუნის საიდუმლო

მე-11 გვერდიდან.

მოყვარულნი განრისხებული ალბერტ დიდისაგან რაღაც საშინელებას მოელოდნენ. მეცნიერმა თანამოქალაქენი გააწბილა. მან ჩანაწერები, მაგიური ფორმულები მოსწავლეს გადასცა, ანდროიდი ეზოში დააკრძალვინა და შერისხული სახლიდან სამუდამოდ გააგდო. თომა აქვინელმა ორი წლის შემდეგ თავი მოიკლა.

1493-1541 წლებში მოღვაწე ესპანელი ალქიმიკოსი არნოლდ დე ვილანი 25 წლის ასაკში სამოგზაუროდ და სასწავლებლად აღმოსავლეთში გაემგზავრა. ტიბეტსა და არაბეთში 20 წლიანი ცოდნის შეძენის შემდეგ შინდაბრუნებული წინაპართა სასახლეში შეიკეტა, შესწავლილის ანალიზს, ცდების ჩატარებას შეუდგა. ერთგულ მოსამსახურესა და შეგირდთან სერხიოსთან ერთად სხვადასხვა მინერალებისა და სითხეებისაგან „უკვდავების წყლის“ მიღებას ცდილობდა. მათი ექსპერიმენტები რითი დამთავრდა, არავინ იცის, რადგან 48 წლის არნოლდი უეცრად გარდაიცვალა.

არნოლდ დე ვილანის ხელნაწერები მემკვიდრეობით მის მეგობარსA შვეიცარიელ ექიმსა და ფილოსოფოსს პარაცელსს დარჩა. მრავალწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ პარაცელსმა ადამიანისმაგვარი საშინელი არსება შექმნა, რომელსაც გომუნკულესი დაარქვა. 80 სმ სიმაღლის, უდიდესი ძალის მქონე არსება დღითიდღე დაუნდობელი ხდებოდა. თავისი გალიის დამსხვრევასა და თავდაღწევას გამხეცებული ცდილობდა. ექიმი იძულებული გახდა „შვილობილი“ მოეკლა და დაეწვა.

საუკუნეების გასაყარზე ქ. პრაღის ევროპულ ნაწილში ბინა დაიდო რაბინმა ლიოვა იეგუდ ბენ ბეცალელმა. როგორც მისი ახლობლები აღნიშნავდნენ, მეცნიერმა ძველებრაულ ტრაქტატ „ტალმუდში“ ადამიანის შექმნის საიდუმლო ამოიკითხა და სამწლიანი შრომის შემდეგ რაღაც არსება შექმნა. გოლუმი „მამობილის“ მაჯას კბილებით დააცხრა, გადაუმტვრია. იქვე მდგომმა თანაშემწემ გაავებული არსება თოფით მოკლა.

1731-1802 წლებში მოღვაწე გამოჩენილი ექიმი, ბოტანიკოსი და პოეტი ერაზმ დარვინი (ჩარლზ დარვინის ბაბუა) ცოცხალი არსების შექმნით დაინტერესდა. ხუთწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ მეცნიერმა 30 სმ სიგრძის, წელს ზემოთ ადამიანისა და წელს ქვემოთ ამფიბიის მაგვარი რაღაც ნაჯვარი მიიღო. ჰიბრიდი სპეციალურად დამზადებულ მინის ჭურჭელში ცხოვრობდა. მეცნიერთან სტუმრად მყოფ ცნობისმოყვარე მეგობრებს მთვლემარე არსების გამოფხიზლება მოუნდათ და მინის ჭურჭელზე კაკუნი დაიწყეს. ჭურჭელი გატყდა და ვიდრე გაოგნებული ადამიანები რაიმეს მოიფიქრებდნენ, არსება წამებით მოკვდა.

1775 წელს ტიროლელი მეცნიერი გრაფი ფონ კიუფშტეინი მრავალწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ საზოგადოების წინაშე უზარმაზარი აკვარიუმით წარდგა. ჭურჭელში ადამიანისმაგვარი 50 სმ სიგრძის მდედრი და მამრი არსებები დაცურავდნენ. ასობით ადამიანი სხვადასხვა ემოციებით ათვალიერებდა მათ - გაკვირვებით, აღტაცებით, ზიზღით, დამცირებით. კიუფშტეინს ნერვებმა უღალატა. აკვარიუმი დაამსხვრია, მოფართხალე, მომაკვდავ არსებებთან მუხლებზე დაეცა და პატიება ითხოვა.

1958 წელს იტალიელმა ბუნებისმეტყველმა პროფესორმა პუტრუჩომ საოჯახო ლაბორატორიაში ადამიანის ემბრიონი მიიღო. მეცნიერმა თავისი წარმატება მსოფლიოს ამცნო და ცდების გასაგრძელებლად დამხმარე ითხოვა. მსოფლიოს „მოწინავე“ მეცნიერები და ვატიკანი მეცნიერს აღშფოთებულები წინ აღუდგნენ. პეტრუჩო მათ რისხვას არ შეუშინდა, თავისი ძალებით ცდები გააგრძელა, მაგრამ არასრული ცოდნისა და უსახსრობის გამო ემბრიონი დაელუპა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV-XIV საუკუნეებში დაწყებული ხელოვნური არსების შექმნის მცდელობა, საუკუნის მიწურულს წარმატებით დაგვირგვინდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებმა ერთმანეთისა და საზოგადოებისაგან დაფარულად მიზანს მიაღწიეს. ერთდროულად ორი კურდღელიც დაიჭირეს. პირველი - შექმნეს ხელოვნური ადამიანები და მეორე - ცოცხალი (თუნდ გარდაცვლილი) ადამიანის ზუსტი ასლის გადაღებასაც მიაღწიეს.

მართალია, მეცნიერთა ერთი მიმდინარეობა აცხადებს, რომ კლონირების მეთოდით შექმნილ „ადამიანებს“ ტვინი, ნერვიული სისტემა, ინტელექტი და სხვა თვისებები დედანთან შედარებით განსხვავებული, განუვითარებელი ექნებათ, ხოლო ღვთისმსახურების მტკიცებით ხელოვნურ ადამიანებს ღვთის მიერ ნაბოძები სული – „ღვთიური ნაპერწკალი“ – არ ექნებათ, მაგრამ...

ბოთლიდან ამოსულ ჯინს უკან ველარ დააბრუნებ.

„დაიბადებიან“, რამდენიც მეცნიერებას დასჭირდება იმდენი ჰიტლერები, რომლებიც აგრესიულები არ იქნებიან; აინშტაინები, რომლებიც ვერაფერს გამოიგონებენ; ჩაპლინები, რომლებიც მსოფლიოს ვერ გააცინებენ.

მათ ცხოვრებას სხვა დანიშნულება ექნება, ისინი ცივილიზაციას სჭირდება. დედამიწა სამყაროსთან ერთად ბრუნავს, კოსმოსის მიერ დაკანონებული გზით მიდის. ეს მოვლენა-კლონირება, ალბათ, განგების მიერ წინასწარ დაგეგმილი, გარდაუვალი იყო.







## ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლ „ორერას" სოლისტი - გენო ნადირაშვილი, ესაუბრა მურმან მერკვილიშვილი

ბატონი გენო ანსამბლ „ორერას" „სულთავიდან" მოჰყვება. ანსამბლს, ვიცით, თუ რა ტრიუმფით დაუსერავს მსოფლიოს მშრალი თუ ზღვა-ოკეანეების გზები, (აღარაფერს ვამბობ საჰაერო ტრასებზე)

თავისი მხიარული მოგონებებით იგი დღეს „საქართველოს" სტუმარია...

### გადაღებაზე

ვიღებთ ფილმს „ორერა - სრული სვლით".

გემზე თითქმის ორი თვე დავყავით და ამდენად, საკმაოდ სერიოზულად გავეცანი მეზღვაურის ცხოვრებას და ახლა მიკვირს, რა ნერვებია საჭირო მეზღვაურისთვის, რაც მათ წლობით აძლებინებს წყალში... ჩვენ „ჯვარს ვეცვით". თან, კგბ-ს წარმომადგენელი გვახლდა და ყველა „სიამოვნებას" მოკლებული გახლდით.

კაპიტანი გოგიტიძე, მკაცრი პიროვნება გახლდათ და ჩვენც - ჭკვიანად" ვიქცეოდით.

დაგვინიშნეს რუსი ინსტრუქტორი, რომელიც ფოთში გახლდა გაზრდილი და ქართული „ჩიქორთულით" გვიხსნის ყველაფერს.

- მე თქვენ ჩაგიტარებთ სათანადო ინსტრუქტაჟს, გამოგვიცხადა თავიდანვე და მოგვიყარა ინვენტარი.

- რაო? - გავგიჟდი მე ... ჩემო ძვირფასო ინსტრუქტორო, ვასილ ივანოვ, რატომ კადრულობთ ასეთ სიტყვებს?

- რა გეტკინა - გენაძიი?

- როგორ თუ რა, ვასილ ივანოვიჩ! - მე - თბილისელი ბიჭი ვარ, დავიწყე სულიკო კორიშინაძესავით.

- ვიცით, ვიცით... მერე რა?

- მერე ის, ჩემო ბატონო, რომ ჩემი სიცოცხლის მანძილზე რამდენი მიქეიფია. რა ღვინო, არაყ - კონიაკი არ დამილევია, როგორ ხალხთან მიქეიფია... რა ზომის სასმელში არ დამილევია, დაწყებული ჩაის ჭიქიდან. „ლამპის შუშით" და - კრამიტით" დამთავრებული.

- ეტო ია ზნაიუ ტოჩნა, ნუ ი - ჩტო;

მერე, ნუ ი - ჩტო და - ასეთ მოქეიფე, დარდიმანდ კაცს, სხვა რომ არაფერი იყოს, ღმერთს გაეცინება, ეს რუსი კაცი რომ მიტარებს სათამადო ინსტრუქტაჟს - მეთქი?

კაცი ჩაბჟირდა...

- ეხ, ბიჭო, ბიჭო, ია სკაზალ - სატანადო და არა სატამადო...

შემრცხვა და გავჩუმდი.

- ნუ ი ტაკ... ტვკე უნდა იცოდეთ, რომ კოუკლტვის შეიძლება გემ გაშლილ ზღვაში ჩაიძიროს.

- რაო? ვიყვირე გამწარებულმა და გავვარდი გადასახტომად. (რა კარგ ამბავს ეს გვპირდება?)

- გაჩერდი, ჩვენც შენთან ვართ - გამაკავეს ანსამბლის წევრებმა.

- მერე რა, ზვიგენები ყველას თავისუფლად გაგვისწორდებიან,

- ტკვენ მუსიკოსები ხართ - გააგრძელა ინსტრუქტორმა. ახლა ამაზე გადავირიე

- „რუსი ოსები" კი არა, სუყველა ქართველები ვართ! დიახ, ქართველებბბიიი! (გავუსვი ხაზი)

- ნე სმეში, პარენ, რუსი იოსები მე არ ვტკვე, იასკაზალი მუსიკოსები. ახლა - მეორედ შემრცხვა. დავწყნარდი, ან რა გზაა - სად გაიპარები, ჩვენს ირგვლივ ბლანტი წყალია,

- ტკვენ მიიღეტ ინვენტარი. ფანარი, შვიშტოკი და კამერა - ფარაშოკ ტოჟე.

- რად გვინდა, თუ არ გეზარება - ამიხსენი-მეთქი - ამიტანა ცახცახმა.

- როცა გემი ჩაიძირება (გაგიხმა ენა!)... ტკვენ დარჩებით ცკალში.

- უჰ, შენ შემოგევლე, რა მიხვედრილი ვინმეა, გადავულაპარაკე თემო დავითაიას. არა, ძმაო, მე მივდივარ, ეს ინვენტარი მაგისთვის დამითმია. მაგან იმღეროს, მაგან იცეკვოს და შვიშტოკებზეც დაუკრას, ეტყობა ეხერხება...

- კარგი რა, გენო. ამ შუაღამეს, ამ შუა ზღვაში სად მიდიხარ?

- არც ისე გვიანაა და ნუ მაშინებ. მივაღწევ როგორმე სახლამდე... არც ისე გვიანია - დავხედე საათს. იქნება ტაქსი სადმე. – ატყდა ხარხარი.

მოკლედ შიშისაგან სულ დავკარგე აზროვნება.

- მერე... განაგრძობს ინსტრუქტორი - ჩამოიცვამთ თავზე ეგ კამერა. პირებში შვიშტოკები დაიჭირამთ. ცკალში გაუშვებთ სპეციალნა ფხვნილი, რომელიც აქაფდება.

- მერე, სარეცხი სად გავფინო? - უკვირს ნანის (მაინც ქალია).

- არაა! - სერიოზულად მოგვხედა ივანოვმა. ფხვნილი იმიტომაა საჩირო, რომ ზვიგენებს დააპრტყობს. მაგ დროს ზვიგენები იცამლება, ზოგი ბრმავდება, ზოგი გიჟდება კიდევაც.

- საწყლები - შეეცოდა ნანი ბრეგვაძეს.

- ეს შვიშტოკები რაღა ჯანდაბად გვინდა, რომელი მსაჯები, ან თუ გნებავთ - ინსპექტორები ჩვენ ვართ?

- ოოო, შვიშტოკ, ეტო - გლავნიი ატრიბუტ. ზვიგენები ძალიან ეშინიათ შტვენის და მოგერიდებათ.

- არაა! გამიშვით! - გავიქაჩე ისევ გამაკავეს.

- ბიჭო, ხომ გითხრა, შტვენის ეშინიათ ზვიგენებსო, რა მოგივიდა. შენც უშტვინე, რაც შენ „ტრუბას" უბერავ - მაგამ ვერ შეძლებ? - მამშვიდებს ბუბა კიკაბიძე.

- ორი დღე და ღამე... ჰა. ჰა, - სამი რომ უფშტვენ და უფშტვენ - ამასობაში გამოჩნდება სხვა გემი და გვიშველის, დამამშვიდა რობერტ ბარძიმაშვილმა და (მაინც ხელმძღვანელია) დანარჩენებს გადახედა, ხომ სწორად ვუხსნიო...

- კაი რა, თუ გიყვარდე. თბილისში 80 პროცენტი უფშტვენს, მაგრამ არავინ შველის-მეთქი.

- შენ იღბლიანი ხარ - არაფერი მოგივა.

- კი, აბა! მე ისეთი იღბალი მაქვს, ყრუ ზვიგენი შემხვდებოდა...

ატყდა ისევ ხარხარი... და ... შევიგუე ბედს,

* * *

მოსკოვში ვართ საგასტროლოდ. სასტუმრო „როსიაში" დავბინავდით.

ახალგაზრდები ვართ, კაცო, სისხლი გვიდუღს, რა შეედრება იმ დროს?!

მოგეხსენება, მურმან – ქართველები შესანიშნავად ვეწყობით „ტანიჩკაბალიჩკებს". მე და თემო დავითაიამ ორი ანგელოზივით რუსი გოგო გავიცანით – ილონა და აქსანა. ისეთი გოგოები არიან, ვარსკვლავებს მოწყვეტენ... კიბეს თუ მიიდგამ.

მაგრამ არსებობს, ერთი უაღრესად დამაბრკოლებელი გარემოება.

კერძოდ ის, რომ სასტუმრო „როსიაში" ყველასათვის და მითუმეტეს, ჩვენთვის – კავკასიელებისათვის – სასტიკად იყო აკრძალული უცხო „დამოჩკების" შეყვანა.

კარისკაცი უმკაცრესად იყო გაფრთხილებული.

მაგრამ მაგის „ჩიტები" ვიყავით სწორედ – მე და თემო.

ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და მოვიფიქრეთ.

ვიყიდეთ ორი ბოთლი (მეტი დამაჯერებლობისათვის) არაყი „სტალიჩნი" და „შევუჩოჩეთ" კარისკაცს.

საწყალს – კი აუცმაცუნდა ხარბი კურდღელივით ტუჩები, მაგრამ სურვილს მაინც სამსახურის დაკარგვის შიშმა აჯობა და... უარი არ გვითხრა?

– ნიეტ, ნიეტ, რიბიატა... კაკ მოჟნა. ნა რაბოტე ნე პიუ... ზავტრა – მოჟნო... ზავტრა – დრუგოე დელა!

– ზავტრა დაგიხატავთ – შე უმადურო. ჩავიბუზღუნეთ ჩვენ. კარისკაცი დაიმედდა – ყაბულს არიანო და ხვალინდელ დღეზე მოჰყვა ოცნებას.

– რა ვქნათ? – მეკითხება თემო. გოგოები გარეთ – კაფეში გველოდებოდნენ.

– რა ვქნათ... რა ვქნათ... ჩავვარდით საგონებელში სიკო და საქოსავით.

– არ თქვა ახლა – ვიმღეროთ და ვიცეკვოთო – მოიფიქრე რამე – წავკარი ხელი თემოს. ახლა თუ არაფერი ძალა მოვიდა... მოვ...ურაა!!! – იყვირა თემომ.

... ავედით ნანი ბრეგვაძის ნომერში. მე ნანის ველაპარაკები. ამასობაში თემომ ნანის მაცივრის „ვილკა" დაამუშავა.

- ნანი, შენი მაცივარი რატომ ამ მუშაობს? - ეკითხება დავითაია.

- მუშაობდა!? - უკვირს ნანას.

- არა, არ მუშაობს. დაურეკე კარისკაცს, ამოვა და გააკეთებს.

- ხო, მართლა, აბა, რას მიკეთებს... დგას მთელი დღე, და ბუზებს მიირთმევს - გავამაგრე პოზიცია.

ნანი ტელეფონს ეცა. ჩვენ კიბეებზე გავენთეთ.

ცოტა ხანში კარისკაცი კარებიდან გაქრა, სანამ ის „მაცივარს" არემონტებდა და ბრეგვაძეს „პრასწიწე", პრასწიწეს, ეუბნებოდა. მერე სანამ ნანი ბოთლ კონიაკს გაუხსნიდა, სანამ ის კარისკაცი ორ-სამ ჭიქას ჩაყლაპავდა და სახელოზე იყნოსავდა. ჩვენ ავაგრიალეთ ჩვენი გულის მურაზები ნომერში.

მერე კი ქართული ტექნიკის საქმე იყო. მოკლედ, დაუვიწყარი დრო ვატარეთ.

დიდი ბოდიში, ქალბატონ ნანისთან, ჩვენს სათაყვანებელ დაიკოსთან, რომელმაც უნებლიეთ, ისე - რომ არ გაუგია, უდიდესი პატივი გვცა....

### მიირთვით „ბორჯომი"

მოსკოვში - „ოსტანკინოში" გადაღება გვაქვს.

ყინავს... ყინავს - ჭახჭახი გაუდის იქაურობას.

ის პერიოდია, თავზელაქიანმა კაცმა რომ.. „სუხოი ზაკონი" მოაყოლა „პერესტროიკას".

საქართველოდან წამოღებული ჭაჭის არაყი გვაქვს, რამოდენიმე ბოთლი, ისეთია, მკვდარს აყენებს საფლავიდან, თუ მოახერხა და - დალია... ძერჟინსკის მოედანთან ვართ ახლოს.

- წავიხემსოთ ცოტა - აი, წინ რა კარგი კაფე-მეთქი, წავჩურჩულე ბუბას. ისიც დაუყოვნებლივ დამთანხმდა. გადავედით კაფეში. ჩვენი ჭაჭა თან გვაქვს. ფეხდგომელა შევქცევით „პილმელებს".

- დავასხათ, კაცო, დავასხათ... ყინვით შეჭირხლულ ფანჯარას გახედა კიკაბიძემ. დავასხი.

- ეს, ჩვენს მზიურ საქართველოს გაუმარჯოს, სადაც ახლა ტყემალი ჰყვავის-მეთქი.

- ჭანჭურიცო - ბუბამ, და - გადავკარით. დამლაგებელი ქალი არ მოგვადგა??)

- ჩტო ვი პიოწეო, - გვეკითხება. (იმდენი ცეცხლი იმას, რაც მაგას არაყი უხეთქია).

- ეტო „ბორჯომ", გაუღიმა ბუბამ - იქნებ „მიმინოდან" მიცნოსო. არაა საშველი.

- ეტო ნე ბოჯომ... - ეტო ჩაჩა, ია სიჩას მილიციუ ვიზავუო. არ გაუვლია ორ წუთს და არ დაგვადგა თავზე, ვილაცა მოცლილი და გა[illegible]ინული ახმახი მილიციელი? ვაი, თავის მოჭრავ? (მაგრამ რა „ჩიტები" ვიყავით!?)

- ჩტო ვი პიოწე რებიატა? - გვეკითხება ის მამაძაღლი ვანია მილიციელი.

- ვა პერვიხ, მი ნე რიბიატა, ა ზასლუჟენიე არტისტი, იზ გრუზიი. ვა ვტარიხ - ეტო - „ბორჯომ" - ავუხსენით ჩვენ, თან მოზრდილ ჭიქაში ჩამოვუსხით. „პაპრობუიწე".

რუსმა „გლიჯა", თვალები [illegible]ვარკვალა და პილმენი ჩააყოლა.

- მალაცი... არტისტი ვი - ნასტაიაშჩიე - ანუ, იშო!!!

- ნუ ნიეტ... ნასტაიაშჩი „ბარჟომ". - მალაცი ბიჩებო - მოასუფთავა თეფში მოშიებულმა.

ამასობაში სეირის მაყურებელის „ჩამშვები" დამლაგებელი მოგვადგა.

- ნუ კაკ?

- დურა ტი, ბაბა ... დურა!! ეტოჟე ნასტაიაშჩიი „ბარჟომ", თქვა მილიციელმა - ხელი ჩამოგჯარია, ერთი-ორჯერ წაიბორძიკა და ძლივს გალასლასდა კარებში.

ქალი გაქრა.

მოკლედ ასე გამოგვადგა მშობლიური „ბორჯომი", რომლის ნამდვილ და გადატანით მნიშვნელობას დიდ პატივს სცემენ რუსი „ძმები".

***- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის - ბატონო გენო.***

- რის მადლობა, თუ გიყვარ[illegible] დრო გაქვს?

***- რაშია საქმე, ბატონო გენო?***

- „ბორჯომი" ხომ არ დაგვილია?! - თითო ბოთლი...

# სიკვდილით დასჯა ყაზანში?

## სტალინის შვილის, ვასილ სტალინის უკანასკნელი დღეები

*მე-7 გვერდიდან.*

ნის მიხედვით მოხდა მისი ყაზანში გადასახლება თუ გასახლება?

– რომელი სასამართლო? რომელი განაჩენი? მსგავსი რამ არც გამიგონია და ადრეც, როცა მამა ციხეში ჩასვეს, არც არავის არ გაუსამართლებია. სამაგიეროდ, რაც კი გააჩნდა, სრული კონფისკაცია მოახდინეს.

... ვასილ სტალინი მაინც გაასამართლეს, მაგრამ რისთვის? ფორმალურად სამეურნეო დანაშაულისათვის. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად დიდი იყო ვასილის მიერ ჩადენილი დანაშაული. თუნდაც ყოფილიყო. განა ეს რვა წლის ციხეს იმსახურებდა? ქონების სრულ კონფისკაციას, გადასახლებას? გავიხსენოთ ისიც, რომ იგი მამის გარდაცვალებიდან ორი კვირის შემდეგ დააპატიმრეს. ვინ დააპატიმრა? პასუხი ყველასათვის ნათელია. მისი მტრის უწყებამ – ლავრენტი ბერიამ. სასწაულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ვასილი ჯალათის დაპატიმრებამდე ცოცხალი გადარჩა. ბერია სიკვდილით დასაჯეს.

ნადეჟდა სტალინის საუბრიდან:

– მამის გარდაცვალებიდან მცირე დროის შემდეგ ვიყავი КГБ-ში გენერალ ჩისტიაკოვთან. იგი საკმაოდ წარმოსადეგი მამაკაცი იყო. მე მას მივმართე: „ნიკოლაი ფიოდორის ძე, რამდენი დრო გავიდა, მაგრამ ჩვენ მამის გარდაცვალების მოწმობა არ გაგვაჩნია".

გენერალი მპასუხობს: „როგორ! თქვენ არ იცით, რითი მოკვდა მამათქვენი?" – არ ვიცი? გენერალმა მაგიდაზე დაყრილ ფურცლებში ქექვა დაიწყო. გაწითლდა და ვერც ვერაფერი იპოვა. „მას ხომ სისხლი ჩაექცა?" მე ვპასუხობ – „სისხლის ჩაქცევასთან დაკავშირებით, ჩემთვის არაფერია ცნობილი. მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ ყაზანში ექიმმა უარი განაცხადა იმ სამედიცინო დასკვნის გაცემის თაობაზე, რომელსაც მისგან ითხოვდნენ.

როდესაც მე შემეკითხებიან: მამათქვენი დახვრიტეს? მე ვუპასუხებ: ადვილად შესაძლებელია. შემეკითხებიან: იგი მოწამლეს? მე ვუპასუხებ: შესაძლოა. უცებ გენერალმა დამიღრიალა: „თქვენ რა... ასე როგორ იქნება"...

ერთხელ დედა ყაზანში მივლინებით იმყოფებოდა და სასტუმროში მას მისთვის უცნობი ქალი გამოელაპარაკა. მან ჰკითხა: „გალინა ალექსანდროვნა, თქვენ იცით, თუ როგორ მოკვდა თქვენი ქმარი?" დედამ უპასუხა, რომ არ იცოდა და ბურუსითაა მოცული ეს ისტორია. მაშინ ქალმა უთხრა: „იგი მოტოციკლეტით მოდიოდა, იგი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა".

თუ გავითვალისწინებთ ამ ვერსიას, რომ გარდაცვლილის სახეზე და ხელებზე დაჟეჟილობა აღინიშნებოდა, სავსებით შესაძლებელი ხდება ვიფიქროთ, რომ მოტოციკლეტიდან გადმოვარდნის შედეგად მიღებული ტრამვის ნაკვალევიც იყოს.

– შეიძლება ასეც ვიფიქროთ. კაპიტოლინა გეორგიევნა კი დარწმუნებულია, რომ იმ ქალმა, ვისთანაც ერთად მამა ბოლო დროს ცხოვრობდა, რაღაც ნემსი გაუკეთა... რთულია იმის თქმა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მაგრამ ექიმი უარს ამბობდა ხელი მოეწერა დოკუმენტზე, სადაც სიკვდილის მიზეზად სისხლის ჩაქცევას ასახელებდნენ.

მაშ ასე, დადგა 1962 წელი. ყინულმა ლღვობა დაიწყო. სტალინიზმი მხილებულI იქნა, მაგრამ ვინ დგას ეხლა ხელისუფლების სათავეში. მათ შორის არიან სტალინთან დაახლოებული პირები, წარსულში მის გუნდში მომუშავე ჩინოვნიკები.

მათ კისერზე ხალხის სისხლია. სანამ ვასილი ციხეში იჯდა, მისი კონტროლირება რაღაცნაირად მაინც ხდებოდა. ამასთან ერთად, იგი თავისი გვარითაც არ ირიცხებოდა, ბევრს აინტერესებდა, თუ სად იმყოფებოდა იგი. დაინტერესებულ პირებს პასუხობდნენ, რომ ჰოსპიტალში წევს. საქართველოდან გაგზავნილ დოკუმენტზე მისი მოთხოვნის შესახებ უპასუხეს, რომ ვასილ სტალინი ჩინეთში მივლინებაში იმყოფებოდა და რომ იქ მათს ავიაციას ხელმძღვანელობს. იმ დროს მსგავსი პასუხები სავსებით დამაჯერებლად ჟღერდა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი გაათავისუფლეს. შეეძლოთ ციხეშივე მოეკლათ. უბრალოდ, მოეხრჩოთ, მაგრამ ლეგენდების შეთხზვა მოუხდებოდათ. მოუწევდათ მისი სიკვდილის მიზეზის ახსნა. იგი ხომ საკმაოდ არაორდინალური პიროვნება იყო

ვასილს შეხვდა მაშინდელი КГБ-ს შეფი შელეპინი, რომელმაც გვარის გამოცვლა შესთავაზა. ვასილიმ წინადადება არ მიიღო. ამის შემდეგ, ბელადის შვილი, თავად ხრუშჩოვმა მიიღო. თუ რაზე ილაპარაკეს, უცნობია. ერთი რამ კი ცხადია, ხრუშჩოვთან შეხვედრის შემდეგ, ვასილს დაუბრუნეს ჩამორთმეული გენერლის წოდება, მანქანა და საგენერალო პენსიაც კი დაუნიშნეს. ციხეში გატარებული დრო, გამოუსწორებელ შეცდომად ჩათვალეს.

როგორც ჩანს, ეს ვასილთან მოლაპარაკების მცდელობა იყო, დალიე იმხიარულე, ოღონდ ენას კბილი დააჭირე.

1962 წლის 19 მარტს, კრემლის კაბინეტებში მოკალათებულმა მობინადრეებმა, ალბათ, შვებით ამოისუნთქეს.

ვლადიმერ აკიმოვი

მოამზადა

ირინე გოჩაშვილმა

# კვირის ტელეპროგრამა

## 28 სექტემბერი — 2 ოქტომბერი

### შაბათი - 28 სექტემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.18 ტელემაღაზია. 9.30, 23.20 ვიდეოპატრული-02. 9.45 ქართ. მხ. ფ. „მარილი სვანეთს“. 10.45, 19.50 მაესტრო. 10.53 ინტერპანორამა. 11.13 პრესზონა. 11.41 ნავიგატორი. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 12.15 ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. პირდ. რეპორტაჟი ლ. მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან. 15.15 დვრიტა-ტვ. 15.45 ლია კარის ლამე. 16.15 ძველი აფიშა. 16.50 დრიბლინგი. 17.35 ტრიუმფი გერმანიაში. 18.15 წონასწორობა. 18.45 სერიალი „დალასი“. 19.35 ბასტი-ბუბუ. 20.50 რა ხდება?! 21.25 „მოსკოვი - თბილისი“. 21.45 შეხვედრა - ლენონი-ონო. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ნაციონალური ბალეტი. 22.40 რეტროპერსპექტივა. 23.35 2ჩ24. 0.15 კომუნიკატორი. 0.45 მხ. ფ. „ერიდე ავტომობილს“.

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 შალა გაწერელია. (ii ნაწილი). 21.00 სუპერ-მატჩი. 21.30 ექიმის მოსვლამდე. 21.50 ჯაზპიტი. 22.30 მხ. ფ. „ქორწინება იტალიურად“. 23.35 ჰიტ-პარადი.

**მეშვიდე არხი**

11.30, 18.05, 20.05, 22.55 ტელეგაზეთი. 11.40, 20.15 აჩიკუდა. 11.55 ილია. 12.00 მხ.ფ. 18.15, 18.40, 19.05, 1.45 მუსიკა. 18.20 ნახ. ფ. 18.45 დოკ. ფილმი. 19.10 ტელესერიალი. 20.35 მხ.ფ. 23.05 მხ. ფ. „I რაინდი“. 1.25 დოკ. ფილმი. 01.50 ტელესერიალი.

**რუსთავი 2**

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები“. 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.40 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 21.50 სერიალი „სასწრაფო“. 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები“. 10.30, 19.10 „ნაითმენი“. 11.20, 20.05 „გვადალუპე“. 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო“. 16.30 დოკ.ფილმი. 17.10 „კორდიე“. 18.40 აკუნა მატატა. 23.40 ჩემპიონთა ლიგა. „მადრიდის რეალი“ - „პორტო“. 2.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 3.00 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. 0.15 მხ.ფ. „ცრემლები წვიმის ქვეშ“. 2.00 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა**

8.00 ტონიკი 10.30 მხ. ფ. 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.10 მხ.ფ. „მავნე ფრეიდი“. 20.35 მხ. ფ. 22.35 მხ. ფ. „ჩიტის გალია“. 0.25 მხ. ფ. 2.15 ნონ-სტოპი.

**I სტერეო**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25“. 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი. 14.15 მხ. ფ. 18.15 ბიზნეს-კურიერი. 19.00 „ხვალ“... 21.00 მუსიკალური სამშაბათი. 22.30 მხ. ფ. „რესტავრაცია“

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 „ექო“. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00 1.30 მხ. ფ. 15.30 მუს. კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

### ოთხშაბათი - 29 სექტემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.18 ტელემაღაზია. 9.30, 23.20 ვიდეოპატრული-02. 9.45 მხ. ფ. 11.15, 19.50 მაესტრო. 11.20 წონასწორობა. კამერატონი. 11.35 ნაციონალური ბალეტი. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 12.15 ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. პირდ. რეპორტაჟი ლ. მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან. 15.15 ფანკლუბი. 15.30 რეტროპერსპექტივა. 16.15 ბრჭყალებში. 16.35 2ჩ24. 16.55 მოსკოვი თბილისი. 17.15 შეხვედრა. 17.30 შოუბიზნესი. 18.15 5050. 18.45 სერიალი „დალასი“. 19.35 „ბასტი-ბუბუ“. 20.50 რა ხდება?! 21.35 ვიზიტი. 22.00 ვესტნიკი. 23.00 საქმე. 23.35 გრიფით საიდუმლო. 0.15 კომუნიკატორი. 0.45 მხ. ფ. „ავტორიტეტი“

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმი. 20.00 დრეიკის მოგზაურობა. 21.00 „ოპტიმისტები“. 21.25 55. 21.55 პოდიუმი. 22.30 დიზაინი. 22.45 ქართ. მხ. ფ. 23.55 ჰიტ-პარადი.

**მეშვიდე არხი**

11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 11.40, 20.15 აჩიკუდა. 11.55 მხ. ფ. 18.15, 18.40, 19.05, 00.55 მუსიკა. 18.20 ნახ. ფ. 18.45 დოკ. ფილმი. 19.10 ტელესერიალი. 20.35 მხ. ფ. „მატრიცა“. 22.40 მხ. ფ. 0.30 დოკ.ფილმი. 1.00 სერიალი „შიმშილი“.

**რუსთავი 2**

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები“. 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.40 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 მხ. ფ. 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები“. 10.30, 19.10 „ნაითმენი“. 11.20, 20.05 „გვადალუპე“. 12.15,15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო“. 16.30 დოკ. ფილმი. 17.10 „კორდიე“. 18.40 აკუნა მატატა. 21.50 მხ. ფ. 23.40 ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა“ - „არსენალი“. 2.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.3.00 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. 0.15 მხ. ფ. 1.55 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა**

8.00 ტონიკი. 10.30 მხ. ფ. „ჩიტის გალია“. 12.40 კლიპმიქსი. 18.00 დოკ. ფილმი. 18.55 მხ. ფ. 20.55 „უშიშარი“. 22.30 მხ. ფ. „ლრუბლებში გასეირნება“. 0.15 მხ. ფ. 2.15 ნონ-სტოპი.

**I სტერეო**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25“. 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი. 14.15 მხ. ფ. 18.05 მუსიკა. 19.00 „ხვალ“. 21.00 დოკ. ფილმი. 22.30 მხ. ფ.

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 2.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ. ფ. 14.45 დოკ. ფილმი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

### ხუთშაბათი 30 სექტემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.18 ტელემაღაზია. 9.30, 17.55 პროფილაქტიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.10 ლატარია „ოქროს გასაღები“. 18.35 რამპა. 18.45 სერიალი „დალასი“. 19.35 „ბასტი-ბუბუ“. 19.50 მაესტრო. 20.50 „რა ხდება?!“. 21.35 კავკასიური სამკუთხედი. 22.00 ეკოდაიჯესტი. 23.35 ტაქსი. 23.45 ნამდვილი ამბები. 0.15 კომუნიკატორი. 0.45 მხ. ფ.

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმი. 20.00 ორატორი. 21.00 ჩემი ფოტოგრაფი. 21.30 ჰოროსკოპი. 22.00 შვიდეული. 22.25 მხ. ფ. 23.55 ჰიტ-პარადი.

**მეშვიდე არხი**

11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.40, 20.15 აჩიკუდა. 11.55 მხ. ფ. 18.15, 18.40, 19.05 მუსიკა. 18.20 ნახ. ფილმი. 18.45 დოკ ფილმი. 19.10 ტელესერიალი „ნარჩიტა“. 20.35 მხ. ფ. 22.35 მხ. ფ. 23.30 ფეხბურთი. 1. 30 „უეფას“ თასის მიმოხილვა. 2.30 სერიალი.

**რუსთავი 2**

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00. 8.50 „ზოლიანი ბანანები“. 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.20 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 21.50 მხ. ფ. „ნიკიტა“. 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები“. 10.30, 19.10 „ნაითმენი“. 11.20, 20.05 „გვადალუპე“. 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო“. 16.30 დოკ. ფილმი. 17.10 „კორდიე“. 18.40 აკუნა მატატა. 23.30 მხ. ფ. 1.30 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. 0.15 მხ. ფ. „წყალი“. 1.50 მუსიკალური კალეიდოსკოპი.

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25“. 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი. 14.15 მხ. ფ. 18.05, 20.30 მუსიკა. 19.00 ხვალ. 20.35 პოლიტიკური პორტრეტი. 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები“. 22.30 მხ. ფ.

**I სტერეო**

8.00 ტონიკი. 10.30 მხ. ფ. 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.10 მხ. ფ. 21.00 მხ. ფ. „კარატისტი“. 22.55 მხ. ფ. 0.45 სერიალი. 2.10 ნონ-სტოპი.

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ. ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ. ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

### პარასკევი - 1 ოქტომბერი

**I არხი**

7.15 აერობიკა. 7.30 ალიონი. 9.00 საარჩევნო ბლოკი. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 12.15 ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 15.35 მრავალსახეობა. 17.05 ეკოდაიჯესტი. 17.25 გლობუსი. 18.15 50X50. 18.45 სერიალი „დალასი“. 19.35 „ბასტი-ბუბუ“. 19.50 მაესტრო. 20.50 „რა ხდება?!“ 21.35 არტ-ექსპრესი. 22.00 ეპოქა. 23.20 ვიდეოპატრული-02. 23.35 დვრიტა ტვ. 0.15 საღამო მშვიდობისა. 1.00 მხ. ფ.

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.10 რაგბის მოყვარულთათვის. 21.10 აფხაზეთის ტელევიზია. 21.50 ანტრე. 22.20 მხ. ფ. 23.55 ჰიტ-პარადი.

**მეშვიდე არხი**

11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.40, 20.15 „აჩიკუდა“. 11.15 მხ. ფ. 18.15, 18.40, 19.05, 2.10 მუსიკა. 18.20 ნახ.ფილმი. 18.45 დოკ.ფილმი. 19.10 ტელესერიალი. 20.35 მხ. ფ. 22.25 თქვი ვირტუალურ სამყაროში. 22.35 ფეხბურთი. 0.35 მხ. ფ. 2.15 სერიალი „შიმშილი“.

**რუსთავი 2**

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები“. 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 2.00 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 მხ, ფ. „ნიკიტა“. 10.00, 18.15, „სიყვარულის ოცნებები“. 10.30, 19.10 „ნაითმენი“. 11.20, 20.05 „გვადალუპე“. 12.15, 15.15 მხ. ფ. 17.10 „კორდიე“. 18.40 აკუნა მატატა. 21.50 სერიალი. 23.30 მხ. ფ. 1.30 ფანტაზიები. 2.10 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 18.15, 20.20, 21.45, 23.30 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. 0.15 მხ. ფ. „ატომიკა“ 1.55 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00 „სტუდია-25“. 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი. 14.15 მხ. ფ. 18.05 მუსიკა. 19.00 ხვალ. 21.00 კრიმინალი. 22.30 მხ. ფ.

**I სტერეო**

8.00 ტონიკი. 10.30 მხ. ფ. 12.35 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ ფილმი. 18.55 მხ. ფ. 20.40 მხ. ფ. 22.25 მხ. ფ. „სისხლი და ქვიშა“. 0.05 მხ. ფ. 1.40 ნონ-სტოპი.

**საქართველოს ხმა.**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ. ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ. ფ. 15.00 დოკ. ფილმი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

### შაბათი 2 ოქტომბერი

**I არხი**

9.00 დილის პაემანი. 10.00 საარჩევნო ბლოკი. 13.00 ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 16.00 საბავშვო პროგრამა. 16.20 საქართველო და გარესამყარო. 16.35 ეძიე ქალი. 16.58 რეგიონები. 17.18 აბდაუბდა. 17.33 ირაო. 17.53 უთუოდ. 18.00. 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 საოჯახო ლოტო. 18.35 ინტეგრალი. 19.10 სტადიონი. 19.30 გასეირნება ძველ თბილისში. 19.40 ბასტი-ბუბუ. 20.45 მაესტრო. 21.45 „მჯერა!“. 22.20 „ილუზიონი“. 0.15 ტერმინალი-72. 0.45 მხ. ფ. „უკანასკნელი ტანგო პარიზში“.

**II არხი**

9.00 „დილა“ 19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 ავტოსპორტი 21.00 ჯიზ-სპირიტი 21.25 ვარსკვლავები გვამცნობენ... 21.40 საოჯახო ლოტო 22.05 მხ.ფ. „ორი გულის შეხვედრა“ 23.55 ჰიტ-პარადი

**მეშვიდე არხი**

17.05, 20.05, 22.20 ტელეგაზეთი 17.15, 20.25 მუსიკა 17.20 ფილმი ბავშვებს – „აუტანელი დენისი“ 19.00 დოკ.ფ. „ველური ბუნება“ 19.15 ტელესერიალი „ნარჩიტა“ 20.10 „აჩიკუდა“ 20.40 მხ.ფ. „მინისტრის შეგრძნებისას“ 22.20 „ბედნიერი ერი“ 22.35 მხ.ფ. „საშინაო დავალება“ 0.00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი 2.00 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე“.

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 21.00, 0.50 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბ. ფილმი 11.15 „სიმფსონები“ 11.45, 20.05 „მეორე მე“ 12.30 მხ.ფ. 14.30, 18.40 „მანსტრების ოჯახი“ 18.20 აკუნა მატატა 19.10 ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 21.50 ფსიქო – მხ.ფ. „ახალგაზრდა ტორლესი“ 1.00 „ფანტაზიები“ 1.30 ღამის ჯაზი

**კავკასია**

12.00, 18.10 მულტფილმი 13.30 მხ.ფ. „მაღლი თივაზე“ 15.40 მხ.ფ. „ბრწყინვალე ცხოვრება“ 17.00, 20.30, 0.00 დღეს 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 ოკეანის რაფსოდია 19.00 სპექტრი 20.20, 21.45, 23.50 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ცხოვრება“ 0.15 მხ.ფ. 2.30 მუს. კალეიდოსკოპი

**ევრიკა**

11.00 „სტუდია-25“ 11.30, 18.40 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 მხ.ფ. „ბეთჰოვენი 1“ 13.30 მხ.ფ. „სამი სურვილი“ 15.00 თქვენი ადვოკატი 16.00 მხ.ფ. „უცხო 3“ 18.20 სცენის ოსტატები 19.00 პორტრეტი 20.00 ინდ. მხ.ფ. „გურუ“ 22.00 მუსიკა 23.10 მხ.ფ. „მხოლოდ სიყვარულით“.

**I სტერეო**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „სისხლი და ქვიშა“ 12.10, 18.00 მულტფილმები 13.20 მხ.ფ. „სამი კაკალი კონკიასათვის“ 14.40 კლიპ-მიქსი 19.20 მხ.ფ. „ნინძგი დანდი“ 21.00 მხ.ფ. „სასიკვდილო ბრძოლა 2“ 22.40 მხ.ფ. „ჩვენნაირი ხალხი“ 0.20 მხ.ფ. „სიყვარულის ტყვე“ 1.55 მხ.ფ. „ეროსი“ 3.35 ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს. კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

### კვირა — 3 ოქტომბერი

**I არხი**

10.00 დილის პაემანი 11.30 საკვირაო გამოფენა 11.40 ნამდვილი ამბები 11.50, 17.50 უთუოდ 12.00 მხ.ფ. „მისტერ მაგო“ 1.23 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 13.33 „მჯერა!“ 14.03 „გვაქვს უთვალავი ფერითა“ 14.23 უჩარჩოოდ 14.43 კონცერტი 15.00 ვესტნიკი 15.15 მულტსერიალი 15.41 ახალი ქართული პროექტი 16.01 ქართული კინოს ვარსკვლავები 16.35 „ენერგია“ 16.52 მსოფლიო ახალი ამბები 17.03 რეგიონები 17.30 სპა 18.00, 0.00 მოამბე 18.13 „ლატარია ყველასათვის“ 1;.33 შოკოლადის მიკროფონი 18.53 ტოტო-ლოტო 19.08 ინტერპანორამა 19.27 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.50 აზრი 20.55 საკვირაო ზღაპარი 21.03 „ფორტუნა“ 21.45 ფესტივალი 22.30 „დიდების ზღაპარი“ 23.00 ტელეფილმი – „ნინო ანანიაშვილი“ 0.15 ჯემი 0.45 მხ.ფ. „მენავთობე ქალები“

**II არხი**

9.00 „დილა“ 19.00 „კვირა-დღე“: მულტფილმები, გაილიმე, სუპერ-მატჩი, კერპები, ძველი ალბომი, შვიდეული, კინოსეანსი, ღამის ქალაქი

**მეშვიდე არხი**

17.00, 20.05, 22.45 ტელეგაზეთი 17.05, 20.30, 0.55 მუსიკა 17.25 დოკ.ფ. „ველური ბუნება“ 18.00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი 20.15 „აჩიკუდა“ 20.50 ტელესერიალი „ნარჩიტა“ 21.35 გასართობი პროგრამა 22.15 „90 წუთი“ 22.55 მხ.ფ. „ურთიერთშეთანხმებით“ 0.35 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე“ 1.00 მხ.ფ. „ღამის დარაჯი“

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 0.20 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 ფილმი-ბავშვებს 11.15 „სიმფსონები“ 11.45, 20.05 „მეორე მე“ 12.30 ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 მხ.ფ. 15.30, 18.40 „მანსტრების ოჯახი“ 18.20 აკუნა მატატა 19.10 მაპეტსი დღეს საღამოს 19.40 სპორტული პროგრამა 21.00 კვირა 21.50 მხ.ფ. „უკეთესს ვერ ინატრებ“ 0.30 კლასიკა

**კავკასია**

12.00 ინდ.მხ.ფ. „მაფიის მეთაური“ 14.30, 21.45, 23.50 მუსიკა 15.00 დეტექტ. სერიალი „დემფსი და მეიკფისი“ 16.40 დებიუტი-99 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 ჰიმნი ბუნებას 18.10 „ფეხბურთის ლეგენდები“ 18.50 მხ.ფ. „კალათბურთი“ 20.30, 0.00 დღეს 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „შანტაჟი“ 0.15 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „ნადავლი გველისათვის“ 2.15 მუს. კალეიდოსკოპი

**ევრიკა**

11.00 „ცისკრის ზარები“ 11.03 დოკ.ფ. „პალესტინის სიძველეთა საიდუმლო“ 11.50, 18.00 მუსიკა 12.00 ლოცვა 12.03 მხ.ფ. „გლახის ნაამბობი“ 15.00, 18.00 რელიგიის რაც საათები 18.15 საუბრები საქართველოზე 18.45 მხ.დოკ.ფ. „არაბესკები ბროწეულის ფერი“ 19.15 მხ.ფ. „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ 20.30 „იქ, სადაც სიყვარულია“ 20.45 იუმორისტული გადაცემა 21;15 მოკლ.მხ.ფ. „ავტოპორტრეტი“ 21.45 მხ.ფ. „გიორგი სააკაძე“

**პირველი სტერეო**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ნიანგი დანდი“ 12.15, 18.00 მულტფილმები 13.25 მხ.ფ. „ადამიანი კაპუცინების ბულვარიდან“ 15.00 კლიპ-მიქსი 19.20 მხ.ფ. „ნიანგი დანდი-2“ 21.10 მხ.ფ. „ქარიშხლიანი“ 22.45 მხ.ფ. „ჩვენნაირი ხალხი 2“ 0.25 მხ.ფ. „თაღლითობა“ 2.10 მხ.ფ. „ეროსი“ 4.35 ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00 ექო 10.15, 18.00 მულტფილმი 11.00, 18.45 ქართ.მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი

# ჰოროსკოპი

## 28 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე

### ვერძი

და კვლავ თავს გაბეზრებენ პატარ-პატარა უსიამოვნებანი. ამ დღეს ნურც შეეცდებით გლობალური პრობლემების გადაწყვეტას. ნუ ჩაერთვებით კამათსა და კინკლაობაში. რამეთუ ის საქმე, რასაც თქვენ ხელი მოჰკიდეთ, სავალალო შედეგით დასრულდება. სამშაბათსა და ხუთშაბათს გაფანტეთ თქვენი პირქუში განწყობილება. მთვარიანი ღამით გასეირნება. ოთხშაბათს მოწყენილობა დაგეუფლებათ და სისუსტეს იგრძნობთ. როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა კვირის ბოლომდე გაგყვებათ. თქვენ ისღა დაგრჩებათ, რომ თქვენ მოთმინებით გადიტანოთ ყოველივე.

### კურო

ორშაბათი აღინიშნება არასასიამოვნო გუნებაგანწყობით, სამაგიეროდ სამშაბათს ფორტუნა კვლავ გაგიღიმებთ და მის თქვენდამი კეთილგანწყობას იგრძნობთ. ოთხშაბათს ეცადეთ არ აჩვენოთ ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებს თქვენი „ხარის“ ხასიათი, სხვაგვრად რომ ვთქვათ გვიან იქნება იდაყვებზე კბენა. ხუთშაბათი კი მოგიტანთ ახალ სასიამოვნო ცნობებს, ხოლო პარასკევსა და შაბათს ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

### ტყუპები

ორშაბათს სასიამოვნო გუნებაგანწყობით გაატარებთ. სამშაბათი დღე წარმატებულად ჩაივლის და სულის ამაღლებას იგრძნობთ. ოთხშაბათს კი ყველაფერი სხვაგვარად მდგომარეობს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარკვეულ უსიამოვნებებს, რომლებიც გამოწვეული იქნება თქვენი წინათგრძნობების გამო, რომელიც ყოვლად უსაფუძვლოა. ხუთშაბათს და პარასკევს ერიდეთ ზედმეტი ფულის ხარჯვას. უქმე დღეები გაატარეთ „ქარიყლაპიის ბრძანებით და ჩემი სურვილის“ პრინციპით.

### კიბო

ორშაბათს და ხუთშაბათს ფიზიკური გადაღლილობის გამო სამსახურში გარკვეული შეფერხებები გარდაუვალია. სამშაბათს აღრიცხავთ რა თქვენს შემოსავალს, ნუ გავიწყდებათ, რომ დანარჩენი ნივთების ყიდვა, მაღაზიაშიც შესაძლებელია. ოთხშაბათს კონფლიქტებისა და შინაგანი დაძაბულობის ალბათობა მაღალია. პარასკევს და კვირას კვლავ არასასიამოვნო გუნებაგანწყობილობის ნიშნით გაატარებთ.

### ლომი

ოთხშაბათი საკმაოდ კარგი დღეა და სწორედ მაშინ მიხვდებით, რომ თქვენი ცხოვრების წიგნი ჯერ ბოლომდე არაა წაკითხული. ეიფორიულ მდგომარეობას სამშაბათი დღის მოწყენილობა ცვლის. ნუ იქნებით პესიმისტი. ოთხშაბათი კვლავ დაგიბრუნებთ საკუთარი თავის რწმენას. პარასკევი და ხუთშაბათი კარგი დღეებია კონტაქტებისათვის, ხოლო უქმე დღეებში იზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე.

### ქალწული

ოთხშაბათს მოვლენათა მოულოდნელი შემობრუნების შედეგად დაიბრუნებთ საკუთარი ძალებისა და უნარის რწმენას. სამშაბათს თამამად მიიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და გარწმუნებთ – არ შესცდებით. ოთხშაბათი და ხუთშაბათი დღე კარგია სხვადასხვა სახის ურთიერთობებისათვის. მათ შორის საწინააღმდეგო სქესის პიროვნებებთან. ყოველთვის გახსოვდეთ ზომიერების მაშველ ძალაზე, სხვაგვარად შაბათს იმედის გაცრუება გარდაუვალია.

### სასწორი

ოთხშაბათს თქვენთვის სასიამოვნო საზოგადოებაში აღმოჩნდებით და მიხვდებით, რომ მეგობრობაზე კარგი, მხოლოდ კარგი მეგობრობაა. სამშაბათს და ხუთშაბათს ნურც ეცდებით საკუთარ თავზე გადახტომას, ამით მხოლოდ საკუთარ თავსვე ავნებთ. ოთხშაბათს ცუდი გუნებაგანწყობის გამგო თავს შეუძლოდ იგრძნობთ. პარასკევს უსაფუძვლო კონფლიქტის გამო დანაღვლიანდებით. უქმე დღეები ფრიად წარმატებულად წარიმართებიან.

### მორიელი

ორშაბათი მიუძღვენით თქვენს მიერ წარსულში ჩადენილი საქციელის გაანალიზებაზე. სასურველია ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოთ, თუ როგორ იცხოვროთ მომავალში. სამშაბათს თქვენი საომარი განწყობა შეგეცვლებათ და ისურვებთ ვინმესთან წაკინკლავებას, რათა განაგდოთ თქვენგან უარყოფითი ემოციებით დამუხტული ტვირთი. ოთხშაბათი და ხუთშაბათი კომფორტულად და მშვიდად ჩაივლიან. თუმცა მოდუნების დრო ჯერ არ დამდგარა, რამეთუ პარასკევს თქვენთვის საინტერესო პიროვნება იმედებს გაგიცრუებთ. უქმე დღეებში თქვენ შესძლებთ დაკარგული მონაპოვრის დაბრუნებას.

### მშვილდოსანი

თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ რატომ არ უნდა მივიდეს მუჰამედი მთასთან? დაახლოებით ამ პრინციპით წარიმართება მომდევნო კვირა. ორშაბათი სავსეა მრავალფეროვანი და სასიამოვნო მოვლენებით. სამშაბათს ადრე დაგეგმილი საქმეების შესრულებას მოახდენთ. ოთხშაბათს და ხუთშაბათს განსაკუთრებულ სიხარულს განგაცდევინებთ ის ფაქტი, რომ თქვენ ყოვლისშემძლე ხართ. პარასკევი თქვენი საოცნებო სურვილების განხორციელებას იდეალურ შანსს გაძლევთ და ასე იქნება მთელი კვირის განმავლობაში – რატომ? გაიხსენით მუჰამედისა და მთის ამბავი.

### თხის რქა

ორშაბათს თქვენს მიერ დაგროვილი პრობლემების მოსაგვარებლად, ექსტერნული მეთოდების საშუალებებით თუ მოხერხდება. სამშაბათი – კონფლიქტების მოყვარულნი, თავი აარიდეთ თუ შეიძლება კონფლიქტებს. ოთხშაბათს შესრულებული საქმის გამო დიდად კმაყოფილი დარჩებით, ხოლო ხუთშაბათს ყველა საქმის გადადებას გირჩევთ და დაისვენეთ. პარასკევი და შაბათი დღე წარიმართება ისე, როგორც ამას თავად ისურვებთ.

### მერწყული

ორშაბათს ენდეთ თქვენს ინტუიციას, იგი სწორ გადაწყვეტილებასგიკარნახებთ. სამშაბათი მთლიანად ფინანსურ პრობლემებს დაუთმეთ. ოთხშაბათს ნუ ეცდებით ქვეცნობიერების შეცვლას. მაინც ხეირიანი არაფერი გამოვა. ხუთშაბათს სჭსიხარულო ცნობა გელით. პარასკევს ოჯახის წევრებთან უსიამოვნების მიზეზად ფულის უყაირათო ხარჯვა იქნება, ხოლო უქმე დღეებში ძალ-ღონის დაქვეითებას იგრძნობთ.

### თევზები

თქვენ კრიზისიდან გამოსვლის შანსი გეძლევათ. ორშაბათს ეცადეთ საკონფლიქტო სიტუაციებიდან თავის დაღწევა. სამშაბათი – სარფიანი დღეა. ნებისმიერი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. ოთხშაბათს კი პარტნიორებთან ურთიერთობების დახვეწის დღეა. პარასკევს თავს შეუძლოდ იგრძნობთ. უქმე დღეებში დაკარგულ მხნეობას იბრუნებთ, ამას შაბათს მთელის სიმძაფრით იგრძნობთ.

# კროსვორდი



**ჰადეჰუღი:** 1. "მეგრელი" ძვირფასი ქვა; 5. "ყველაზე სწრაფების" სამშობლო საქართველოში; 7. ნახირნახირ სიარულის მსურველი ცხოველი; 8. ნოეს "ზანიანი" სკივრი; 9. ნანას ნახევარი; 10. "დალაქავებული" პარიკმახერი; 13. ვიტამინი, რომლის დამატებით "მენტი" საამშენებლო მასალად "იქცევა"; 14. მოსახლეობის დიდ ქალაქებში თავმოყრა "ზანის თანხლებით; 15. "ინიანი" ფონდი; 16. "ლიონიდან წამოღებული" თანხა; 18. ეს ქალი კატას ეფერება (სახელი); 19. "ტირში მსროლელის" დეფისი; 20. ეს ქალი "მინიან კარშია" (სახელი ნაწ. ინგლ. კავშ.); 22. "ხეზე გამორული" შარვლის ნაწილი; 24. მცენარეთა ნაყოფი, ურომლისოდ ვერ "იარსებებს" მარხილი; 26. "დარიანი" თევზის სამალავი; 28. საბრძოლო ხელოვნება; 29. ზაფხულის "მელოტი" თვე.

**ჩაჰიდუღი:** 2. "ამირას მეჯვარე" ქართველი მწერალი (გვარი); 3. "გლობალური ულვაშა" დედამიწის მოდელი (ნაწ. რუს.); 4. "ტარით დაბოლოებული" ძვირფასი ქვა (რუსულად); 5. "მინი ნაკადული" რომელიც რურუას "თავში აქვს"; 6. ლამპის "ბაბუა", რომელიც "ჭრაშია"; 7. ვოინიჩის გმირის "კრაზანას" ავტომობილი; 9. "ციაზე მჯდომი" ერი ანუ...; 10. "იოდიანი" ნახევარგამტარი; 11. ქირურგ "ლანას აცეტებული" ინსტრუმენტი; 12. ამ ველზე "ია ლაღად" არის; 17. "ორჯერ დენდარტყმული" ჯილდო; 19. ამაზე თუ არ ახტი, ვერ დაჯდები; 20. ის, რაც "თამადას უკან" აქვს; 21. ორად ორი ქალი (სახელი); 23. დამარცხების "ტუშიანი" ნიშანი კლასიკურ ჭიდაობაში; 25. საფრანგეთის ეს მეფე ლუიზიანაშიც არის (სახელი); 27. ეს მონტანს აკლია.

**გია სუხიშვილს!**

ძვირფასო გია, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას, ზღვა სიყვარულსა და დიდხანს სიცოცხლეს.

შენი ბებო

**დათო გუჯაბიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ნაყოფიერ შრომას და წარმატებებს პირად ცხოვრებაში.

სახალხო ფრონტი
გაზეთი „საქართველო“

იყიდება 2,5 ოთახიანი ბინა აკაკი წერეთლის გამზირზე (გამოფენის წინ), მე-5 სართული, 60 კვადრატული მეტრის მიშენებით, ფასი შეთანხმებით.

ტელ: 34-71-96 ლიდა

**ნათია ლოლობერიძეს!**

ჩვენო ულამაზესო მეგობარო – გილოცავთ დაბადების დღეს. გინატრით ბედნიერ აისს, ნათელ მომავალს და ისეთ დაისს, რომელიც ყოველთვის სიხარულით აგავსებს, როცა გადახედავ შენს ცხოვრებას.



ქეთი
ჩადუნელი
და შენი
მეგობრები
გაზეთ
„საქართველოდან“

გამომგონებელი (პატენტმფლობელი) დავით ხომასურიძე მიიღებს შეკვეთებს სპირტის მინი-ქარხნების დამზადებაზე. გასცემს ლიცენზიებს მათ გამოყენებაზე.

ნედლეულის სახეობა ხორბალი, შაქრის წარმოების ნარჩენები, ხილი და კენკრა.

ხარისხი: უმაღლესი გაწმენდის სპირტი-რექტიფიკატი.
ტელ: 72-50-40, 76-40-43, 93-19-93
დაინტერესებულ პირებს 30 სექტემბერს 12 საათზე შეხვდება თავად გამომგონებელი შემდეგ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ №5, II სართული.

**გაზეთ ,,საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, აგრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (5000 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში**

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.
4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.
ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით
უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით
რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 8,5 ლარი
500 ეგზემპლიარი 27 ლარი

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ.: 93-20-36, 93-18-41

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის
Т А Й П Н №064-443
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.